როლანდ თოფჩიშვილი

აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2015

UDC(უაკ) 39(=352.2)+39(=352.3)
თ - 778

Roland Topchishvili.To the question of the ethno-genesis of Abkhazian-Adigean ethnic contacts.

Роланд Топчишвили. Об этногенезе абхазо-адыгских этнических общностей.

წიგნში საისტორიო, ეთნოლოგიური, ლინგვისტური და სხვა მეცნიერების მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ ენობრივად მონათესავე ეთნოსების – აფხაზების, აბაზების, უბიხების და ადიღელების/ჩერქეზების/ყაბარდოელების წინა-პართა თავდაპირველი განსახლების არეალი ჩრდილოეთით იყო: აზოვის ზღვის მიმდებარე აღმოსავლეთი და დასავლეთი არეალები, დონის შესართავი დელტა, ჩრდილოეთი შავი-ზღვისპირეთი და სამხრეთ უკრაინა. აფხაზებისა და ადიღე-ელების ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს მეოტებმა (პრო-ტოადიღეელებმა), ირანულენოვანმა მომთაბარეებმა და ქართ-ველურმა ერთობებმა (ზანებმა და სვანებმა).

რედაქტორი:
სალომე ბახია-ოქრუაშვილი

რეცენზენტები:
ნუგზარ მგელაძე
ნათია ჯალაბაძე

©როლანდ თოფჩიშვილი, 2015

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2015

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-483-6

ზოგადად აფხაზურ-ადიღეურ ეთნიკურ ერთობათა შესახებ

აფახზები სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს ჩრდილოდასავლეთ ნაწილში მცხოვრები პატარა ეთნოსია. საბჭოთა კავშირის დაშლამდე მათი რაოდენობა 90 ათასი კაცი იყო. აფხაზეთში რუსეთის შესვლას დაუმორჩილებლობა და აფხაზთა ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება მოყვა. პირველი მუჰაჯირობის დროს (1867 წელს) 19 342 კაცი გადასახლდა, მეორე მუჰაჯირობის დროს (1877 წელი) – 31 964 კაცი. აფხაზებთან ენობრივად ძალზე ახლოს არიან ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები აბაზები (1989 წლის აღწერით – 27 500 კაცი). აფხაზებს ჩრდილოეთით ემეზობლებოდნენ უბიხები. ისინი მდინარეებს შახესა და ხოსტას შორის ცხოვრობდნენ. 1884 წელს უბიხები მთლიანად აიყარნენ და ოსმალეთში გადასახლდნენ. დღეისათვის უბიხური ენა აღარ არსებობს. ოსმალეთში ისინი ჩერქეზებს შეერივნენ და ასიმილირდნენ.

აღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფთა ენობრივ მონათესავეებს წარმოადგენენ ადიღეელები, რომლებიც მუჰაჯირობამდე ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე დიდ ეთნოსს წარმოადგენდნენ. დღევანდელი ნომენკლატურით ისინი იყოფიან და შესაბამისად აღირიცხებიან ადიღეელებად, ყაბარდოელებად და ჩერქეზებად. 2002 წლის მონაცემებით რუსეთის ფედერაციაში 131 ათასი ადიღეელი იყო აღრიცხული, ყაბარდოელად საკუთარი თავის იდენტიფიცირებას 500 ათასი კაცი ახდენდა. ყაბარდოელთა ლოკალურ ჯგუფად მიიჩნევიან „მოზდოკელი ადიღეელები“ (დაახლოებით 14-15 ათასი). დანარჩენი ადიღეელებისაგან ძირითადად იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ქრისტიანები არიან. ფაქტობრივად ეთნიკური ყაბარდოელები არიან ჩერქეზებად იდენტიფიცირებულნი (მათ შემადგენლობაში არიან ე. წ. ბესლენელებიც). ჩერქეზების რაოდენობა 50 ათასია. ადიღეელები მუჰაჯირობამდე 14 ტერიტორიული ერთეულისაგან შედებოდნენ, რომელთაგან წინაპართა განსახლების არეალში მხოლოდ რამდენიმე შემორჩა. ესენი არიან ბჟედუხები, თემირდოელები და აბაძეხები...

ნაშრომის ძირითადი დებულება

სხვადასხვა წყაროების და მეცნიერების მოსაზრებებზე დაყრდნობით, წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების (აფხაზ-აბაზები, უბიხები/ჯიქები, ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) ეთნოგენეზი მოხდა არა მათი შუა საუკუნეებში განსახლების არეალში (შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში), არამედ კიდევ უფრო ჩრდილოეთით – აზოვისპირეთში, დონის შესართავთან, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში. აფხაზური და ადიღეური ეთნოსების ეთნოგენეზში სულ ცოტა სამმა ეთნიკურმა კომპონენტმა მიიღო მონაწილეობა: პროტოადიღეელებმა/მეოტებმა, ირანულენოვანმა მომთაბარეებმა და ქართველურმა ერთობებმა (ზანები, სვანები). აფხაზების ეთნოგენეზში ქართველური ეთნიკური ერთობის წვლილი უფრო მეტი იყო, ვიდრე ადიღეელთა ეთნოგენეზში. პროტოაფხაზ-ადიღეელთა სამხრეთით ჩამოწევა ერთდროულად აქტი არ ყოფილა; ისინი რამდენჯერმე მიგრირდნენ თავიაანთი თავდაპირველი განსახლების არეალიდან. მიგრაციის გამომწვევი მიზეზი კი გახლდათ ევრაზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ჯერ ირანულენოვანი და შემდეგ თურქულენოვანი მომთაბარე ეთნოსების ხშირი შემოსევები. გეოგრაფიულ არაელში, სადაც აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ფორმირება მოხდა ისტორიისათვის ხელმისაწვდომ მთელ პერიოდში არამდგრადი ეთნიკური ვითარება იყო. არამდგრად ეთნიკურ ვითარებას ევრაზიის სივრცეში აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მუდმივად მოძრავი ნომადები იწვევდნენ. პროტოაფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობებიც (მეოტები) ამ არეალში აღმოსავლეთიდან იყვნენ მოსული და ისინიც თავდაპირველად ნომადები იყვნენ.

***

ეთნოგენეზის პროცესი ორი ან რამდენიმე ეთნიკური ერთობის ურთიერთშერევას წარმოადგენს. პროცესის შედეგად ახალი ენა, კულტურა და ცნობიერება წარმოიქმნება. ეთნოგენეზის პრობლემებიდან, ენისა და კულტურის ჩამოყალიბებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ტერიტორიის საკითხია.[1] ამ პრობლემას განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია და ის თანამედროვეობასთანაც მჭიდრო კავშირშია, რადგან თანამედროვენი საკუთარი ეთნოსის წარსულის შესახებ ბევრ მითოლოგემას ქმნიან. ამ მითოლოგემებს კი სხვადასხვა ამბიციების დასაკმაყოფილებლად იყენებენ, რომ ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენონ სხვა ხალხებს. კაცობრიობის ისტორიის სხადასხვა ეპოქაში ეთნოსები და ეთნოსთა ნაწილები ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ. ამჯერად ჩვენი მიზანი არაა ამ მიგრაციული პროცესების მიზეზებზე საუბარი, მაგრამ, ფაქტია, რომ ეთნოსების წარმოქმნას (და გაქრობასაც) მიგრაციული პროცესები განაპირობებდა. ფაქტია, რომ არ ყოფილიყო საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე/ქართველთა განსახლების არეალზე თავდასხმები, უცხო, სხვა ეთნოსების შემოსვლა და დამკვიდრება ქართველები თავიანთ განსახლების არეალს შეინარჩუნებდნენ და ის ისეთი მცირე არ იქნებოდა, როგორც დღესაა. ქართული ეთნოსი მისმა ლანდშაფტმა, ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ გადაარჩინა.[2] სხვები კი, რომლებსაც ასეთი თავდაცვითი საშალება არ გააჩნდათ,

---

[1] *რ. თოფჩიშვილი.* ეთნოგენეზის პროცესისა და ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI, თბ., 2012, გვ. 35-62.

[2] *რ. თოფჩიშვილი.* ქართველთა გადარჩენის მიზეზები. – საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010, გვ. 76-84; *რ. თოფჩიშვილი.* ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008, გვ. 106-127.

საერთოდ გაქრნენ; გაქრნენ არა ფიზიკური თვალსაზრისით, არამედ ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით, ანუ მონაწილეობა მიიღეს ახალი, სხვა ეთნოსის წარმოქმნაში, ე. ი. ასიმილირებულნი იქნენ მოსული ეთნოსის მიერ.

სხვაგან არაერთხელ ხაზგასმით აღგვინიშნავს, რომ შედარებით ადვილია ახალგაზრდა ეთნოსების ეთნოგენეზის კვლევა, ხოლო ისტორიის სიღრმეში წარმოქმნილი ეთნოსების კვლევა ერთობ რთულია. ეს სირთულე კი მეცნიერებს ბევრი სუბიექტური ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ესაა ვარაუდები, რომლებსაც თვით ამ ვარაუდების შემქმნელნი მითოლოგემებად გარდაქმნიან.

მითოლოგემების ჩარჩოებში უფრო ხშირად ეთნოსთა ტერიტორიის საკითხი ექცევა. იშვიათია ისტორიოგრაფიაში ფაქტები, როდესაც ესა თუ ის ეთნოსი ავტოქტონად არ ცხადდებოდეს. ძალიან ხშირად, როდესაც ეთნოგენეზის პრობლემაზე წერენ, მეცნიერები ხალხებისა და ამა თუ იმ ხალხის წინაპარი ეთნოსიების/პროტოეთნოსის ფაქტებს ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ.

ბუნებრივია, ყველა ხალხს თავისი ეთნოსის წარმოქნის ფაქტები აინტერესებს და ეს ინტერესი ხშირად მეზობელი ხალხების მიმართაც არსებობს. ასეთი ინტერესი ქართველებს მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზის შესახებაც გააჩნიათ, რადგან ამ ხალხებთან ქართველ ხალხს ისტორიულად გარკვეული გადაკვეთის წერტილები აქვთ. ეს ინტერესი განსაკუთრებულია იმიტომაც, რომ ისტორიოგრაფიის ერთ ეტაპზე მეცნიერები დაბეჯითებით წერდნენ და დღესაც წერენ კავკასიაში მცხოვრები ხალხების საერთო წარმომავლობის შესახებ, ენობრივი ნათესაობის შესახებ. ეს მეცნიერები ჩვენში ამ პრობლემას საბოლოოდ გადაწყვეტილად მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ და სხვათა მეცნიერულ არგუმენტებს ყურადღების ღირსადაც კი არ ხდიდნენ.

ქართველთა ეთნოგენეზისა და ტერიტორიის შესახებ ერთ დროს გაბატონებული იყო შეხედულება სამხრეთიდან

მიგრაციის შესახებ. ეს პროცესი ისევ ჩრდილოეთ კავკასიურ ეთნოსებთან იყო მიბმული. ამ შეხედულების ავტორები დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ ქართველთა მოსვლამდე თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიელები – ნახურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადიღეური ტომები – ცხოვრობდნენ, პირველნი – აღმოსავლეთ საქართველოში და მეორენი – დასავლეთ საქართველოში, რომ ამ უკანასკნელთა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით გადანაცვლება მოხდა ქართველების ზეწოლის შედეგად. მაგლითად შეიძლება ერთი ამონარიდი მოვიყვანოთ: «Адыгейские элементы в топонимике Западной Грузии, как-то სუფსა, აჭყვა, მალთაყვა, აკამფსის (древнее название Чороха) явление не случайное; имеются серьезные основания предполагать, что на территории Западной Грузии картвельским племенам предшествовали абхазско-адыгейские племена.»[3] საამისოდ ამ მკვლევარების წყაროს რამდენიმე ტოპონიმი წარმოადგენდა, რომლებსაც ჩრდილო კავკასიური ენებით ხსნიდნენ; ისინი ამ ტოპონიმებს სუბსტრატულ ტოპონიმებად აცხადებდნენ. მაგრამ არავინ არ ფიქრობდა იმის შესახებ, რომ გარდა სუბსტრატული ტოპონიმებისა, ადსტრატული ტოპონიმებიც არსებობს, რომლებიც ამა თუ იმ ეთნოსის გარკვეული ჯგუფის საკუთარი ტერიტორიიდან სხვათა ტერიტორიაზე გადასახლების შემდეგ ჩნდება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (და დასავლეთ საქართველოს მთიანეთშიც) ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ვაინახების ჯგუფური გადმოსახლება ძვ. წ. III საუკუნეში, მეფე საურმაგის დროს, ქართულ წყაროში დადასტურებული ფაქტია.[4]

მაგრამ ჩვენი ინტერესის სფეროში ამჯერად მხოლოდ აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომების ეთნოგენეზის,

---

[3] *Арн. Чикобава*. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბ., 1948, გვ. 263.

[4] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 27.

უფრო მეტად კი მათი თავდაპირველი განსხლების არეალის საკითხი შედის. ჯერ კიდევ 2012 წელს დასტამბულ ნაშრომში ძალიან მოკლედ შევეხეთ აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზს, უპირველეს ყოვლისა, მათი თავდაპირველი განსახლების არეალს: „უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებით აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობის, უფრო სწორედ, პროტოადიღეელების თავდაპირველი განსახლების არეალი იყო სტეპების ზონა – მდინარე ყუბანის ჩრდილოეთით ტერიტორია – აზოვისპირეთი და მიმდებარე შავი ზღვის ჩრდილოეთი. პროტოადიღეელაბად მიიჩნევიან აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული მეოტები და სინდები, რომელთა წინაპრებმაც სამხრეთით შედარებით გვიან წამოიწიეს (В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. – СПб, 2007). პროტოადიღეელებს ჯერ ინდოევროპელები (სკვითები და სარმატები) შეერივნენ, შემდეგ – პროტოქართველები. მიგვაჩნია, რომ სამხრეთით გადმოსახლების შემდეგ უნდა მომხდარიყო პროტოადიღეელების პროტოქართულ ენობრივ-ეთნკურ ერთობასთან კონტაქტი. აქ საკმარისია ჯერ მაიკოპის კულტურის (ძვ. წ. III ათასწლეული) მონათესავეობა გავიხსენოთ მტკვარ-არაქსის კულტურასთან (ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 193-251) და შემდეგ კი ყობანური კულტურა, რომელიც, ფაქტობრივად, კოლხური კულტურის ნაირსახეობას წარმოადგენდა. პროტოადიღეელების ენობრივ-ეთნიკური კონტაქტი ქართულ ენობრივ-ეთნიკურ ერთობასთან, ე. ი. ყობანური კულტურის მქონე ერთობასთან, ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში ჩამოწევის შედეგად მოხდა.“[5]

---

[5] *რ. თოფჩიშვილი.* ეთნოგენეზის პროცესისა და ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI, თბ., 2012, გვ. 56-57 (სქოლიო). აქვე დავამატებთ, რომ მაიკოპის კულტურის შესაძლო ქართველური წარმომავლობის

როდესაც აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზზე და მათ ტერიტორიაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ადიღეელები და პროტოადიღეელები, ისევე როგორც ქართველები და პროტოქართველები. სრულიად დასაშვებია, რომ ადიღეელებისა და პროტოადიღეელების, ქართველებისა და პროტოქართველების წარმოქმნის ტერიტორიები სხვადასხვა ყოფილიყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებამდე მიიჩნევდნენ, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხები ისტორიული ხალხების (*ანტები, აბისინიელები, არაბები, ინდუსები, მიტანიელები* და სხვების) „ჩამონატეხი“ ნაწილები იყვნენ, რომლებიც ძველად ამა თუ იმ მიზეზით შორეული წინარესამშობლოდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გადასახლდნენ.

თავის ადრინდელ ნაშრომებში *ნიკო მარი* ასევე მხარს უჭერდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხების წარმოშობის მიგრაციულ თეორიას. შავიზღვისპირეთს ტამანამდე ნ. მარი მეგრელ-ჭანთა თავდაპირველი განსახლების არეალად მიიჩნევდა. სხვა შემთხვევაში მარმა აქ ყოველგვარი დამაჯერებლობის გარეშე მოათავსა რომელიღაც „პ-ხალხი“, რომლებმაც თავიანთი ნაკვალევი ტოპონიმებში დატოვეს: სინოპი, მაიკოპი, ანაპა, პანტიკაპეა.[6] აქ ის სკვითებისა და სარმატების ნაკვალევსაც პოულობდა. ლინგვისტურ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით *ნ. მარი* იმასაც წერდა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში სკვითებამდე კიმირიელების გვერდით, ცხოვრობდა აგრეთვე „ჩუვაშური ელემენტი“. ბუნებრივია, თანამედროვე მეცნიერების გადასახედიდან *მარის* ეს მეცნიერული შეხედულებები ღიმილის მომგვრე-

---

შესახებ მიუთითებდა *ი. დიაკონოვი* (იხ.: *И. М. Дьяконов*. Языковые контакты на Кавказе и Ближнем Востоке. – Кавказ и цивилизации древнего Востока. Орджоникидзе, 1989. С. 16-17).

[6]ეს სახელწოდებები ბერძნული ჩანს, ზოგჯერ დამახინჯებული. მათგან ორი სხვაგანაც მოიხსენიება: ანაპა (Anapos, Anapo) ასევე ჰქვია მდინარეს სიცილიაში (*თუკიდიდე*, 6, 96; 7, 78). პანტიკაპე კი ევროპის სარმატიის მდინარეც იყო (*ჰეროდოტე*, ისტორია, 4,18).

ლია, განსაკუთრებით კი „ჩუვაშრი ელემენტის“ შესახებ. *მარის* ამ და სხვა შეხედულებების შესახებ სამართლიანად შენიშნავდა *ლ. ლავროვი,* რომ ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის ხალხების შესახებ *ნ. მარმა* არ შექმნა მწყობრი მეცნიერული თეორია და მას მხოლოდ ქაოტური, სუსტად არგუმენტირებული და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულები აქვს გამოთქმული.[7]

ნ. მარი ეთნოგენეზის შესახებ მიგრაციის თეორიის მიმდევარი გახლდათ. შემდეგ საბჭოთა კავშირში მიგრაციის თეორიის კრიტიკის პერიოდი დადგა და თითქმის ყველა ეთნოსი ავტოქტონად ცხადდებოდა, მათ შორის, აფხაზურ-ადიღეური მოდგმის *აფხაზები, აბაზები, უბიხები, ადიღეელები* და *ყაბარდოელები.* ამ შეხედულების ყველაზე აქტიური პროპაგანდისტი გახლდათ *ლ. ლავროვი.* ის წერდა, რომ ჩამოთვლილი ეთნოსები შორეულ წარსულში, ძველთაძველ დროს ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში.[8] ეს დასკვნა გამომდინარეობდა მისივე სხვა დასკვნიდან, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ეთნიკური მდგრადობა შეინიშნება. *ლ. ლავროვის* მეორე არგუმენტი კი ის გახლდათ, რომ ადრერკინის ხანიდან მოყოლებული არქეოლოგიური კულტურები მემკვიდრეობითობით ხასიათდება. საამისოდ რუსი მეცნიერი მოიხმობდა აფხაზების, აბაზების, ადიღეელებისა და ყაბარდოელების ისტორიულ ფოლკლორსაც, რომლებშიც, როგორც ის მიუთითებდა, ყველა ფენა ასახავს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის გეოგრაფიულ და ისტორიულ გარემოებებს. მის მეოთხე არგუმენტს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ანტიკურ და შუა საუკუნეებში არსებული გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელწოდებათა ლინგვისტური ანალიზი წარმოადგენდა. ყოველივე ეს არადამაჯერებელია: *ლ. ლავროვის* მიერ მოხმობილი წყაროები ვერაფრით ვერ წვდება „შორეულ წარსულს“.

---

[7] *Л. Л. Лавров*. Избранные труды по культуре абазин, адыгов, карачаевцев, балкарцев. Нальчик, 2009, стр. 56-51.

[8] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 56-51.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელი ხალხების ავტოქტონობის მიუხედავად *ლ. ლავროვი* არ გამორიცხავდა მიგრაციასაც, რომელიც აქ არაერთგზის ხდებოდა.[9] ასე, მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ გუთებმა კერკეტები გამოაძევეს თანამედროვე ანაპიდან ყუბანისპირეთში. საერთოდ, აფხაზურ-ადიღეური ტომების მიგრაცია, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში თითქმის მუდმივი პროცესი იყო. საამისოდ XIII საუკუნის მეორე ნახევარში ყაბარდოელების ყუბანისპირეთიდან ცენტრალურ კავკასიაში – ალან-ოსთა ყოფილ განსახლების არეალში გადასახლების დასახელებაც კი საკმარისია. საერთოდ აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ჯგუფებისათვის ძირითადად დამახასიათებელი იყო ცხოვრების ნახევრადმომთაბარული წესი, რაც ოდინდელი მომთაბარე ტრადიციის ერთგვარ შენარჩუნებას წარმოადგენდა.

ჩვენი თემისათვის საყურადღებოა მეცნიერთა მიერ შენიშნული ფაქტი, რომ სკვითებამდელ პერიოდში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას გაცხოველებული ურთიერთობები გაჩნდა მეზობელ ტერიტორიებთან, კერძოდ, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინასთან. ხშირად მიუთითებენ ყირიმის ტავრიის ქვის ყუთების კავშირს კავკასიის დოლმენებთან. ყუბანისპირეთის, სამხრეთ უკრაინისა და ყირიმის ეს კავშირები ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისშიც აშკარა. სამხრეთ უკრაინისა და ყირიმის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან II-I ათასწლეულებში არქეოლოგთა მიერ შენიშნულ კავშირს ტოპონიმიკის ზოგიერთ მსგავსებაშიც ხედავენ, განსაკუთრებით სკვითურ-სარმატულ ეპოქაში.[10] საამისო მაგალითად მოყავთ ის ფაქტი, რომ აზოვისპირეთის სინდების გვერდით *პლინიუს უფროსი* სამხრეთ უკრაინაში „სინდეთის სკვითიასაც“ მოიხსენიებს. *ლ. ლავროვი* ასეთი ფაქტების მოყვანის შემდეგ აღნიშნავდა, რომ კავკასიისმცოდნეები მიჩვეული არიან ეძებონ ჩრდილო-დასავლეთ კა-

---

[9] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 56-51.
[10] *Л. Л. Лавров*. Избранные труды... Нальчик, 2009, стр. 56-51.

ვკასიური ელემენტები თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-დასავლეთ მხარის სამხრეთით მდებარე რაიონების (დასავლეთ საქართველო) ჰიდრონიმიაში. არაა გასაკვირი, რომ შეიქმნა ნაირნაირი ეთნოგენეტიკური თეორიები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი ხალხების სამხრეთული წარმომავლობის შესახებ. *ჰ. უსლარს, უშაკოვს, ნ. მარს* (თავის ყველაზე ადრეულ ნაშრომებში), *ივანე ჯავახიშვილს* და სხვებს ისინი წინა აზიიდან გამოსულებად მიაჩნდათ.

თანამედროვე ადიღეელი/ყაბარდოელი ავტორების ჰიპოთეზით, აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხები მონათესავენი არიან ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს წინა აზიაში მცხოვრები ხათებისა და ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის სინდო-მეოტური ტომების ცალკეული ჯგუფებისა. ამავე ჰიპოთეზით, ამ პერიოდში (ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ახალი და ძველი წელთაღრიცხვის მიჯნამდე) აფხაზურ-ადიღეური სოციალურ-კულტურული სამყარო საკმაოდ დიდ სივრცეს მოიცავდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ანატოლიამდე. სავარაუდოდ, VI-VII საუკუნეებში ამ საფუძველზე ფორმირდა ადიღელი ხალხის ორი შტო – ზიხების (ჯიქების) და კასოგების (ქაშაგების).[11] რა შეიძლება ითქვას აღნიშნულის შესახებ? როგორც ჩანს, ძალიან დიდია ზოგიერთი ავტორის სურვილი, რომ საკუთარი ეთნოსი ძალიან ძველ და ისტორიის მქონე ეთნოსს – ხათებს დაუკავშირონ. სინდები და მეოტები მართლაც არიან ადიღეური მოდგმის ეთნოსების წინაპრები, რომლებიც ანტიკურ წყაროებში აზოვისპირეთში არიან მოხსენიებული. რაც მთავარია, ამ ხათებისა და სინდ-მეოტების ანუ ადიღელთა წინაპრების განსახლების არეალი, თურმე, იმდენად დიდი ყოფილა, რომ მოიცავდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიასა და ანატოლიას და ანატოლიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის მოქცეულ სამხრეთ კავკასიას. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ძვ. წ. I

[11] *Б. Бгажнаков.* Черкесы (Адыги). Под редакцией М. Курдиани, Тб., 2010, с. 9.

ათასწლეულიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ჩათვლით ქართველებსა (თუ პროტოქართველებს) და სხვა ეთნოსებს განსახლების არეალს ართმევენ, იმ დროისათვის ისეთი დიდი ეთნოსები არ არსებობდნენ, რომ დასახელებული ვრცელი ტერიტორია ჰქონოდათ დაკავებული. მეცნიერები სამართლიან ეჭვს გამოთქვამენ ქასქების (ქაშაგების) და აბეშლაელების ქაშაგებთან და აფსილებთან ნათესაობის ჰიპოთეზის შესახებ, რადგან, ცნობილია, რომ ეთნონიმებით ეს საკითხი არ წყდება – სრულიად სხვადასხვა წარმომავლობის ხალხები წყაროებში მსგავსი ეთნონიმებით არიან მოხსენიებული (თანაც ამ ეთნონიმების უმრავლესობა ეგზოეთნონიმია). ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთნონიმები არც თუ ისე იშვიათად დროთა განმავლობაში ერთი ხალხიდან სხვა ხალხს გადაეცემოდა. არცერთი ენობრივი მონაცემი ქასქებისა და აბეშლაელების მონათესაობას არ ადასტურებს. პირიქით, ქაშქებისა და აბეშლაელების ონომასტიკას ძალიან ბევრი მსგავსება გააჩნია დასავლურქართულთან (ზანურთან). განსაკუთრებით ეს ითქმის ფონემათა განაწილების იდენტურობაზე ქასქურსა და კოლხურს (ლაზურ-მეგრულს) შორის, განსაკუთრებით თვალშისაცემია აფიქსთა იდენტურობა.[12]

ხოლო *დ. გულია* უფრო შორს წავიდა და აფხაზები აბისინიიდან მოსულებად მიიჩნია. კავკასიისმცოდნეები კი ზემოთ ნახსენებ საერთო ნიშნებს, განსაკუთრებით ტოპონიმებსა და ეთნონიმიკაში, ერთი მხრივ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა და, მეორე მხრივ, ყირიმისა და სამხრეთ უკრაინისას ვერაფრით ვერ ამჩნევდნენ. დასავლეთ საქარ-

---

[12] *გრ. გიორგაძე.* ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000. გრ. გიორგაძის აღნიშნული მიგნება საგულისყუროა და ამ მხრივ მომავალ მკვლევართ ახალი მონაცემების გამოვლენა მართებთ. თუმცა აღნიშნული ნაშრომის შესახებ მეცნიერებაში უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულებაც არსებობს (გ. ყორანაშვილი).

თველოს ტერიტორიაზე წინარეაფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ჯგუფების მკვიდრობის რაიმე ფაქტი საერთოდ გამოირიცხა თანამედროვე ლინგვისტთა გამოკვლევებით: „აფხაზური მოსახლეობა არასოდეს ბინადრობდა გურიაში და აკად. ნ. მარის „თეორიას“ მთელ დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად აფხაზთა წინაპრების ცხოვრების შესახებ არა აქვს არც ლინგვისტური და არც ისტორიული საფუძვლები.“ „იგივე ითქმის დასავლეთ საქართველოში ფს(ა), ყვა, რა ელემენტებიანი და ზოგი სხვა ტიპის ტოპონიმების, ჰიდრონიმებისა და სატომო სახელების მცდარი ანალიზის საფუძველზე შექმნილი შეხედულებების შესახებ, თითქოს ასეთი ენობრივი ფაქტები ადასტურებდნენ დასავლეთ საქართველოში წინარე-აფხაზურ-ადიღეურ ტომთა ცხოვრებასა და მათ შემდგომ ასიმილაციას გვიან მოსული ქართველური მოსახლეობის მიერ. თანამედროვე მკვლევარები უკვე აღარ იზიარებენ ამ დაუსაბუთებელ „თეორიებს“ და ახლებურად ხსნიან ამგვარ ფაქტებს (იხ.: ა. ონიანის, ტ. ფუტკარაძის, მ. ჩუხუას და სხვათა ახალი გამოკვლევები).“[13]

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ არსებობდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა კიმირიული წარმოშობის ჰიპოთეზაც, განსაკუთრებით არქეოლოგებს შორის. ამ შეხედულების ავტორთაგან *ვ. ბლადოვსკისა* და *მ. არტამანოვის* დასახელებაც საკმარისია.[14] როდესაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაზე ვსაუბრობთ, არც იმის უთქმელობა შეიძლება, რომ ანტიკურ პერიოდში ის ეთნიკურად ისეთივე ჭრელი იყო, როგორც აღმოსავლეთი კავკასია. აქ საკმაოდ ბევრი მცირერიცხოვანი ხალხი ცხოვრობდა (საამისოდ სტრაბონის ცნობის გახსენებაც საკმარისია, რომელიც დიოსკურიაში კავკასიიდან სავაჭროდ ჩამოსული 70 ხალხის შესახებ საუბრობდა: „ქალაქში თავს იყრის 70

---

[13] *თ. გვანცელაძე.* აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., 2007, გვ. 180.

[14] *Л. Л. Лавров*. Избранные труды... Нальчик, 2009, стр. 56-51.

ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-იო ... ყველა ტომი განსხვავევულ ენაზე ლაპარაკობს, რადგან დაფანტულად ცხოვრობენ თავისი სიამაყისა და ველურობის მიზეზით“[15]), რომლებიც დროთა განმავლობაში ეთნოგენეტიკური პროცესების შედეგად გაქრნენ.[16]

მეცნიერები შეთანხმებულნი არიან იმ ფაქტზე, რომ კერკეტები და ტორეტები იგივე ჩერქეზები/ადიღეელები არიან. V საუკუნის ავტორი *ფსევდო-არიანი* მიუთითებდა კერკეტებისა და ტორეტების იგივეობაზე.[17] *პლინიუსი* ტორეტების ადგილსაცხოვრისად სინდიკის სამხრეთს მიუთითებდა. ხოლო სტრაბონი მათი განსახლების არეალად

---

[15] *სტრაბონი.* გეოგრაფია. – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია. ტომი I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 222.

[16] კავკასიის ეთნოდემოგრაფიულ ვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა ეპიდემიებიც. ევროპაში ამ დაავადების მძვინვარე თვისებების შესახებ წყაროებში ბევრი ფაქტია დაფიქსირებული. კავკასიის შესახებ კი მონაცემები არ გაგვაჩნია. მხოლოდ ზოგიერთი გადმოცემითა და არაპირდაპირი მონაცემებით დასტურდება კავკასიაში შავი ჭირის საყოველთაო გავცელების შესახებ. ეს მოვლენა, ისევე როგორც სხვაგან, აქაც მთელი რიგი ეთნოსების გაქრობას იწვევდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გადმოცემებიდან ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ხევსურული გადმოცემები ჟამნის/შავი ჭირის შესახებ. ერთ-ერთი ადიღეური ტერიტორიული ჯგუფის ხეგაკების (რომლებიც ანაპასა და სუჯუკ-კალეს (ნოვოროსიისკი) შორის შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ) გაქრობაში, მართალია, მნიშვნელოვანი როლი ოსმალურ-ყირიმულმა პერმანენტულმა ექსპანსიამ ითამაშა, მაგრამ მათი საბოლოო გაქრობა 1812 წლის შავმა ჭირმა განაპირობა. პანეშის მონაცემებით, შავი ჭირის გამო, XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის ყაბარდელთა რაოდენობა 200 ათასიდან 30-35 ათასამდე შემცირდა. 1347-1348 წლებში მთელ ევროპას მოედო შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ევროპაში შავი ჭირის ეპიდემია კაფადან (ახლანდელი ფეოდოსია) გავრცელდა. კაფაში კი ეპიდემია მონღოლებმა შეიტანეს. მონღოლეთ-ჩინეთში კი მან 1342 წელს იფეთქა. ბუნებრივია, შავი ჭირის ეპიდემიას იმ დროს კავკასიის ხალხებიც ვერ გადაურჩებოდნენ – კაფა (ფეოდოსია) ხომ ჩრდილოეთ კავკასიასთან ყურისძირშია.

[17] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 56-51.

მდინარე ყუბანის ჩრდილოეთს ასახელებდა. კერკეტების კიდევ ერთი გადასახლება IV საუკუნის დასაწყისში მოხდა – მათ საცხოვრებელი ადგილი გუთებმა შეაცვლევინეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ადიღეელთა ეთნიკური ერთეულების წინაპრებად არიან მოხსენიებულნი აზოვისპირა მეოტები, რომლებიც ყუბანისპირეთის სტეპებში ცხოვრობდნენ. ისინი აქ ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე ჩანან. ვარაუდობენ, რომ მეოტების შემადგენლობაში იყვნენ არა მარტო აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე, არამედ ირანულ ენებზე მოლაპარაკე ტომებიც. 370 წელს ჰუნების თავდასხმები მეოტებსაც შეეხო. ჰუნების შემოსევამდე მეოტები ცხოვრობდნენ აზოვის ზღვასა და დონის შესართავს შორის და ყუბანის ქვემო დინებაზე. ამ დროს მოხდა მეოტების განსახლების არეალის შეცვლა და მარჯვენა ნაპირის ყუბანისპირეთიდან მარცხენა ნაპირზე გადანაცვლება. ჰუნების შემოსევების შემდეგ აღარ იხსენიებიან სხვა ადიღეური მოდგმის ეთნიკური ერთეულები: *სინდები, ასპურგიანები, ფსესები, დოსხები, დანდარები*..., რომლებიც აზოვისპირეთში ცხოვრობდნენ. ამ დროიდან ადიღეური ტომების ადგილი ყუბანსა და დონს შორის მომთაბარეებმა დაიჭირეს.[18]

არ შეიძლება გვერდის ავლა იმ ჰიპოთეზისთვისაც, რომლითაც ვარაუდობენ, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელები მცირე აზიიდან გადმოსახლებული ქაშქების შთამომავალნი არიან. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქაშქების გადმოსახლება დასტურდება „ენათმეცნიერების ზოგიერთი უახლოესი მონაცემებით“[19]. იმასაც აღნიშნავენ, რომ მაიკოპის კულტურის (ბრინჯაოს ეპოქა; ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი) წარმომადგენლები აქ მახლობელი აღმოსავლეთიდან მოვიდნენ. მაგრამ ხაზი იმასაც ესმება, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავ-

---

[18] *Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 56-51.

[19] *В. Б. Виноградов*. Средняя Кубань: земляки и соседи (формирование традиционного населения). Армавир, 1995, С. 20-21.

კასიაში ძველაღმოსავლური ცივილიზაციის (სამეთუნეო ჩარხი, ბორბალი, რთული სოციალური სტრუქტურა) მომტანი ხალხი, აღმოჩნდა რა თავის სოციალურ-ეკონომიკურ და გეოგრაფიულ გარემოს მოწყვეტილი, მალე განდევნილი და ასიმილირებული იქნა სხვა კულტურის მატარებელთა მიერ. თუმცა ის მოსაზრებაც არსებობს, რომ მაიკოპის კულტურა წარმოიქმნა ადგილობრივ ნიადაგზე, რომელიც განიცდიდა წინააზიური ცივილიზაციის მნიშვნელოვან გავლენას.[20] მაიკოპის კულტურის მატარებელთ რომ შემდეგ-დროინდელ ეთნიკურ ერთობებთან თითქმის აღარაფერი ჰქონდათ საერთო, ამას ის უმნიშვნელოვანესი ფაქტიც ადასტურებს, რომ თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში ის ყუბანში საერთოდ ქრება. უფრო მეტიც: მაიკოპის კულტურის გაქრობის შემდეგ, ქრება ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანიც, ისიც 2 ათასი წლით.[21] აღნიშნული ნაკეთობანი ხელახლა ჩნდება მხოლოდ ძვ. წ. VII-V საუკუნეების სკვითურ ყორღანებში. ასე რომ, თანამედროვე ადიღეურ ეთნიკურ ერთობებს არაფერი ჰქონდათ საერთო მაიკოპის კულტურის შემქმნელებთან და მათი წინაპრები მაშინ ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში. ადიღეური ტომების განსახლების არეალად აღნიშნულ პერიოდში ყუბანისპირა სტეპებს ვერ ვიგულისხმებთ. პროტოადიღეელების განსახლების არეალად მხოლოდ ორი გეოგრაფიული ერთეული შეიძლება ვიგულისხმოთ: 1. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთა და მთისწინეთი და 2. უფრო ჩრდილოეთით მდებარე მიწები (აზოვისპირა ჩრდილოეთი მონაკვეთი, ყირიმი, სამხრეთი უკრაინა). ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები, ალბათ, გამოსარიცხია, რადგან აქ მომთაბარე სხვადასხვა წარმომავლობის ტომები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ (სტეპები

---

[20] *В. В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. СПб, 2007, С. 18.

[21] *В. В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 18.

მომთაბარეთა ეთნოსფეროს სამყაროდ XIX საუკუნემდე დარჩა).

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ყუბანის შუა დინების მარცხენა შენაკადების აუზში არსებობდა ყუბანისპირეთის კულტურა. მას გარკვეული კონტაქტები გააჩნდა ყობანურ კულტურასთან, რომელიც მდინარე ურუპის რაიონში არსებობდა. მეცნიერები შენიშნავენ, რომ ამიერიდან ჩვენ შევდივართ ეთნიკური ისტორიის ზოლში, როდესაც ჩნდება ეთნოსთა სახელწოდებები.[22]

როდესაც ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზზე და მათი თავდაპირველი განსახლების არეალზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გათვალისწინებული არ იყოს ის ფაქტი, რომ ათასწლეულების განმავლობაში 1000 კილომეტრი სიგრძის მდინარე ყუბანი იყო საზღვარი სტეპსა და დასავლეთ კავკასიის მთისწინეთს შორის, ე. ი. მთელი ყუბანისპირეთი იყო მომთაბარეებისა და მთაში/მთისწინეთში მობინადრე ეთნოსების საკონტაქტო ზონა.[23] *ლ. გუმილიოვის* თეორიის მიხედვით, ახალი ეთნოსები წარმოიქმნებოდა სწორედ ასეთ საკონტაქტო ზონებში, სადაც არა მონოტონური ლანდშფტი, არამედ ლანდაფშტური რეგიონების საზღვარი გვქონდა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ადიღეელებამდე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არაერთი სხვა ეთნოსი წარმოიქმნა და გაქრა. ამ რეგიონში ძველი ეთნოსების გაქრობას და ახლების წარმოქმნას ისიც უწყობდა ხელს, რომ ათასწლეულის განმავლობაში დიდი სტეპების სიღრმიდან აზოვისპირეთის აღმოსავლეთით მოსული მომთაბარე სტეპების მკვიდრნი, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის კლიმატის გამოისობით თანდათან გადადიოდნენ ახალ სამეურნეო ყაიდაზე. ეს პროცესი კი მუდმივად მეორდებოდა დროის ძალიან დიდ მონაკვეთში ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნიდან, ვიდრე

[22] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 22.
[23] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 24.

XIX საუკუნემდე. ეს მომთაბარე „სტეპნიაკი“-მესაქონლეები აზოვისპირეთის შესანიშნავი საძოვრების გამოისობით და მისი კლიმატის თავისებურების გამო, ნახევრად მომთაბარეებად იქცეოდნენ; ისინი კი გამოსაზამთრებელ ადგილებში მუდმივ საცხოვრებლებს ქმნიდნენ, რაც ადრე მათთვის უცნობი იყო. უცნობი იყო ინტენსიური და მუდმივი ეთნოსთაშორისი კონტაქტებიც.[24] ამრიგად, როგორც ჩრდილოდასავლეთ კავკასიის ნომადური (მომთაბარე) მეურნეობა, ისე მთის ზოლის გადარეკვითი მეცხოველეობა ათასწლეულების განმავლობაში განაპირობებდა ინტენსიურ და მუდმივ ეთნოსთაშორის კონტაქტებს, და გარკვეულ მომენტებში – ეთნოგენეზის პროცესსაც.[25]

არსებობს საინტერესო ჰიპოთეზა, რომ პროტოადიღეელები არ წარმოადგენენ კავკასიის ავტოქტონურ მოსახლეობას და ერთ-ერთი გეოგრაფიულ მიმართულებად, რომელთანაც დაკავშირებულია მათი ადრეული მიგრაცია, ჩინეთის ტერიტორია მიიჩნევა. აქვე შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ უკანასკნელი ეთნოლინგვისტური გამოკვლევებით, დასტურდება გენეტიკური სიახლოვე ადიღეურ-აფხაზური და ჩინური ენებისა.[26]

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ე. წ. დინლინის პრობლემა. ეთნოლოგი *ე. პანეში* ამ პრობლების შესახებ შემდეგს აღნიშნავდა: ჩინური ქრონიკების თანახმად, ჩინეთის ტერიტორიაზე ბინადრობდა რომელიღაც ხალხი *დინლინები* (ცენტრალური აზიის ძველევროპეიდული რასის წარმომადგენლები), რომლებმაც შემდეგ დატოვეს ეს ტერიტორია და უკვალოდ გაქრნენ ევრაზიის სივრცეებში. წყაროებში *დინლინები* მოიხსენიებიან ძვ. წ. III საუკუნისათვის. არსებობს მთელი რიგი ვარაუდები, რომლებითაც *დინლინები* უფრო გვიანდელ კულტურებთან, ძი-

---

[24] Материальная культура. Вып. 3. М.: 1989, С.72.

[25] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 26.

[26] *Панеш Э. Х.* Этническая психология и межнациональные отношения. Взаимодействие и особености (На примере Западного Кавказа). СПб.: 1996, С.67.

რითადად ცენტრალურაზიური წარმოშობის კულტურებთან არიან გაიგივებული. მაგრამ არც ერთი მათგანი არ წყვეტს პრობლემებს და ის დღემდე გადაუწყვეტელია. მხედველობაში თუ მივიღებთ ჩინური და ადიღეურ-აფხაზური ენების სიახლოვეს, შესაძლებელია გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი პროტოადიღეელი ტომების კავშირის შესახებ ლეგენდარულ დინლინებთან. ე. *პანეში* იმასაც შენიშნავს, რომ ეს შეხედულება/ჰიპოთეზა სპეციალური დეტალური გამოკვლევის ღირსია. ამასთან ერთად, ენობრივი პარალელების გარდა, ყურადღებას იქცევს ზოგიერთი სხვა დეტალიც. კერძოდ, მიუთითებენ ადიღეური გვარის *დაურ*-ის შესახებ, რომლის წარმომავლობა, სხვა ადიღეური გვარებისაგან განსხვავებით, გაურკვეველია. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ დინლინის ტომის განსახლების ტერიტორია იყო ძალიან ფართო და მასში დაურიაც შედიოდა. აღსანიშნავია, რომ დაურების ეთნოგენეზი დღეისათვის აბსოლიტურად შეუსწავლელია. *ე. პანეშისა* და სხვა მეცნიერების ყურადღების სფეროში მოექცა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ესაა ადიღეელთა სპეციფიური ზოგიერთი სოციალური ინსტიტუტის მსგავსება ჩინეთისა და იაპონიის ტრადიციულ საზოგადოებებთან. ასე, მაგალითად, განსაცვიფრებელია ადიღეელთა სამხედრო არისტოკრატიის რაინდული ეტიკეტის განსაკუთრებული სიახლოვე, რომელსაც კავკასიის სხვა ხალხებში ანალოგია არა გააჩნია, და იაპონელთა სამხედრო ფენის სამურაების ბუსიდოს კოდექსისა. საუბარია აგრეთვე არისტოკრატი ქალის ტანსაცმლის ელემენტებზე, შუა საუკუნეების მამაკაცის ელიტარულ ვარცხნილობაზე, გარკვეულ სოციალურ-ლინგვისტურ პარალელებზე. მაგალითად, მოყავთ ადიღეური ტერმინი „ჯეგუნი“, რომელიც უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-კულტურულ კონტექსტთანაა დაკავშირებული და ჩინური „ციგუნი“ – ძალა, საბრძოლო ხელოვ-

ნება („ცი“ – ამხედრებული), იაპონური „სეგუნი“ – თავადი და ა. შ.[27]

აღნიშნულთან დაკავშირებით, ვ. *გუდაკოვი* შენიშნავს, რომ თუ დავუშვებთ, რომ დინლინებმა ჩინეთის ტერიტორია ეთნოსთაშორისი კონფლიქტის შედეგად (უფრო სწორედ მათ წინაპრებთან) დატოვეს და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში წავიდნენ, მაშინ შეიძლება „ნართებში“ მოხსენიებული *ჩინთებიც* გავიხსენოთ.[28]

აღნიშნულთან დაკავშირებით, *ვ. გუდაკოვიც* ასკვნის: „დინლინ-ჩინური ეთნოსთაშორისი კონფლიქტის შედეგად, დინლინებმა დატოვეს თავიანთი ეთნოსფერა, გაიარეს ევრაზიის კონტინენტი და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოიპოვეს ახალი სამშობლო. რაღაც დროის შემდეგ მათ დაემართათ იგივე, რაც მაიკოპის კულტურის წარმომადგენლებს. დინლინებმა განიცადეს ასიმილაცია და პროტოადიღეელების კავკასიურ სუბსტრატად იქცნენ, რომლებმაც თავიანთ შთამომავლებს გადასცეს აღმოსავლეთიდან მოტანილი ქცევის ეთნიკური სტერეოტიპები: ოკეანის სანაპირო ზოლის ზღვაოსნობის ჩვევები, ნავების ტიპი, ადიღეური აზნაურების რაინდული ეტიკეტი და ა. შ. „ნართების“ ეპოსმა შემოინახა აგრეთვე ოდესღაც დინლინებსა და ჩინელებს შორის არსებული კონფლიქტის გამოძახილი. შეიძლება გავიხსენოთ, რომ ჩინთები მოდიან „ამბოხის ადგილიდან“, ჩინეთში კი, როგორც ცნობილია, ძველ და შუა საუკუნეებში არაერთხელ დაფიქსირებულია „ამბოხის პერიოდი“, სამეფოებსა და დინასტიებს შორის.“[29]. ასეთებად მიიჩნევენ „დი“-ს ანუ „ჟუჟანის“ ხალხს (*ლ. გუმილიოვი*). *გუმილიოვის* მიხედვით ევროპეიდული მოსახლეობის ფორმირების ორი სხვადასხვა ცენტრი არსებობდა და ერთ-ერთი მათგანი ალტაის მთისწინეთში მდებარეობდა.[30] ინ-

---

[27]*Панеш Э. Х.* Этническая психология и межнациональные ... СПб.: 1996, С.69.
[28]*В. Гудаков.* Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 33.
[29]*В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 33.
[30]*И. Коломийцев*. Тайны Великой Скифии. М., 2005, С. 297.

დოევროპელი-თოხარები დასავლეთ ჩინეთში VI-VIII საუკუნეებამდე ბინადრობდნენ.[31]

ზემოთქმულთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულად დადასტურებული „ჩინელი“ ევროპეიდების შესახებ.

აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ნართების“ ეპოსის არქაული ფენების შესწავლას. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ აფხაზ-ადიღეელებისა და ოსების წინაპრები – პროტოადიღეელები და ალანები – გარკვეული დროის გამნავლობაში მჭიდრო კავშირში ცხოვრობდნენ. გასარკვევია სად და როდის უნდა მომხდარიყო პროტოეთნიკური ერთეულების ეთნიკური კონტაქტები. *ვ. გუდაკოვი* ასეთი დროის მონაკვეთად ვარაუდობს საკმაოდ დიდ პერიოდს – ადრე რკინის ხანიდან ადრე შუა საუკუნეებამდე. რა თქმა უნდა, ორი ეთნოსის სხვადასხვა ჯგუფების შერევა ასეთი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ მიმდინარეობდა. ეთნოგენეტიკური პროცესისათვის ორი-სამი თაობაც საკმარისია. ხოლო პროტოადიღეელებისა და ირანულენოვან ეთნოლინგვისტურ ერთობათა ურთიერთობების ასეთი ადგილი არც გვიანი შუასაუკუნეების ოსეთი და არც გვიანი შუასაუკუნეებიის ადიღეა შეიძლება ყოფილიყო. აბა, სად უნდა მომხდარიყო ეს კონტაქტი და ეთნიკური პროცესი? – იქ, სადაც ირანული ეთნოლინგვისტური ერთობები მომთაბარეობდნენ, ხოლო პროტოადიღეელები ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ: აზოვისპირეთი და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი. თუმცა ამ შერევების სხვა ვარიანტზეც შეიძლება საუბარი. ეს შეიძლება ადრე შუა საუკუნეებშიც მომხდარიყო, როდესაც IV საუკუნის შემდეგ ცენტრალური კავკასიის სტეპებში ალან-ოსები დასახლდნენ. მათგან დასავლეთით კი ყუბანის მარცხნივ ადიღეური ეთ-

[31] *И. Коломийцев*. Тайны Великой Скифии. М., 2005, С. 300.

ნიკური ერთობები ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას მის-
დევდნენ. ჩვენ უფრო პირველი ვარიანტი მიგვაჩნია სიმარ-
თლესთან ახლოს, რადგან ადიღეური ვარიანტის ნართულ
ეპოსში საუბარია მდინარეებზე – *ტენი (დონი), ინდილი*
(ვოლგა).

თანამედროვე მეცნიერებაში ადიღეური ეთნიკური ერ-
თეულების წინაპარ ეთნოსად მეოტები მიიჩნევიან, რომ-
ლებიც აზოვისპირეთში ანტიკურ წყაროებში ძვ. წ. VI სა-
უკუნიდან იხსენიებიან, სადაც მათ თვალი ახ. წ. III-IV სა-
უკუნეებამდე ედევნებათ. მეოტების ინდოირანელებთან კონ-
ტაქტები სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო, თუმცა,
როგორც სამართლიანად შენიშნავენ, ინდოირანულ სტე-
პურ ეთნოსებთან კონტაქტები არც შემდგომ პერიოდშია
გამორიცხული. ვიმეორებთ, მეოტების განსახლების არეა-
ლად მიჩნეულია აზოვის ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო
დონის დელტამდე.[32] მაგრამ ისმის კითხვა: რაიმე წყარო
არსებობს იმის გამოსარიცხი, რომ მეოტები უფრო ჩრდი-
ლოეთითაც არ ცხოვრობდნენ? ადიღეელების „ყველაზე
ადრეული კულტურული იდენტიფიკაცია“ სკვითებს უკავ-
შირდება. შენიშნავენ, რომ სკვითების ადიღეელების წინაპ-
რებთან მჭიდრო კონტაქტებმა მიგვიყვანა კულტურის მთე-
ლი საერთო ელემენტების ჩამოყალიბებასთან, რომელიც
გვიან ადიღეური ეთნიკური ქცევის სტერეოტიპის ნაწილად
იქცა. სკვითური სამხედრო მემკვიდრეობა აითვისეს ადიღე-
ელთა წინაპრებმა, რომელიც ტრადიციად იქცა.[33] სტეპების
სკვითი „მეომარი-მხედარი“ ტრანსფორმირდა ადიღეელ
უნივერსალურ „მოჯირითე-მხედრად“, რომელიც საშიში
იყო, როგორც დასავლეთ კავკასიის მთისწინეთში, ისე
ვრცელ სტეპურ გაშლილ სივრცეებში დუნაიდან ვოლგა-
მდე. ცხენოსნობა/მხედრობა იქცა ადიღეელის ცხოვრების

---

[32]*Кузнецов И. В.* Числительные в языках народов Кавказа (Этнокультурный аспект проблемы «Восток-Запад») // Археологические и этнографические исследования Северного Кавказа. Краснодар: 1994, С. 86.

[33]*Панеш Э. Х.* Этническая психология и межнациональные ... СПб.: 1996, С.241, 291.

ნორმად, ხოლო ე. წ. არისტოკრატიული ზედაფენისათვის ერთადერთ ღირსეულ საქმიანობად.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სკვითურ ცივილიზაციასა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას შორის საუკუნოვანი კონტაქტი არსებობდა, რასაც მოწმობს უძველესი ინდოირანული ნასესხობანი აფხაზურ-ადიღეურ ენებში.[34] მანამ, სანამ მათ მიერ დადასტურებულ ლექსიკურ ერთეულებს მოვიხმობთ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ირანულენოვანი ეთნიკური ერთობებიდან მხოლოდ სკვითებთან ჰქონდათ პროტოადიღეელებს კონტაქტები? მათთან კონტაქტები არ ჰქონდათ სარმატებსა და ალანებს? რით მტკიცდება, რომ ეს ლექსიკური ერთეულები მაინცდამაინც სკვითური ენიდანაა შესული და არა სარმატული ან ალანური ენიდან? აფხაზურ-ადიღეურ ენებში ინდოირანულიდან შესულ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს ასახელებენ: 1. ცხოველთა სამყაროს ამსახველი (მთის ინდაური, მამალი თხა/ვაცი, ღორი, ცხენი, ცხვარი); 2. შრომის იარაღები და საგნები: ცული, სათევზაო ბადე, რკინა, აგრეთვე: ქერის, ღვინის სახელწოდებანი; რძალი...

აფხაზურ-ადიღეურ ენებს ინდოირანულ მემკვიდრეობასთანაც აკავშირებენ. კერძოდ მიიჩნევენ, რომ სინდების ენა ინდოევროპული ენა იყო, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ სინდები ინდოევროპელები იყვნენ. ისინი ტამანიდან ანაპამდე, ე. ი. აზოვისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში ცხოვრობდნენ. თუმცა არის შეხედულებაც, რომ ისინი მეოტების ნაწილნი იყვნენ. ზოგიერთ ავტორს კი მიაჩნია, რომ სინდები ჩამოყალიბდნენ წინა აზიიდან დაბრუნებული და ყუბანისპირეთში დასახლებული კიმირიელებისა და ადგილობრივ მეოტურ მოსახლეობასთან შერევის შედეგად. რუსი მეცნიერი *ო. ტრუბაჩევი* მიიჩნევდა, რომ „სინდები და მეოტები – არიან პრეინდოელები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოადგენდნენ ინდოევრო-

[34] *Шагиров А. К.* Заимствованная лексика абхазо-адыгских языков. М.: 1989, С. 157.

პელებს, მათი ძირითადი მასის სამხრეთ-აღმოსავლეთით წასვლის შემდეგ.“[35] ასე თუ ისე მეცნიერები იმაზე შეთანხმებულნი არიან, რომ აფხაზურ-ადიღეურ ენებში არის ინდოარიული ნასესხობების ძველი პლასტები, ან სინდებისაგან (თუ ისინი იყვნენ ინდოარიელები), ან სკვითებისაგან გადაღებული. პროტომეოტებისა და მეოტების კონტაქტები მათთან იყო საკმაოდ ინტენსიური, რამაც ასახვა პოვა ენაში. ეს ეთნოსთაშორისი ინტენსიური კონტაქტები სტეპების ხალხებთან განპირობებული იყო მეოტების ადგილმდებარეობით.

სამეცნიერო ლიტერატურაში *მეოტების* განსახლების არეალად მიიჩნევა აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და მდინარე ყუბანის ქვემო და შუა დინება. ანტიკური წყაროებით ნამდვილად დასტურდება აზოვისზღვისპირეთში მეოტების მკვიდრობა, მაგრამ ყუბანის ქვემო და შუა დინების მისამართით ამას ვერ ვიტყვით. მათ აქ მკვიდრობას არქეოლოგიური მონაცემებით გულისხმობენ.

ბევრი მკვლევარი მეოტებს კავკასიის ავტოქტონურ ტომებს მიაკუთვნებს, მაგრამ მათი სკვითური წარმომავლობის შესახებაც ბევრი საუბრობს.[36] *ვ. გუდაკოვს* დასაშვებად მიაჩნია მეოტების ეთნოგენეზში რომელიღაც ინდოირანული სუბსტრატის მონაწილეობა, რომლებიც საფუძვლიანად ასიმილირებულნი იქნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.[37] ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ირანელების მეოტებთან რამდენიმე შერევა მოხდა. აფხაზურ-ადიღეური (უფრო სწორედ პროტოაფხაზურ-ადიღეური) ეთნიკური ერთეულები მეოტებისა და ინდოევროპელების შერევის შედეგად უნდა წარმოქმნილიყვნენ. დაზუსტებული მონაცემებით ირკვევა, რომ მეოტები ყუბანიდან დონის ქვემო დინების 50 კილომეტრიან მონაკვეთში ცხოვრობდნენ. დონის ქვემო

---

[35] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 37.

[36] История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М.: 1988, С. 72-73.

[37] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 37.

დინებაზე მეოტების მჭიდრო მოსახლეობა დადასტურებულია ახ. წ. პირველ საუკუნეებში.

სინდებისა და მეოტების გარდა, ანტიკური ავტორები სხვა ბევრ ტომსაც ასახელებენ. ესენი არიან *კერკეტები, ტორეტები, დანდადიები, ტარპეტები, ფსესები, ფატიები, ზიხები, აქეები* და ა. შ. ამ ტომების უმეტესობასაც კავკასიათმცოდნეთა უმეტესობა პროტოადიღეელებად მიიჩნევს. *ლ. ლავროვის* აღნიშვნით ამ სტეპური ადიღეური ტომების საერთო სახელწოდება „მეოტები“ იყო, რომლებიც საბოლოოდ ჰუნების შემოსევის დროს გაქრნენ და ყუბანსა და დონს შორის არსებული მიწები საბოლოოდ მომთაბარე თურქულენოვანმა მომთაბარეებმა დაიკავეს.[38]

ვ. გუდაკოვი: „სკვითების ყველაზე ძლიერი გავლენა განიცადეს მეოტებმა, რომლებიც მოსახლეობდნენ აღმოსავლეთ აზოვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ტანაისის (დონის) დელტაში და მეოტიდის სანაპიროს უფრო დასავლეთ ოლქებში. ეს იყო ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვარი. ასე რომ, აქ სტეპური სივრცეები ებჯინება აზოვის ზღვას. არავითარი ბუნებრივი საზღვარი აქ არ იყო და მოსახლეობას ადვილად შეეძლო შერეოდა ირანულენოვანი სტეპების ბინადრებს. ამიტომ მეოტების ამ ჩრდილოეთის ჯგუფების არქეოლოგიური კულტურა განსხვავდება ყუბანისპირეთისაგან.“[39]

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის და აგრეთვე ვოლგისა და დონის შუამდინარეთში ეთნოსთაშორის ურთიერთობებში ახალი ეტაპი იწყება ძვ. წ. III საუკუნიდან. ეს პერიოდი დაახლოებით 6 საუკუნე გრძელდებოდა, ახ. წ. III საუკუნემდე. ისტორიის ამ მონაკვეთს მეოტ-სარმატთა ურთიერთობის პერიოდს უწოდებენ, რომელიც იმდენად მჭიდრო იყო, რომ ზოგიერთი არქეოლოგი მას „მეოტ-სარმატულ ტომების“ კულტურას უწოდებს. სარმატები მეოტებს შეერივნენ.[40] შენიშნულია, რომ სარმატები მეოტებ-

---

[38] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 91.

[39] История народов Северного Кавказа ... М.: 1988, С. 73.

[40] *Анфимов Н. В.* Курганы рассказивают... Краснодар, 1982, С. 114.

თან იმდენად მჭიდრო ეთნიკურ კონტაქტში იმყოფებოდნენ, რომ მათი ურთიერთშერწყმა და ასიმილაციური პროცესი მიმდინარეობდა. სარმატიზაციის პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ. წ. I საუკუნის ბოლოს, მაგრამ „გაბატონებული რჩებოდნენ მეოტთა ტომები, მეოტების ენა“.[41] ბინადარ ცხოვრებაზე გადასული სარმატები ასიმილირდნენ. ეს მოსახლეობა ყუბანის მარჯვენა ნაპირზე ახ. წ. III საუკუნეშიც აგრძელებდა აქ ცხოვრებას. მეოტებში სარმატიზაციის შედეგად ფართოდ გავრცელდა „საერთოსარმატული მატერიალური კულტურის საგნები – იარაღი, სამკაული, ტანსაცმლის ტიპი, სარკე და ბოლოს, დასაკრძალავი ნაგებობები.[42]

ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ყუბანისპირეთში ალანები გამოჩნდნენ, რომლებიც ვოლგასა და დონს შორის მომთაბარეობდნენ. ისინი ირანულენოვანი სარმატების ტომებს მიეკუთვნებოდნენ. მომთაბარე ალანები ყუბანის აღმოსავლეთში შეიჭრნენ და კონტაქტი დაამყარეს ბოსფორთან. ბოსფორისათვის ამ ურთიერთობას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ის ფაქტიც მოწმობს, რომ „ფანაგორიაში არსებობდა ალანი თარჯიმნების ჯგუფი, რომლის სათავეშიც 208 წელს იდგა ვინმე ირაკი“.[43] IV საუკუნეში, უფრო ზუსტად 370 წელს, მოხდა ალანების შეჯახება ჰუნებთან, რაც გამოწვეული იყო ცენტრალური აზიის სიღრმეში წარმოქმნილი მორიგი ეთნიკური ბიძგებით. ალანებმა დამარცხება განიცადეს და ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი ნაწილი ჩათრეული იქნა „ხალხთა დიდ გადასახლებაში“. მეორე ნაწილი ჰუნების სამხრეთული ტალღის ზეწოლით სამხრეთისაკენ – ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ნაწილში, მდინარეების ყუბანისა და თერგის ველებში – იქნა ჩაწეული. ალანებამდე ყუბანის მარჯვენა ნაპირზე თუ ბინადარი მოსახლეობა მართლაც არსებობდა, მაშინ ამ დროიდან ყუბანის სტეპური მარჯვენა სანაპირო

---

[41] *Анфимов* Н. В. Курганы рассказивают... Краснодар, 1982, С. 11.
[42] *Анфимов* Н. В. Курганы рассказивают... Краснодар, 1982, С. 118.
[43] История народов Северного Кавказа ... М.: 1988, С. 86.

საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა მომთაბარე ტომების სამომთაბარეო სივრცედ იქცეოდა: *ავარები, ბულგარები, ხაზარები, პაჭანიკები, ყივჩაღები, თათრები, ნოღაელები.* ხანდახან იშვიათად ყუბანის მარჯვენა ნაპირას წარმოიქმნებოდა ადიღეური დასახლებები, რომლებიც საშიშროების შემთხვევაში ყოველთვის მზად იყვნენ სხვა ადგილას გადასულიყვნენ. და მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს ყუბანის მარჯვენა ნაპირზე გამოჩნდა შავიზღვისპირელი კაზაკების სტანიცები, რომლებიც აქ ეკატერინე II-ემ გადმოასახლა.

ჰუნები ჩრდილოეთ კავკასიის გასწვრივ დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში წინ მიიწევდნენ და შემდეგ კი სამუდამოდ წავიდნენ. კავკასიაში დარჩენილი ალანების შემდგომი ეთნიკური ისტორია აქ გაგრძელდა. ჰუნებმა მათ ეთნოსფერა შეაცვლევინეს. ალანებისა და ჰუნების კონტაქტმა ეთნიკური შერევები გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ალანების შემდგომ ეთნიკურ ისტორიაზე. ჰუნებთან შეჯახება რომ არ ყოფილიყო, მაშინ ალანები სავარაუდოდ სტეპურ სივრცეებში დარჩებოდნენ და მათი ისტორია მომთაბარეების ტიპიურ ისტორიას არ გაცდებოდა.[44] მაგრამ ალანები IV საუკუნის ბოლოს სამხრეთისაკენ წამოწევის შემდეგ, თანდათან ბინადრებად, მკვიდრებად იქცნენ. ალანების ბინადრებად გადაქცევის მიზეზი მხოლოდ ერთადერთი იყო: კავკასიის მთისწინეთში მომთაბარეობა შეუძლებელი/მოუხერხებელი იყო. ლანდშაფტი და კლიმატი ალანებს ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას აიძულებდა. ალანების განსახლების არეალი იყო დასავლეთი და ცენტრალური კავკასიის მდინარეების ტყიანი ველები. ალანებმა, შეერივნენ რა ადგილობრივ მოსახლეობას, სწრაფად გადაიღეს ბინადართა ცხოვრების წესები. ალანების მოსვლისთანავე ძველი კულტურა განვითარდა და V-VI საუკუნეებიდან ახალი შეიქმნა. ცენტრალური და დასავლეთ კავკასიის მდინარეთა ველებსა და

[44] *В. Гудаков.* Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 53.

ტყიან მთისწინეთში წარმოიქმნა ახალი დასახლებები. ალანებმა შეინარჩუნეს ინდოევროპული კულტურის ნიშნები, ენა და ა. შ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ტიპურ კავკასიურ ეთნოსად იქცნენ. ეს ალანია იცის *რუბრუკვისმა,* რომელიც არაერთხელ მოიხსენიებს თავის ჩანაწერებში „ალანების მთებს“ – Montes Alanorum. ალანთა ეთნოსფერას ანუ განსახლების არეალის ნაწილი შეჭრილი იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მაღალმთიან რაიონებში ქლუხორის გადასასვლელის ირგვლივ. სამხრეთით ის ესაზღვრებოდა სვანებსა და აფხაზებს (*ვ. გუდაკოვი* აგრეთვე ასახელებს მეგრელებს), ხოლო ჩრდილოეთით ურუპისა და დიდი ლაბის შუანდინარეთში – პროტოადიღეელებს.[45] ფაქტია, რომ კავკასიაში მოსულ ალანებს მნიშვნელოვანი ეთნიკური კონტაქტები ჰქონდათ ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებთან, კერძოდ, მეგრელებსა და სვანებთან. *ვ. აბაევი* ოსურ ენაში ყველაზე მეტად მეგრულსა და სვანურ სუბსტრატს გამოყოფს. *ვ. გუდაკოვი* იმოწმებს რა ფრანგ ლინგვისტსა და ეთნოლოგს გიორგი *შარაშიძეს,* აღნიშნავს, რომ ოსურ ენაში არის ნასესხობები სვანური და მეგრული მეტყველებებიდან, თანაც ესაა ყველაზე ნიადაგსახმარი სიტყვები, როგორიცაა „ქვა“ და „ცეცხლი“. ისინი მიუთითებენ ეთნოსთაშორის ურთიერთობების არა მხოლოდ სიღრმესა და ინტენსიურობაზე, არამედ დასახელებულ ხალხებს შორის „სიმბიოზზეც“.[46]

არანაკლებ ინტენსიური იყო ალანების კონტაქტები ადიღეელების წინაპრებთან. მეცნიერები აფხაზურ-ადიღეურ ენებში ალანიზმების/ოსიზმების მნიშვნელოვან პლასტს პოულობენ. *კლიმოვი* და *შაგიროვი* ასეთ ლექსიკურ ერთეულებს შორის ასახელებენ ჯაჭვის, მინის, ცელის, ძნის, საქონლის აღმნიშვნელ ტერმინებს. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა ყოველდღიურ ცხოვრებას, რაც, როგორც წესი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მჭიდრო ეთნიკუ-

---

[45] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 54.

[46] *Charachidze G*. La memoire indo-europeens du Caucase. Hachette, 1987, p. 124.

რი ურთიერთობის მოწმობას წარმოადგენს. *ვ. გუდაკოვის* სიტყვით, ასეთმა სიმბიოზურმა ურთიერთობებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს როგორც ალანების, ისე ადიღეელების წინაპრებზე, რომლებსაც ამ დროიდან დასახელებული ავტორი „პროტოადიღეელებს“ უწოდებს. პროტოადიღეელები ერთგვარ ხიდს წარმოადგენდნენ წამსვლელ, IV საუკუნიდან პრაქტიკულად გამქრალ მეოტების ეთნოსსა და ადიღეელებს შორის, რომელიც, როგორც ეთნიკური სისტემა, საკმაოდ გვიან მოგვევლინა.

ალანებისა და პროტოადიღეელების სიმბიოზი იმდენად მჭიდრო იყო, რომ მათ ერთმანეთის ქცევის სტერეოტიპებზე მოახდინეს გავლენა.[47] *ვ. გუდაკოვის* მიხედვით, ასეთი მტკიცებულობანი მოიპოვება, როგორც მითოლოგიაში, ისე საისტორიო წყაროებში. პირველი მაგალითი ნართების ეპოსია.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში შემორჩენილი იყო სტეპური წეს-ჩვეულებების სუსტი გამოძახილი. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ადიღეელებში სტეპური წეს-ჩვეულებები თითქმის ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი; ისინი ფაქტობრივად ნახევრადმომთაბარეებს წარმოადგენდნენ და ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. ადიღეური მოდგმის ხალხებში ნომადების ეთნიკური კულტურის ბევრი ნიშანიც შეიძლება გავიხსენოთ. საამისოდ პრიმიტიული, ადვილად დასაშლელი საცხოვრებლები და ყაბარდოელების იურტის მსგავსი, კონუსისებური ფორმის სამზარეულოც გამოგვადგება. ასეთ ნაგებობას სრულიად სამართლიანად ეთნოლოგები სტეპური სამომთაბარეო კულტურის გადმონაშთს უწოდებენ.[48] ადიღეელთა და ყაბარდოელთა საცხოვრებლები, როგორც ცნობილია, მოწნული, ადვილად დასაშლელი და გადასატანი სახლები (უფრო მართებული იქნება ვთქვათ, ქოხები, ფაცხები) იყო. ამავე დროს, XVIII საუ-

---

[47] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб., 2007, С. 55.
[48] *С. А. Токарев*. Этнография народов СССР. М., 1956, С.250.

კუნის მეორე ნახევარში ყოფაში ფართოდ იყო შემორჩენილი ნომადების საცხოვრებელი – კიბიტკები (თვლებიანი, მოძრავი, გადასაადგილებელი საცხოვრებელი), რომლებიც თეთრი და რუხი ფერის ქეჩით ჰქონდათ გადახურული.[49] ყოფაში შემორჩენილი ეს მონაცემები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მათი წინაპრები ჩრდილოეთიდან, ევრაზიის ზოლიდან იყვნენ კავკასიაში ადგილგადმონაცვლებულნი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე ადიღეელთა სამოსი: „XVIII საუკუნით და XIX საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ერთ-ერთ სურათზე კი, რომელზედაც ორი ჩერქეზია გამოსახული, მხოლოდ ერთს აცვია კაბის მაგვარი სამოსი (უფრო ლაბადა), რომლის სიგრძე ბარძაყის მხოლოდ ნახევარს ფარავს. მის კაბაზე არც სამასრეებია მიკერებული და არც საგულე აქვს მას ამოჭრილი. მეორე მათგანი კაბის გარეშეა და მას როგორც ქვედატანზე, ისე ზედატანზე ძალიან მჭიდროდ შემოტმასნილი სამოსი აცვია. კაბიან (უფრო ლაბადიან) მამაკაცსაც კაბის ქვეშ ანალოგიური სამოსი აცვია, რომელიც ტანზე მჭიდროდ მომჯდარ თანამედროვე სპორტულ ფორმას – კომბინიზონს – უფრო წააგავს. თავზე ჩაფხუტის/მუზარადის ანალოგიური ახურავთ.“[50] ტანზე მჭიდროდ მომჯდარი შარვლის მსგავსი კი მომთაბარეთა დამახასიათებელი სამოსი იყო, რომლებსაც ცხენზე ჯდომა უფრო დიდხანს უწევდათ, ვიდრე ქვეითად ყოფნა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხენოსნობა/მხედრობა ადიღეელის ცხოვრების ნორმა იყო, ხოლო ე. წ. არისტოკრატიული ზედაფენისათვის ერთადერთი ღირსეული საქმიანობა. ხოლო საყოველთად ცნობილი *ყაბარდოული ჯიშის ცხენი* იმის

[49]*Я. Штелин.* Описание Черкесии. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 161.

[50]*Студенецкая Е. Н.* Одежда народов Северного Кавказа. XVIII-XX вв. – М. 1989, С. 20: იხ. აგრეთვე *რ. თოფხიშვილი.* ქართული სამოსის ისტორიიდან: *ჩოხა-ახალუხი.* – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX, თბ., 2015.

პირდაპირი მოწმობაა, რომ მისი გამომყვანი ეთნოსის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მეცხენეობა იყო. მეცხენეობა კი ნომადების ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენდა.

ადიღეელთა ოდესღაც სტეპური სამომთაბარეო კულტურის არეალში ყოფნის დამადასტურებელია კიდევ ერთი ეთნოგრაფიული ფაქტი, ცნობილია, რომ მომთაბარეებსა და ნახევრადმომთაბარეებს სალოცავი საკულტო ნაგებობები არ ჰქონიათ. მაგალითად, *ამიანე მარცელინეს* მიხედვით, ალანები მიწაში ჩასობილ მახვილს ეთაყვანებოდნენ. არ ჰქონდათ მუდმივი საკულტო ძეგლები ადიღეელთა არცერთ ტერიტორიულ ერთეულს. ისინი ხეებს ეთაყვანებოდნენ. სტეპებში მომთაბარეებისათვის ხე სანატრელი იყო და ამიტომაც ის სათაყვანებლად აქციეს. ბოლო დრომდე ხისადმი თაყვანისცემა ყველა ადიღეელისა და ყაბარდოელისათვის დამახასიათებელი ტრადიცია იყო.

„ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ეთნოსთაშორისი კონტაქტების ძირითადი ფორმა, როგორც წესი, იყო მომთაბარეთა მუდმივი თარეშები ბინადარ მოსახლეობაზე, რაც ძლიერ გავლენას ახდენდა კავკასიური ქცევის სტერეოტიპების ფორმირებაზე“ – წერს *ვ. გუდაკოვი*.[51] ე. ი. ადიღეელთა ნახევრადმომთაბარული ცხოვრება და მთელი ისტორიის მანძილზე მუდმივი მეკობრეობა, ნომადების მუდმივი თარეშების შედეგი იყო? ადიღეელთა ეთნიკური ერთობების არამდგრადობაც ნომადების ხშირი ზემოქმედებით იყო გამოწვეული? ვფიქრობთ, ამ კითხვებს დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. ადიღეური არამყარი ეთნიკური ერთობები, 14-მდე ლოკალურ-ეთნოგრაფიული ჯგუფის, რომელთაგან ზოგიერთი თითქმის გაქრა (მაგალითად, ჟანეელები, რომლებიც ყველაზე ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ და რომლებიც, თავის მხრივ, XV-XVI საუკუნეებში ხეგაკებისაგან იყვნენ გამოყოფი-

[51] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 60.

ლი[52]), ინტეგრაციის არარსებობა სწორედ ნომადებთან ხშირი კონტაქტის შედეგს წარმოადგენდა. ამასთანავე, ინტეგრაციის ხელის შემშლელი ფაქტორი იყო მათი მოძრავი ცხოვრების წესიც, რის გამოც ადიღეურ ტომებს ხშირი შეხლა-შემოხლაც ჰქონდათ ერთმანეთთან. საერთო პოტესტარულ-პოლიტიკური ორგანიზაციის არარსებობამ კი თითქმის ბოლო დრომდე განაპირობა ადიღეური ეთნიკური სისტემის მოზაიკური სტრუქტურა. თუმცა მთელი რიგი ლოკალური ერთეულების უფრო მსხვილ ლოკალურ ერთეულებთან გაერთიანებაც ხდებოდა, მაგალითად, *ცოჟინების*ა და *გუაგოს* ჯგუფები ნატუხაელებში გათქვეფილან.[53] ადიღეელთა არაინტეგრირებულობის გამო ზოგიერთი მეცნიერი მათ ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულებს ცალკეულ ხალხებად მოიხსენიებს, მაგალითად *ბ. ბღაჟნოკოვი* აბაძეხებს, შაფსუღებს, ნატუხაელებს, თემირღოელებს, ჟანეელებს და სხვებს „ნაროდნოსტებს“ უწოდებს. ამ გაგებით ისინი ცალ-ცალკე ეთნოსები ყოფილან.

მონღოლებმა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაზე, სხვა მომთაბარეების დარად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელეს, მათ არა მხოლოდ ალანების ეთნიკური განსახლების არეალის შეცვლა გამოიწვიეს, არამედ სხვა კავკასიური ეთნოსებისაც. განსახლების არეალი ალანებისა, რომლებიც ძირითადად დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიის ველებსა და მთისწინებში მოსახლეობდნენ, ადიღეური ეთნიკური ერთეულების წარმომადგენლებმა დაიკავეს. ბუნებრივია, ისმის კითხვა: სად იყვნენ იქამდე ადიღეური, უფრო ზუსტად, პროტოადიღეური ტომები განსახლებულნი? უფრო ჩრდილოეთით, იქ, სადაც მათი ერთ-ერთი წინაპრები – მეოტები ბინადრობდნენ. ეს იყო შედარებით შემოსაზღვრული ტერიტორია, აზოვისპირეთში. მათი განსახლების არეალის ცვლილებას აქ ნომადების ხშირი შემოსვლა იწვევდა. აფხაზურ-ადიღეური ტომების ყუბანის სამ-

---

[52] *Б. Бгажнаков.* Черкесы (Адыги). Под редакцией М. Курдиани, Тб., С. 36.
[53] *К. Х. Меретуков.* Адыгейский топонимический словарь. Майкоп, 1981, С. 149, 164.

ხრეთით გადმოსახლება საბოლოოდ ჰუნების შემოსევების დროს მოხდა IV საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ. ჩრდილოეთიდან სამხრეთით მეოტების გადმონაცვლების საწყის ეტაპად სარმატების დრო უნდა მივიჩნიოთ. მათ ადგილგადანაცვლებაში არანაკლები როლი ითამაშეს დასავლეთიდან შემოჭრილმა გუთებმაც. ყირიმიდან გადმოსულმა გუთმა ტეტრაკიტებმა დაიპყრეს შავიზღვისპირეთის სანაპირო ტამანზე და მისი მიმდებარე რეგიონები, რის შედეგადაც აქედან განდევნეს კერკეტები აღმოსავლეთით, დიდი კავკასიონის ქედის მთისწინეთში, ყუბანისპირეთსა და შავი ზღვის სანაპიროზე; აქვე გადასახლდნენ მეოტები, რომლებიც ჰუნების დარტმებს აღმოსავლეთით გამოექცნენ.[54] ადიღეელთა და უფრო ადრე პროტოადიღელთა ეთნოგენეზში სწორედ მათ, განსაკუთებით ირანულენოვანმა ნომადებმა, მიიღეს მონაწილეობა. ყველა მათგანი იმ მიმართულებით წავიდა, სადაც ჰუნებისა და გუთების თარეშები ვერ მიწვდებოდა. სიწყნარე იყო მხოლოდ იმ რაიონებში, რომლებიც ზიხებით იყო დასახლებული და საითკენაც მიისწრაფოდნენ სხვა მეოტური ეთნოსები. მეოტებთან ერთად წავიდნენ მეოტთა გარემოში ასიმილირებული სარმატები და ალანები. ზიხები თავდაპირველად მცირე ტომს წარმოადგენდნენ, რომლებიც ბინადრობდნენ თანამედროვე ქალაქებს გაგრასა და ტუაფსეს შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც მითითებულია, რომ V საუკუნიდან ისინი გადაადგილდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით შავი ზღვის სანაპიროზე და დაიკავეს ტერიტორია ცემესის უბემდე.[55] სხვათა შორის, არსებობს ჰიპოთეზა, რომ პირვანდელი ზიხები/ჯიქები, ასევე კერკეტები კოლხთაგანნი იყვნენ და გვიანანტიკურ პერიოდში განიცადეს ეთნიკური ცვლილება.[56]

---

[54] История народов Северного Кавказа ... М.: 1988, С. 95.

[55] История народов Северного Кавказа ... М.: 1988, С. 122.

[56] *ბ. გოგია.* ისტორიის სათავეებთან. ქართველთა წამყვანი როლი, დაკნინება და აღდგენა (ლინგვისტური მასალებისა და წყაროების

როგორც *ვ. გუდაკოვი* აღნიშნავს IV საუკუნიდან პროტოადიღეელების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ადგილი – ეს იყო კავკასიის შავიზღვისპირეთი, რომელზედაც ახლა მდებარებს ანაპა, ნოვოროსიისკი, გელენჯიკი, აგრეთვე ყუბანის მარცხენა მხარე. აღმოსავლეთით მათ განვითარებას ალანები უშლიდნენ ხელს, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ ქლუხორის გადასასვლელის ირგვლივ, აფხაზები, რომლებიც შავიზღვისპირეთის გაყოლებით მთისწინეთში ცხოვრობდნენ, და აბაზები მდინარე თებერდის რაიონში, რომლებიც აქ მოსული იყვნენ დაახლოებით V საუკუნეში.[57] პროტოადიღეელების ჩამოყალიბების ადგილს ტოპონიმიკა და მითოლოგიაც ადასტურებს. ადიღეელთა ყველაზე ლეგენდარულ მწვერვალს წარმოადგენს შედარებით დაბალი მთა (800 მეტრზე დაბლა) *სობერ-ოაშხ*, რომელსაც მათი გადმოცემებით, იალბუზის შემდეგ მეორე ადგილი უკავია. ეს გორა წაკვეთილი მწვერვალით მდებარეობს მდინარე უბინის ზემო წელში. მასზე, გადმოცემით, იკრიბებიან უდი-ადამიანები, რომლებიც უწმინდურ სულებთან ურთიერთობაში შედიან და რომლებსაც შეუძლიათ გარდაიქმნან მგლებად, კატებად, ძაღლებად და გადაიქცნენ უჩინარებად.[58]

ვ. გუდაკოვის დასკვნით, პროტოადიღების ეთნოგენეზის განვითარების ადგილას რთული პროცესი მიმდინარეობდა. მისივე მოსაზრებით, ახალი ეთნიკური სისტემის ჩამოყალიბების ბირთვს წარმოადგენდნენ, რომელთა ირგვლივაც ეთნოგენეზის რთულ პროცესში მოხდა კერკეტების, ადგილობრივი მეოტური სუბეთნოსების, კერძოდ, აქეელების, მელანხლენების და სხვები, ისე მოსული მეოტ-სარმატების და მეოტ-ალანების გადადნობა. პროტოადიღე-

---

მეცნიერული ანალიზი), ტომი I, პარიზი-ლონდონი-რომი-თბილისი, 2006, გვ. 984.

[57]*Caratini R*. Dictionnairt des nationalites et des minrites de l ex U. R. S. S. Larousse, 1992, p. 17. მითითებულია წიგნიდან: *В. Гудаков.* Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 67.

[58]*В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб., 2007, С. 67.

ლების ეთნიკურ სისტემაში, უპირველეს ყოვლისა, ენასა და მითოლოგიაში (ნართები), ძლიერი ირანული ელემენტი სწორედ მათ შემოიტანეს.[59]

არ შეიძლება არ შევჩერდეთ და უყურადღებოდ დავტოვოთ ენათმეცნიერთა, კერძოდ *გ. კლიმოვის* მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აშკარაა, რომ პროტოადიღეელებს ეთნიკური კონტაქტები ჰქონდათ ქართველებთანაც, *ვ. გუდაკოვი* ამ კონტაქტებს უშვებს მხოლოდ აფხაზთა მეშვეობით, რომლებიც მისი სიტყვით, პროტოადიღეელთა სამხრეთ-აღმოსავლეთით ბინადრობდნენ. *კლიმოვის* შეხედულებით, აფხაზების განსაკუთრებული მდგომარეობა ადიღე-აფხაზთა ლინგვისტურ და ეთნიკურ გაერთიანებაში აიხსნება „მათი სიახლოვით დასავლურქართულ ტიპთან“, და აფხაზთა ეთნოგენეზიც კი დაკავშირებულია „დასავლეთ ქართველთა რომელიღაც ჯგუფის ადიღეურ ენაზე გადასვლასთან.“[60] *კლიმოვის* მოსაზრებების გადმოცემა კვლავ უნდა გავაგრძელო: როგორც არ უნდა იყოს, აფხაზურ-ადიღეურ და ქართველურ ენებს შორის კონტაქტები წარმოიქმნა საკმაოდ ადრე, და აფხაზეთი იყო გეოგრაფიული რაიონი, სადაც ეს კონტაქტები ხორციელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, აფხაზურ-ქართული ენობრივი ურთიერთქმედება დაიწყო არა უგვიანეს VIII საუკუნისა, აფხაზეთის დასავლურქართულ სამეფოს წარმოქმნასას.[61] ამიტომაა რომ აფხაზურ ენაში ბევრად უფრო მეტი ქართველიზმია, ვიდრე ადიღეური, რომლებიც წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით მდებარეობდა უფრო შორს ჩრდილო-დასავლეთისაკენ. და თუ რაღაც ქართველიზმები ხვდებოდა ადიღეურ ენაში – ასკვნის *ვ. გუდაკოვი* – ეს ხდებოდა აფხაზურის საშუალებით.[62] აფხაზურ ენაში მნიშვნელოვანი რაოდენობის ქართველური სუბსტრატი გამოავლინა *თ. გვანცელაძემ.* ამ ენაში ქართუ-

---

[59] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 67.
[60] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 68.
[61] *Климов Г. А*. Введение в кавказское языкознание. М.: 1986, С. 180, 182.
[62] *В. Гудаков.* Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 69.

ლია ქრისტიანული ტერმინები, ზღვაოსნობისა და მეთევზეობის ტერმინები, სხვადასხვა დარგობრივ ჯგუფთა ლექსიკა.[63]

რა შეიძლება ითქვას ამ ერთგვარად საინტერესო მოსაზრებებზე? (ახლა თავი დავანებოთ იმ ჰიპოთეზას, რომლის თანახმად აფხაზები (აფსუები) XV საუკუნიდან ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი პირვანდელი აფხაზების და მოსული ადიღეური კოლონების ასიმილაციის კვალობაზე). პირველ რიგში წარმოუდგენლად მიგვაჩნია, როგორ ხვდებოდა ადიღეურ ენებში ქართველიზმები აფხაზურის საშუალებით? არის კი ანალოგიური ფაქტები ლინგვინისტურ მეცნიერებაში დადასტურებული? ჩვენ პირიქით გვგონია. იყო რაღაც პერიოდი, როდესაც დასავლეთ ქართველებს ეთნიკური კონტაქტი ჰქონდა პროტოადიღეელებთან. I საუკუნემდე აფხაზები არ ჩანან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. გასარკვევია, თუ ვინ ცხოვრობდა I საუკუნემდე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და უფრო ჩრდილოეთითაც მეოტების მოსვლამდე. თუ ადიღეურ ენებში ქართველიზმებია, და როგორც ჩანს, არის, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ქართველები (უფრო მართებული იქნება: ქართველური ეთნიკური ერთობები), თავის დროზე, აფხაზეთის უფრო ჩრდილოეთითაც იყვნენ გავრცელებული. ხომ არაა ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა? კერძოდ, ყობანური კულტურა? აფხაზები ხომ არ არიან ქართველთა და ადიღეელთა/პროტოადიღეელთა შერევის შედეგად ჩამოყალიბებულნი? ვფიქრობთ, რომ არსებული მასალა ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. განა მარტო მეოტ-ადიღეელებმა მოახდინეს ქართველი ტომების ასიმილაცია? არა! შერევის შედეგად ჩრდილოეთით მეოტ-ადიღეელებმა გაიმარჯვეს, სამხრეთით – ქართველებმა. ამის შედეგია აბაზგია და აფსილია ანუ აფხაზეთი და

---

[63] *თ. გვანცელაძე.* აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., 2007, გვ. 190-196.

აფშილეთი. მიგვაჩნია, რომ ეს შერევა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში უკვე მომხდარი იყო, რამაც ახალი ეთნოსის – აფხაზების წარმოქმნა გამოიწვია, აფხაზებს თავიანთი ენა გააჩნდათ. ხოლო მათი სამხრეთით ბინადარი აფშილები კი ქართველები იყვნენ. უფრო ჩრდილოეთით თუ შერევებისას, ეთნიკური კონტაქტებისას გამარჯვებული გამოვიდა მეოტური/პროტოადიღური ელემენტი, სამხრეთით – ქართული ელემენტი. ასე რომ, VIII საუკუნეში საბერძნეთსა და ქართველებს შორის საზღვარი ეთნიკურ საზღვარზე გადიოდა – კელასური იყო ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი. ეთნიკური საზღვარი კოლხებისა და ადიღეური ტომებისა დიოსკურიასთან ჯერ კიდევ სტრაბონს აქვს დაფიქსირებული. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის ავტორის *გაიუს პლინიუს სეკუნდესის* (უფროსი) მიხედვითაც დიოსკურია კოლხთა ქალაქია.[64] კიდევ ერთი გარემოების შესახებ: *ვ. გუდაკოვი* ადრე შუა საუკუნეებში აფხაზური ეთნოსის შესახებ საუბრობს, ადიღელებზე კი – არა. იმდროინდელ ადიღეელებს ის ჯერ კიდევ პროტოადიღეელებს უწოდებს. არსებობს სხვა, მეორე გზაც ადიღეელებს შორის ქართველიზმების გაჩენისა. ცნობილია, რომ ადიღეელთა სამი ყველაზე დიდი ტომი – აბაძეხები, შაფსუღები და ნატუხაელები – ასიმილირებული აბაზები არიან. სავარაუდოდ, ადიღეურ ენაში ქართველიზმები მათი შეტანილი უნდა იყოს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველური ელემენტის განსახლებაზე არაერთი ტოპონიმიც მიუთითებს. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ „ცხუმი“ ქართული ტოპონიმია.[65] გარდა ცხუმისა, სვანური მეტყველებით იხსნება აფხაზე-

---

[64] *გაიუს პლინიუს სეკუნდესი (უფროსი).* ბუნების ისტორია. – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 500.

[65] საინტერესოა ერთ-ერთი მოსაზრება (ბადრი გოგია), რომლის მიხედვითაც ცხუმის პირვანდელი ეტიმოლოგია არის ზანური: რცხუმი („შერწყმული, ტყუპი“), რცხუმაფა („შერწყმა“).

თის ტოპონიმები: *ტამიში, ღუმურიში*[66], *გაგრა/გაკრა*[67], *დიოსკურია*[68], *წიბელიუსი* (ამ უკანასკნელში გამოიყოფა ქართული ძირი წიფ-), მისიმიანეთის მხარეში *ფუსტა* (სვანურ ქრისტიანობამდელ ღვთაებათა პანთეონში ფუსტას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა) და სხვ.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ქართული სიტ-ყვის ფონეტიკური იერის ელემენტს წარმოადგენს არა მხოლოდ **ცხ** კომპლექსი, არამედ ქართულში მოქმედი მთელი სისტემა თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები-

---

[66] *Г. В. Цулая*. Абхазия и абхазы в контексте истории Грузии (Домонгольский период). М., 1995, С.15

[67] *თ. გვანცელაძე.* აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., 2007, გვ. 192.

[68] ანტიკურ წყაროებში თანამედროვე სოხუმის ორი სხვადასხვა სა-ხელწოდებაა დაფიქსირებული – *სებასტოპოლისი* და *დიოსკურია.* პირველი მათგანი თუ ბერძნულია, მეორე მათგანი, როგორც დად-გენილია, აშკარად ქართველურია (ზანურია): ტოპონიმის მეორე ნა-ხევარი „სკური“ ცნობილი მეგრული ტოპოგრაფიული ტერმინია. ხოლო „დიო“ მეგრულია, რაც ქართულად დედას ნიშნავს. ამას ემატება მესამე სახელწოდება, რომელიც ქართულ წყაროებშია და-დასტურებული – *ცხუმი.* ეს უკანასკნელიც ქართველურია (სვანუ-რი). თქმული იმის საშუალებას გვაძლევს, რომ დავასკვნათ: თანა-მედროვე სოხუმის მიდამოები ისტორიულად მხოლოდ და მხოლოდ ქართველური ეთნიკური ერთობებით იყო დასახლებული. ზღვის მხარეს, ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთით ზანები მკვიდრობდ-ნენ, ხოლო მთებისკენ ჩრდილო-აღმოსავლეთით – სვანები. აქ სვა-ნური და ზანური ერთობები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ხოლო გვიან პროტოაფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ჯგუფების მოსვლის შემდეგ, ამ უკანასკნელთა შერევის შედეგად ახალი ტომობრივი ერთობა – აფსილები/აფშილები წარმოიქმნენ, რომლებიც ენობრივ-ეთნიკური თვალსაზრისით ქართველურნი იყვნენ და მხოლოდ და მხოლოდ ამიტომაც ჰქონდათ აბაზგებისაგან/აფხაზებისაგან განსხვავებული ეთნონიმი, რომლებიც უფრო ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. აბაზგ-აფხაზებიც იმავე სამი კომპონენტის შერევის შედეგად იქნენ ჩამო-ყალიბებული, ოღონდ ჩრდილო-დასავლეთით გამარჯვებული გამო-ვიდა არა ქართველური, არამედ პროტოაფხაზურ (აბაზურ)-ადიღე-ური ელემენტი.

სა, რომელი სისტემის მხოლოდ 1/12 (რა თქმა უნდა, არა ზუსტად) ნაწილია **ცხ** კომპლექსი. სახელდობრ: **ბღ-ფხ-პყ, დღ-თხ-ტყ, ძღ-ცხ-წყ, ჯყ-ჩხ-ჭყ** და მათი ფონეტიკური შესატყვისები ზანურში (მეგრულ-ჭანურში). სხვა ენებში თანხმოვანთა ასეთი სისტემა არა გვაქვს. სრულიად ცხადია, რომ ამ სისტემის ილუსტრაციას წარმოადგენს პავლე ინგოროყვას „სპეციალურ ექსკურსში“ დამოწმებული სახელწოდებები: სობღისი – სობისი, დღვანა – დვანა, ტყაურუ, ტყუბუნი, იგივე ცხომი-ცხუმი, წყუზამელა, წყურგილი, წყვიბენი, ჩხარი, ჩხალთა. თუ გავითვალისწინებთ ქართული ბგერათსისტემის გამძლეობას, სრულიად მართებული იქნება, რომ ამ ნიმუშებს დაემატოს მრავალი დღეს მოქმედი ტოპონიმიკური სახელწოდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც აღნიშნულია სხვადასხვა მასშტაბის რუკებზეც კი. მაგ.: დღამშ (მდინ.), კინდღა (სოფ.), იაშთხვა-იაშტუხი (სოფ. ცხადია, რომ ეს ერთი და იგივე სახელწოდებაა, მხოლოდ იაშტუხ-ში დარღვეულია **თხ** კომპლექსი; როგორც ჩანს, ძველია იაშთხვა), აითხა (მთა), თხინა (სოფ.), ამტყელი (სოფ.) ტყუარჩელი, ფრცხა (მთა), აცხუ (მთა), რეჩხუწა (სოფ., მთა), ანჩხა (მთა), ჩხორთოლი (სოფ.) და სხვ.“ „კარგი ნიმუშია ზემოგამოთქმული მოსაზრებისა იმის შესახებ, რომ ფონეტიკური იერის მიხედვით სიტყვის მიკუთვნება აადვილებს მის ეტიმოლოგიზაციას, მაგ., *პავლე ინგოროყვას მიერ* 146-7 გვ. განხილული სახელწოდება ტყუბუნი: **ტყ** კომპლექსი მიუთითებს მის ქართულობაზე, ხოლო მისი მნიშვნელობა ემთხვევა „დიოსკურია“-ს მნიშვნელობას და ამგვარად იხსნება მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა. როგორც ჩანს, ტყუბუნი, resp. ტყუბუნი წარმოადგენს ძველი ბერძნული „დიოსკურიო“-ს (ლეგენდით – „ტყუპი ძმები“) შესატყვისს.

თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების სისტემის არსებობა აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმიკაში ისეთი ურყევი მოწმობაა ქართულობისა, რომ არ შეიძლება მისი გვერდის ავლა (მხოლოდ ცხუმ-ცხომით და თუნდაც რამდენიმე ცალკეული ტერმინის დასახელებით) ან მისი ჩათ-

ვლა მეორეულ ფონეტიკურ მოვლენად, თუ არ გვინდა, რომ გზა მიეცეს ნებისმიერ დასკვნებს“.[69] *გ. ახვლედიანის* ამ ლინგვისტურ ლოგიკურ მსჯელობას ძნელია ვინმემ რაიმე დაუპირისპიროს.

საამისო თანხმოვანკომპლექსიანი ტოპონიმების დიდი რაოდენობა, რომელთა დათარიღება ხერხდება და რომლებიც ქართულ და უცხოურ წყაროებშია მოხსენიებული, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (136 ერთეული) და აფხაზეთს გარეთ[70] – დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მათი შესატყვისები დადასტურებული აქვს *პავლე ინგოროყვას.* მართლაც, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნოგენეტიკური პროცესებისა და ეთნიკური ისტორიის შესახებ საუბრობენ მეცნიერები, ამ ტოპონიმების გვერდის ავლა წარმოუდგენლად მიგვაჩნია. აქ ამ ტოპონიმების მხოლოდ ნაწილს მოვიხმობთ, რომლებიც საკმაოდ გამჭვირვალე ქართველური ტოპონიმებია: *ტყუბუნი, ბიჭვინთა, ბზიბი, უღალი* (ძველ ქართულ ენაში ძნელად სავალი (მთის) აღმნიშვნელი იყო. XIV საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია გაგართან ერთად), *ლიხნი/ლუხუნი* (საბა: „ლიხი – ფრიად მაღალი შამბი“), *ხოფი* (ხოფ- ძირზე ტოპონიმები არაერთი გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში), *ცანთა – ცანითი, წიბელი, წიბელთა, გუმა/გუმისთა, ჩხარი/ჩხალი, ჩხალთა, ბოკერი, დალი, ქჯითასი* (ჯიქეთის ტერიტორიაზე), *ბაგა, აშე-ღალი* (*ევლია ჩელების* მიხედვით, *აშე-ღალი* ჯიქეთის ოთხი თემიდან ერთ-ერთი იყო. ზანურად ღალი ღელეა), *ღალიძგა, სუბეში, წყჯბუნი, წყუზამელა, წყურგილი* (სოფელი, რომელიც წყუზამელზე მდებარეობდა. „წყუ“ წყალს, წყაროს ნიშნავს), *მოქვი* (შავშეთში იყო სოფელი მოქვთა), *გუბი, დღვანა, ტყვაჯა, ტყვარჩელი, ტყაურუ, მარმარისკარი, ფშია/ფშა* (საბა: „ფშა – მდინარისაგან წყარო, მუნვე

---

[69] *გ. ახვლედიანი.* აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. – მნათობი, 1957, №2, გვ. 108-109.

[70] *პ. ინგოროყვა.* გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954, გვ. 146-189.

ახლოს გამოდენილი“), *თილითი/თლითი* (შდრ.: ლიახვის ხეობის ტოპონიმს თლია), *ილორი... თ. გვანცელაძე* დამატებით კიდევ ორ ათეულ ქართველურ ტოპონიმს ჩამოთვლის აფხაზეთის ტერიტორიაზე: ზიგანა, მოხორა, ჯიხახორა, ხოირი, კორცხერი, კოპიტი, აითარნე, (ა)რუხა, (ა)მტყელი, გენწვიშ...[71]

მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიძებნება ქართული სუბსტრატული ტოპონიმები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და თანამედროვე კრასნოდარის მხარის შავიზღვიპირეთში. აქ მკვლევარებს გამოვლენილი აქვთ შემდეგი ტოპონიმები: *სონთა* (XIX საუკუნის 60-იანი წლების დოკუმენტში დაფიქსირებულია უღელტეხილი); *სონჩხა* (სოჭიდან 20 კილომეტრში მდინარე შახეს აუზის ქედის სახელწოდება. „სონე“ იგივე სვანია, ხოლო „ჩხ“ – ქედი); *ბაზისი* (V საუკუნის ანინიმი ავტორის მიხედვით, მდ. ბაზისი მიედინება ზიხებსა (ჯიქებსა) და სანიგებს შორის. ესაა ფაზისის ფონეტიკური ვარიანტი); *სუბაში* (ნავსადგური და მდინარე შახესთან ახლოს. ტოპონიმის სუფიქსი -ში ქართულია. შდრ.: ცანაში, სასაში, ჭკადუაში... სუბვ- ძირზე საქართველოში რამდენიმე ტოპონიმია); *ბაგა* (V საუკუნეში შახედან 160 სტადიონზე. ქართულად საქონლის სადგომს ნიშნავს); *კურჯიპსი* (მდ. ბელაიას მარცხენა შენაკადი მაიკოპთან ახლოს. ნიშნავს ქართველთა წყალს); *გელენჯიკი* (იგივე გელენჯიხა. „გელენ“ მეგრულად გარეს, გარეთას ნიშნავს. „ჯიხა“ – ციხეს, ე. ი. გარეთა ციხე. შდრ.: წალენჯიხა, ჯიხაისკარი, ნოჯიხევი, ჯიხურები...); *გუჯეურიუ* (ქედი. გვიჯერი სვანურად წაბლია); *კოცხური* („კაცხ“ სვანურად სიმაღლეს, მწვერვალს ნიშნავს. მაღალი ქედი); *სონე იმეზ* (კრასნოდარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ას კილომეტრში. ნიშნავს სვანთა ტყეს). ეს ტოპონიმები ზ. რატიანმა გამოავლინა, რომელიც ბოლოს ასეთ დასკვნას

[71] *თ. გვანცელაძე.* აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., 2007, გვ. 192.

გვთავაზობს: „ამრიგად, ადიღეური ტოპონიმია სრულიად უეჭველად ასაბუთებს, რომ მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირის მხარეში და შავი ზღვის სანაპიროზე, ქ. სოჭიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე ადიღეურ მოსახლეობაზე უწინ ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა.“[72]

ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მის ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროზე და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მეოტების/პროტოადიღეელების გადმოსახლებამდე ქართველური ეთნიკური ელემენტი ცხოვრობდა. აქ მიგრირებულმა ადიღეელების წინაპრებმა ქართველური ეთნიკური ჯგუფების ასიმილაცია მოახდინეს. აფხაზთა შემადგენლობაში ქართველური ელემენტი უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობით შევიდა, ვიდრე ადიღეელებში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ვარაუდი, ჩვენ მაინც არ ვამტკიცებთ იმას, რომ ქართველური ეთნიკური ერთობები აფხაზეთიდან ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში ოდითგანვე ცხოვრობდნენ და რომ აღნიშნული ტერიტორია ქართველური ერთობების ეთნოგენეზის გეოგრაფიული არეალი იყო. აქ ქართველური ეთნიკური ჯგუფები გადანაცვლებული იყვნენ როგორც ზღვის სანაპირო ზოლით, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთიდან. ბუნებრივია, კითხვა გაჩნდება: როდის უნდა მომხდარიყო ეს მიგრაცია? – იმ დროიდან, როდესაც ყობანური კულტურა წარმოიქმნა (II ათასწლეულის დასასრული – I ათასწლეულის დასაწყისი), რომელიც, როგორც მეცნიერთა მიერ აღიარებულია კოლხური კულტურის ერთ-ერთი ნაირსახეობა იყო.

პროტოადიღეელების ეთნოგენეზში, ეთნიკურ კონსოლიდაციაში, რომელიც ამ დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა, *ვ. გუდაკოვი* მაკონსოლიდირებელ ბირთვად მიიჩ-

---

[72] *ზ. რატიანი.* წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995, გვ. 17-28, 28. ჩამოთვლილი ტოპონიმების ქართველურობის შესახებ იხილეთ *გ. მარხულიას* სტატია რუსულ ენაზე: *Г. Мархулия.* Грузинская топонимика Краснодарского Края. – http://kavkasia.net/Georgia/article/1278966892.php

ნევს ზიხებს. ზიხების მიერ მეზობელი ტომების მიქსაციისა და ასიმილაციის პროცესის დამადასტურებელ ფაქტად ის არქეოლოგიურ მასალას და, კერძოდ, გელენჯიკის მახლობლად არსებულ ბორისოვსკის სამარხს მიიჩნევს, რომელიც V-IX საუკუნეებით თარიღდება; ის ტომთა შერევის თვალსაჩინო მაგალითად მიიჩნევა.[73] ეთნოგენეტიკური პროცესების შედეგად ზიხები გადაიქცნენ დასავლეთ კავკასიის პროტოადიღეელთა ყველაზე მსხვილ და ძლიერ ეთნიკურ სისტემად. ისინი იქცნენ დამოუკიდებელ ეთნოსად, თავის ირგვლივ იკრებდნენ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში პროტოადიღური ეთნოსფერას სხვადასხვა დასავლურკავკასიურ ეთნიკურ ელემენტებს. *ვ. გუდაკოვი* იზიარებს *პანეშის* დასკვნას, რომ სხვადასხვა წყაროები ზიხებს უწოდებენ სანაპიროს ძლიერ ტომებს, რომლებიც ქასოგებთან/ქაშაგებთან ერთად, იხსენიებიან VI საუკუნიდან და რომლებიც მომავალი ადიღეური ეთნოსის საფუძვლად იქცნენ, რომელთა განვითარებაც დანარჩენი პროტოადიღეელებისაგან შედარებით იზოლაციაში მიმდინარეობდა.[74] რატომ იქცნენ ზიხები/ჯიქები და კასოგები/ქაშაგები, სხვა პროტოადიღეელებთან შედარებით, ყველაზე ძლიერ და გამძლე ეთნიკურ ერთობებად? – რა თქმა უნდა, ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს/ლანდშაფტის გამო, სადაც ისინი ნომადებისათვის ფაქტობრივად ხელმიუწვდომელნი იყვნენ. *პანეშს* აღნიშნულის დამადასტურებლად მიაჩნია აგრეთვე ავტოეთნონიმი „ზიხი“. თუმცა გაურკვეველია რა საბუთი აქვს მას იმის შესახებ, რომ „ზიხი“ ავტოეთნონიმი იყო. მისი აზრით, ავტოეთნონიმის – „ზიხი“ საფუძველს წარმოადგენს ადიღეური სიტყვა „ცუგ“, რაც უდრის „ადამიანს“, ხოლო ადიღეელთა თვითსახელწოდებას საფუძვლად უდევს თვითსახელწოდების – „ზიხი“ შუალედური ფორმით: „ა-დზიგე“, სახელდობრ: „ზიხი“–„ა-დზიგე“–„ადიღე“.[75]

---

[73] История народов Северного Кавказа ... М.: 1988, С. 122.
[74] *Панеш Э. Х.* Этническая психология ... СПб.: 1996, С.241, 62.
[75] *Панеш Э. Х.* Этническая психология ... СПб.: 1996, С.241, 61.

„ზიხების ბინადრობის ტერიტორია განაპირობებდა მათ მუდმივ შეტაკებებს მომთაბარეებთან, რომელთათვისაც არსებობის ძირითადი წყარო იყო თარეშები. ამიტომაც ყველაზე უფრო ბინადარი ეთნოკულტურული ერთობისათვის ამ რეგიონში – ზიხებისათვის „ომი იყო ისეთივე ბუნებრივი რამ როგორც მემინდვრეობა, მესაქონლეობა და თევზჭერა. ... ზიხთა ქალაქების შავი ზღვის სანაპიროზე გეოგრაფიული ლოკალიზაცია, შედარებით შეზღუდული მიწის ფართობებით, აიხსნება ზიხებში ზღვაოსნობის მაღალი განვითარებით, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, თარეშების სპეციფიკური სახით, კერძოდ საზღვაო პირატობით.“[76] აქ ერთი რამ არაა გათვალისწინებული: შავი ზღვის სანაპიროსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან ჩამონაცვლებული ზიხების წინაპრები არ იყვნენ მოთარეშეები. *ლ. გუმილიოვის* მიხედვით, აზოვისპირეთი, საიდანაც მათმა წინაპრებმა ჩამოიწიეს, სწორედ ნახევრადმომთაბარეებისათვის იყო ზედგამოჭრილი, აქ მომთაბარეები ნახევრადმომთაბარეები ხდებოდნენ და როგორც ერთთათვის, ისე მეორეთათვის მეურნეობის გარკვეულ ფორმასთან ერთად, თარეშებიც ტრადიციული იყო. ასე რომ, ისინი მშვიდობიანი მეზღვაურებიდან არ გადაქცეულან ზღვის ყაჩაღებად, როგორც ამას *პანეში* მიიჩნევს. *პანეშის* მიხედვით, ზიხები უფრო ცნობილი ხდებიან VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში. ზიხია როგორც ქვეყანა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კავკასიის შავიზღვისპირეთში. ეს პერიოდი შეესატყვისება ზიხური ეთნოსის უმაღლესი აღმავლობის ფაზას. შემდეგ დგება პერიოდი ზიხური ეთნოსის როგორც დაკნინებისა და დაშლისა, ისე პოლიტიკური კონფედერაციისა. X საუკუნიდან დაწყებული ზიხიის ანუ ჯიქეთის ჩაყლაპვის პროცესი იწყება ორი მეზობლის, უფრო ენერგიული ქასოგებისა/ქაშაგებისა და აფხაზების მიერ. ამ რთული პროცესის შედეგი იყო ყოფილი ზიხური/ჯიქური ეთნოსის მემ-

[76] *Панеш Э. Х.* Этническая психология ... СПб.: 1996, С.294-295.

კვიდრეების – აბაძეხებისა, შაფსუღების და ნატუხაელების – ჩამოყალიბება.[77] არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზიხები მკვიდრნი იყვნენ არა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა, არამედ კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ-დასავლეთი ფერდობისა. ამ ტერიტორიას კი *ვ. გუდაკოვი* მიიჩნევს პროტოადიღელების სამხრეთ კერად. ხოლო კავკასიის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე იყო ჩრდილოეთის კერა, სადაც დაახლოებით VI საუკუნიდან ეთნოგენეზის პროცესის შედეგად გამოჩნდა ახალი ეთნოსი კასოგები/ქაშაგები.[78] წყაროები ერთმანეთში არ ურევენ კასოგებს/ქაშაგებს და ზიხებს/ჯიქებს. ზიხებსა და კასოგებს განასხვავებდნენ ბიზანტიური წყაროები. ამ წყაროების მიხედვით სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ჯერ იყო „ზიხია“/ჯიქეთი, შემდეგ „კასახია“/ქაშაგეთი და კიდევ შემდეგ – „ალანთა მიწა“.[79]

კასოგები/ქაშაგები, ზიხებისაგან/ჯიქებისაგან განსხვავებით, მუდმივ ეთნიკურ კონტაქტში იმყოფებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების ნომადურ სამყაროსთან, რომელიც კასოგთა/ქაშაგთა ეთნოგენეზის პერიოდში ძირითადად თურქულ სამომთაბარეო სამყაროდ იქცა. კასოგთა/ქაშაგთა ეთნიკური ქცევის სტერეოტიპის არერთი ნიშანი თურქულ ანაბეჭდს ატარებდა. აგრეთვე, როგორც მიიჩნევს ზოგიერთი მკვლევარი, თვით ავტოეთნონიმი „კასოგი“ თურქული წარმოშობისაა. ამ თვითსახელმწოდების ეტიმოლოგიას ისინი უკავშირებენ ტერმინს „კოშ (კოზ, კაზ)“, რომელიც გავრცელებული იყო მომთაბარეებში. ტერმინის ყველაზე საერთო მნიშვნელობა არის „დროებითი ბანაკი“, „არამუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. ბანაკის, სადგომის მნიშვნელობით ის შევიდა ადიღეურ ენაში.[80] ეს მოსაზრება პანეშს ეკუთვნის. აზრი ლოგიკურია, მაგრამ რა იცის პანეშმა, რომ „კასოგი“ ერთ-ერთი ადიღეური ეთ-

---

[77]*Панеш Э. Х.* Этническая психология ... СПб.: 1996, С.71-72.
[78]*Панеш Э. Х.* Этническая психология ... СПб.: 1996, С.84.
[79] История народов Северного Кавказа ... М.: 1988, С. 145.
[80]*Панеш Э. Х.* Этническая психология ... СПб.: 1996, С.91-95, 105-106, 108.

ნიკური ერთობის თვითსახელწოდება იყო? ხოლო თუ ეთ-ნონიმის ეტიმოლოგია სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ყველაზე დიდი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ეს ადიღეური ტომი (და სხვებიც) თავდაპირველად ნომადები იყვნენ. ისე, სხვათა შორის, ადიღეური ტომების ცხოვ-რების წესი მართლაც მოძრაობითობა იყო, ისინი ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს და გააჩნდათ დროე-ბითი სადგომები. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ კასოგებს/ქაშაგებს მთელი რიგი მეცნიერები ანტიკური წყაროების *კერკეტებს* უკავშირებენ. მაგალითად *ლ. ლავ-როვი* მიიჩნევდა, რომ ეთნონიმი „ჩერქეზი“ მიღებულია „კერკეტიდან“, „ჩერქეზი“ კი ცნობილია, რომ ადიღეური ტომების ეგზოეთნონიმი იყო განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში.

პანეშის მოსაზრებით, ქცევის ეთნიკური სტერეოტიპი კასოგებს/ქაშაგებს ჩამოუყალიბდათ თურქი ნომადების გა-ვლენით. მაგალითად, „დროებით ბინადარი ანუ ცხოვრების პრიმიტიულ-მომთაბარული სახე“, რამაც საფუძველი ჩაუ-ყარა ადიღეელების მოძრაობითობასა და მუდმივ გადადა-ადგილებას.[81] *პანეშს* ადიღეელთა ეთნოკულტურული კომპ-ლექსი *„მხედარი–ცხენი“* ამ ხალხში თურქთა გავლენის შედეგად მიაჩნია, რასაც *ვ. გუდაკოვი* სამართლიანად არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ ანალოგიური კომპლექსი დასავლეთკავკასიურ ეთნოსებს უფრო ადრე ირანელებთან ურთიერთობის დროს ჰქონდათ ჩამოყალიბებული.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნიკური ისტორია მჭიდროდაა გადაჯაჭვული სტეპური ეთნოსების ეთნიკურ ისტორიასთან, რომლებიც გაბატონებული იყვნენ ჩრდილო-ეთ კავკასიის მთელ სივრცეებზე. VII-XIII საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა და ხაზარეთის ეთნოსთა-შორისი კოლიზიის უცვლელ კომპონენტს წარმოადგენდ-ნენ ხაზარები. ხაზარები, როგორც ეთნიკური სისტემა, *ლ. გუმილიოვის* მიხედვით, ჩამოყალიბდნენ ქვემო ვოლგის-

[81] *Панеш Э. Х.* Этническая психология ... СПб.: 1996, С.110.

პირეთში VII საუკუნეში და XIII საუკუნემდე ეთნიკური აღმავლობის ფაზაში იმყოფებოდნენ, ე. ი. ეთნიკურ კონტაქტში შედიოდნენ მეზობლებთან.[82] ხაზარების ექსპანსია ნაწილობრივ იძულებით იყო განპირობებული, რადგან მათი ეთნიკური აკვანი კასპიის ზღვამ დატბორა. VI საუკუნიდან ვიდრე XIV საუკუნემდე კასპიის ზღვის დონემ 18 მეტრით აიწია. ხაზარების მთელი ეთნიკური ისტორია დასაწყისიდან ბოლო პერიოდამდე მუდმივი ეკოლოგიური კატასტროფის ნიშნით მიმდინარეობდა. X საუკუნის შუა ხანებისათვის ხაზარებმა დაკარგეს თავისი ადგილგანვითარების ორი მესამედი. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხები აღმოჩნდნენ ხაზართა გავლენის სფეროში. შემდეგ რეგიონში სხვა თურქული წარმომავლობის ეთნიკური ერთეულები მოდიან, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არამდგრად ეთნიკურ ვითარებას განაპირობებენ. ადიღეელთა (ან პროტოადიღეელთა, როგორც მათ უწოდებს *ვ. გუდაკოვი*) მიწები ყუბანისპირეთში მნიშვნელოვნად შეამცირეს ყივჩაღებმა. ეთნიკური საზღვარი ყივჩაღებს, პროტოადიღებსა და ალანებს შორის ბოლოს-დაბოლოს ყუბანის დინებაზე დადგინდა.

XIII საუკუნისათვის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საკმაოდ სტაბილური ეთნიკური სიტუაცია ჩამოყალიბდა. ყივჩაღები და პროტოადიღელები თანაარსებობდნენ, რომლებსაც თავთავიანთი ეკოლოგიური ნიშა ეკავათ: ყივჩაღებს – აზოვისპირეთის სტეპებში, პროტოადიღეელებს – დასავლეთ კავკასიის დაბალ მთისწინეთში. XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის 20-იან წლებამდე ყივჩაღები და ადიღეური ეთნიკური ერთობები მჭიდრო ეთნიკურ კონტაქტში იმყოფებოდნენ და თანაც მიმდინარეობდა პაჭანიკების მუდმივი შეღწევა მთისწინეთში და მათი ნაწილობრივი შერევის პროცესი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობასთან ჯერ კიდევ მონღოლ-თა-

[82] *Гумилев Л. Н.* Этносфера: История людей и история природы. М., 1993, С.374.

თართა შემოსევებამდე – X-XII საუკუნეებში დაიწყო. ასე რომ, თურქულენოვანი მოსახლეობისა და ადიღეური ეთნიკური ერთობების კონტაქტები მონღოლებთან არ იყო დაკავშირებული. ანალოგიურად შეიძლება ითქვას ალანურ-ყივჩაღურ ურთიერთობებზე.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნიკურ ისტორიაში ახალი ეტაპი მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაიწყო. ამიერიდან ტამანსა და აზოვს მონღოლები დაეუფლნენ. თუმცა მათ ზიხები/ჯიქები და სხვა ადიღეური/ჩერქეზული ტომები ვერ დაიქვემდებარეს. ტყიან და მთიან ადგილებში მათ ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, ველებში მცხოვრებლემა კი მათი მმართველობა აღიარეს. პირველი დარტყმა მონღოლებმა, უპირველეს ყოვლისა, სტეპების ეთნოსს – ყივჩაღებს მიაყენეს. ისინი ყველაზე მეტად დაზარალდნენ. შედარებით ნაკლებ დაზარალდნენ ალანები, რომლებიც კავკასიისწინეთის ლანდშაფტურ ზონაში ბინადრობდნენ. მათ დაკარგეს განსახლების არეალი, მაგრამ ეთნიკური ცხოვრება სხვათა ტერიტორიაზე გააგრძელეს. მონღოლები, ფაქტობრივად, ადიღეელებს არ შეხებიან; ისინი მშვიდ ვითარებაში აგრძელებდნენ ცხოვრებას. ადიღეელების ადგილსამყოფელის აღმოსავლეთით ყველა ძირითადი ტრანსკავკასიური გადასასვლელი, ალანების განსახლების არეალში იყო. გადასასვლელების ხელში ჩასაგდებად ალანების განადგურება საჭირო იყო. ჩვენი აზრით, ადიღეელების გადაარჩენა ლანდშაფტმა, ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ განაპირობა. მონღოლებს უფრო ალანების ჩრდილოეთკავკასიური ლანდშაფტი აინტერესებდათ, რადგან ისინი ძირითადად ცენტრალური კავკასიის სტეპურ ნაწილში ბინადრობდნენ, ხოლო ადიღეელები კი ტყიან მთისწინეთში ცხოვრობდნენ. ნომად მონღოლებს საძოვრებით მდიდარი მხარეები აინტერესებდათ და არა ტყიანი და გორაკ-ბორცვიანი მხარეები. მეორე: ისეთი ლანდშაფტის დაპყრობას, როგორშიც ადიღეელები ცხოვრობდნენ, დიდი ძალისხმევაც ჭირდებოდა. შედარებისათვის შეიძლება კავკასიის რუსული დაპყრობები გავიხ-

სენოთ. ცარიზმი რამდენიმე ათეული წელი მოუნდა ადიღეელთა ტერიტორიის დაპყრობას. არ შეიძლება იმის გამორიცხვაც, რომ ადიღეელებს, ალანებისა და ყივჩაღებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნიმი არ გააჩნდათ. უფრო ორგანიზებული ალანები და ყივჩაღები ორგანიზებული შეებრძოლნენ მონღოლებს. ამ ორგანიზებულ ეთნოსებს მონღოლებმა უფრო ორგანიზებულობა დაუპირისპირეს. არაორგანიზებული ადიღეელების დამარცხება, რომლებიც დაფანტულად მოქმედებდნენ უფრო ძნელი იყო. ამიტომაც ადიღეური ეთნოსი გადარჩა და კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ერთობად იქცა. უფრო მეტიც, ადიღეელებისაგან გამოყოფილმა ყაბარდოულმა ეთნოსმა მონღოლების შემდეგ ალანთა განსახლების არეალი დაიკავა (ყაბარდოული ეთნოსი არა რამდენიმე ეთნოსის შერევის შედეგად წარმოიქმნა, არამედ დივერგენციის გზით). როგორც მკვლევარები მიუთითებენ მონღოლებს დიდხანს, თითქმის ასი წლის განმავლობაში წინააღმდეგობას მხოლოდ დასავლეთ ალანები უწევდნენ. უფრო სწორი იქნება, თუ ალანიის ამ ნაწილს მთიან ალანიას ვუწოდებთ. ეს იყო შემდეგ ბალყარელებით და ყარაჩაელებით დასახლებული ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიანი რეგიონები, მაგალითად, ზელენჩუკის ხეობა, სადაც ალანეთის ეპარქია და ქვემო არხიზიც მდებარეობდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადიღეური ეთნოსის ადგილსამყოფელად (განვითარების ადგილად) მიჩნეულია ადიღეს ერთ-ერთი მთავარი მდინარის – ბელოეს (შხაგუაშე) ხეობა, რომელიც იწყება ფიშტ-ოშტენის მთიდან და რომელიც 265 კილომეტრის მანძილზე ბევრ შენაკადს იერთებს და, რომელიც ყუბანს უერთდება.

ვ. გუდაკოვი მიიჩნევს, რომ ადიღეური ეთნიკური ერთობა მხოლოდ მონღოლთა შემოსევების შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა. იქამდე არსებულ ეთნიკურ ერთეულებს ის პროტოადიღეელებს უწოდებს. მისი აზრით ადიღეელებმა ეთნიკური განვითარების შემდეგი გზა გაიარეს: პროტომეოტები –> მეოტები –> პროტოადიღეელები –>

ადიღეელები. მკვლევარი ზიხებსა/ჯიქებსა და კასოგებს/ქაშაგებს პროტოადიღეელებად მიიჩნევს. ეთნიკური ერთობისათვის ძირითად განმსაზღვრელად ეთნიკურ სტერეოტიპს მიიჩნევს და არა ენასა და კულტურას. ადრე ადიღეურ ეთნიკურ ერთეულებს ანუ პროტოადიღეელებს ადიღეური სტერეოტიპი არ ჰქონიათ: ცალ-ცალკე არსებობდა ზიხების/ჯიქების და კასოგების/ქაშაგების სტერეოტიპიო. ადიღეელთა ეთნიკური ერთობის ფორმირება დამთავრებული არ ყოფილა, რადგან ეს სტეროტიპი იცვლებოდაო – ასკვნის ავტორი. ადიღეელთა ეთნიკური სტეროტიპის ფორმირებაში მონაწილეობა მიუღიათ ალანებს, ყივჩაღებს, მცირე მონღოლურ სუბსტრატს. ზოგიერთი „თავადური გვარი“ კი, სავარაუდოდ, „წარმოიშვა ქრისტიანი მღვდლებისაგან, მაგალითად, გურგე და რუმა“.[83]

პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ *ვ. ვინოგრადოვის* ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. პირველ რიგში შეუძლებელია ზიხების/ჯიქების პროტოადიღეელებად მიჩნევა, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ ორი დასკვნა არსებობს, ისინი იყვნენ: ა) უბიხები, ბ)აბაზები/საძები. რაც მთავარია, ეთნიკური სტერეოტიპი ეთნოსის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნი არაა. ის აშკარად *ლ. გუმილიოვის* გავლენის ქვეშაა. თუმცა სამართლანად არ იზიარებს იმავე *ლ. გუმილიოვის* კონცეფციას, რომ ეთნოგენეზი მუდმივი პროცესია. ადიღეური ეთნოსი ჩვენი შეხედულებით, ადრე შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა აზოვისპირეთიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჩამონაცვლებული მეოტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შერევის შედეგად. უფრო მეტიც, ენა მათ სამხრეთით ჩამონაცვლებამდე ჰქონდათ ჩამოყალიბებული. მიგვაჩნია, რომ პროტოადიღეელები სწორედ მეოტები იყვნენ, რომლებიც აღმოსავლეთ აზოვისპირეთში და უფრო ჩრდილოეთითაც ცხოვრობდნენ. ეთნოგენეზის პროცესი მაშინ ხდება, რო-

[83] *В. Б. Виноградов*. Средняя Кубань: земляки и соседи (формирование традиционного населения). Армавир, 1995, С. 49.

დესაც ორი ან რამდენიმე ეთნოსის შედეგად ახალი ენობრივი ერთობა ყალიბდება, რომელიც იმავდროულად ახალი ეთნიკური ერთობაცაა. თუმცა, ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ სრულიად დასაშვებია, ადრე შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ერთობას საერთო ეთნონიმი არც ჰქონოდა (სხვადასხვა ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში ასეთი არაერთი ფაქტია დადასტურებული). ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ადიღეური ეთნიკური ერთობა ნაკლებ ინტეგრირებული იყო, რაშიც მათ ხელს უშლიდა ცხოვრების წესი, ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი ერთობის არ არსებობა. ცხოვრების წესში კი, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მუდმივი ბინადრობის არ არსებობა, აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ერთმანეთს შორის მუდმივი დაპირისპირება. ყველა ადიღეურ ეთნიკურ ერთობისათვის დამახასიათებელი იყო „მოძრავ სოფლებში“ ცხოვრება – სოფელი/აული ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს (საყურადღებოა, რომ ადიღეურ ენაში სოფლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული არ არსებობს. ამ ენაში სოფელი და სახლი ერთი ტერმინით გამოიხატება); გადადიოდნენ საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიაზე, ერთი ხეობიდან მეორე ხეობაში. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა რამდენიმე წელიწადში ერთხელ ხდებოდა. უფრო მეტიც, XIX საუკუნის დასაწყისის ავტორებს შენიშნული აქვთ, რომ აბაზები სოფელში მხოლოდ ზამთარში ცხოვრობდნენ, ზაფხულში კი მომთაბარეობდნენ მოძრავი აულებით, გადადიოდნენ რა ადგილიდან ადგილზე, ორთვლიანი ურმებით, ისევე როგორც თათრები.[84] ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ჩრდილო-დასავლეთ ადიღეელთა ცხოვრების ამ წესის მიზეზების შესახებ საუბარი, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს წესი ყველა ტომს/ლოკალურ ერთეულს ახასიათებდა.

ყველა არსებული მონაცემით ირკვევა, რომ ადიღელები თავდაპირველად არ ცხოვრობდნენ ყუბანის მარ-

[84] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 134.

ჯვენა ნაპირზე. მათი განსახლების არეალი იყო აზოვის ზღვის აღმოსავლეთი და დონის შესართავი დელტა, შესართავიდან 50-60 კილომეტრის ფარგლებში. თუმცა მთელი რიგი წყაროები მათ უფრო ჩრდილოეთით მიგრაციაზეც მიუთითებენ, კერძოდ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ყირიმში და სამხრეთ უკრაინაშიც კი. საამისოდ ყაბარდოული გადმოცემების მოხმობაც საკმარისია. ყაბარდოელების შესახებ ზემოთ ითქვა, რომ ისინი ადიღეელთა დივერგენციის გზით არიან წარმოქმნილი და ცენტრალურ კავკასიაში გადმოსახლდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, რომლებმაც ალანთა ყოფილი ეთნოსფერა, განსახლების არეალი დაიკავეს. მაგრამ ყაბარდოელებს აქვთ გადმოცემები თავიაანთი ადრინდელი საცხოვრისის შესახებ. ერთის თანახმად, ისინი მახლობელი აღმოსავლეთიდან არიან გადმოსახლებული. ამასთანავე გადმოცემაში ისიცაა აღნიშნული, რომ ცენტრალურ კავკასიაში მოსვლამდე თავდაპირველად ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე გელენჯიკის რაიონში, ან ანაპაში ან ტამანის ნახევარკუნძულზე ყიზილტაშის ლიმანაში. სხვა გადმოცემით, ყაბარდოელები და ბესლენელები თავიანთ ახლანდელ ადგილში გადმოსახლდნენ უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროდან, სხვები კი მიუთითებენ მათ მკვიდრობაზე ე. წ. შუალედურ ადგილზე – ყირიმსა და დონს შორის ტერიტორიაზე.[85] ისტორიკოსები ყაბარდოელების მრავალჯერადი გადმოსახლების შესახებაც მიუთითებენ. ამ ჰიპოთეზით, ყაბარდოელები მანამ, სანამ ყუბანისპირეთიდან თანამედროვე ყაბარდოს ტერიტორიაზე მოვიდოდნენ, გარკვეულ დროს ბინადრობდნენ ყირიმში, შემდეგ აზოვის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, დონის აუზში, ბოლოს კი მდინარე იოგორლიკზე.[86] იმაზედაც მიუთითებენ, რომ ყირიმის ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებას ჩერქეზულ-ყაბარდოული იერი აქვს.[87] აქ კიდევ ერთი მკვლევარი-ეთნოლოგი

[85] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 164.
[86] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 134.
[87] *Л. Л. Лавров*. Избранные ... Нальчик, 2009, стр. 165.

უნდა დავიმოწმოთ. *ბ. ბლაუნოკოვი* წერს, რომ სინდიკის დროიდან ადიღეელები დიდი ჯგუფებით ცხოვრობდნენ არა მხოლოდ შავიზღვისპირეთში, არამედ ყირიმში. განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებული იყვნენ ისინი ტამანში, მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობდა აზოვისპირეთსა და ყუბანის მარჯვენა მხარეს. დროდადრო მათ ავიწროვებდნენ: სარმატები, ალანები, ბერძნები, შემდეგ ჰუნები, გუთები, ხაზარები, რუსები, თათარ-მონღოლები, გენუელები, თათრები. მაგრამ საბოლოოდ ადგილობრივი მოსახლეობა დაკარგულ პოზიციებს იბრუნებდა.[88] *ს. ბრონევსკის* სიტყვით, ჩერქეზების დიდი ნაწილი ცხოვრობდა ყუბანის მარჯვენა ნაპირზე, ტამანის ნახევარკუნძულზე და აზოვის ზღვის სანაპიროებზე.[89] იგივე *ბ. ბლაუნოკოვი* იმოწმებს რა 1367 წელს იტალიელი ვაჭრების, ფრანჩესკო და დომინიკო პიციგანების მიერ შედგენილ ოქროს ურდოს რუკას, აღნიშნავს, რომ ვოლგის ქვემო დინების მარჯვენა ნაპირზე აღნიშნულია დასახლება casa jarcaci. იმავე რუკაზე აზოვის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აღნიშნულია „ყაბარდა“.[90]

ყაბარდოელები წარმომავლობენ „ყაბარის“ ხალხისაგან, რომლებიც ცხოვრობდნენ ხაზართა ყაღაღანატის ტერიტორიაზე. ეს შეხედულება თავის დროზე ფართოდ იყო გავრცელებული. ყაბარები კი ცხოვრობდნენ არა ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში, არამედ მისგან ჩრდილოეთით, მდინარე დონის აუზში.[91] XV საუკუნის დასაწყისის იტალიელ ვაჭარს *ფრანჩესკო პეგოლოტის* შავი ზღვის ჩრდილოეთ

---

[88] *Б. Бгажнаков.* Черкесы (Адыги). Под редакцией М. Курдиани, Тб., 2010., С. 40.

[89] *С. Броневский*. Новейшие географические и исторические иэвестия о Кавказе. М., 1823, С.72.

[90] *Б. Бгажнаков.* Черкесы (Адыги). Под редакцией М. Курдиани, Тб., 2010., С. 43.

[91] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 163; *Г. А. Кокиев*. Некоторые сведения из древней истории адыгов (кабардинцев), Нальчик, 1946, С. 15, 19.

სანაპიროზე მოხსენიებული აქვს პორტი „ყაბარდი“.[92] 1561 წელს შედგენილ *ჯაკომო გასტალდის* რუკაზე აზოვის ზღვის ჩრდილოეთით, მაში შემავალ ერთ-ერთ მდინარეზე დატანილია დასახლებული პუნქტი/ნავსადგური Cabarda.[93]

XV საუკუნეში ჯერ კიდევ მდინარე დონი (სავარაუდოდ მისი ქვემო წელი, შესართავი რეგიონი – რ. თ.) ზემო ჩერქეზეთად იწოდებოდა. აი, რას ვკითხულობთ XV საუკუნის ავტორის *ი. დე გალონი-ფონტიბუსის* თხზულებაში: «Город и порт Тана находится в этой же стране, в Верхней Черкесии, на реке Дон, которая отделяет Европу от Азии».[94]

1992 წელს დაბეჭდილი წიგნის – „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი თათრეთი“ – ავტორი *ნიკოლას ვიტსენი* ჩერქეზებს აგვიწერს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, მაგრამ ჩერქეზეთს უწოდებს აგრეთვე სამხრეთ უკრაინას: «По нижнему течению реки Борисфен (Днепр) в Украине живут племена, также называемые черкесами»; «Некий анонимный английский писатель, сочинение которого опубликовано в Париже в 1679 году на французском языке, пишет про черкесов, что знает таких, которые живут у Меотийского моря и по течению Борисфена...»[95]

ახლა ჟანეელთა შესახებ. როგორც ცნობილია ჟანეელები ადიღეელთა ერთ-ერთი ტომი იყო. მეცნიერთა დამაჯერებლი მტკიცებით, ჟანეელები ოდესღაც მსხვილ ადიღეურ ტომს წარმოადგენდნენ. ამ ლოკალური ერთეულის შესახებ პირველი ცნობა 1551 წლითაა დათარიღებული. ისიც ცნობილია რომ XVI-XVII საუკუნეებში ჟანეელები

---

[92]*ფ. პეგოლოტი*. Руководство по торговле. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 11.

[93]*ბ. გოგია*. ჩრდილო-დასავლეთ საქართველო უცხოენოვან რუკებზე. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., 2007, რუკა №11.

[94]*И. де Галони-Фонтибус*. Сведения о народах Кавказа. - Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 13.

[95]*Н. Витсен*. Северная и Восточная Татария. - Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 68.

ბინადრობდნენ ტამანის ნახევარკუნძულთან ახლოს.[96] კრიტიკას ვერ უძლებს *ლ. ლავროვის* მოსაზრება, რომელიც მათ *არიანეს* მიერ ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილში მოხსენიებულ *სანიგებს* უკავშირებს. *თ. კუშვას* დასაბუთებული არგუმენტების შემდეგ, ის აფხაზეთიდან სანიგების ჯერ ტუაფსეს მიდამოებში გადასახლებაზე საუბრობს და შემდეგ – ყუბანის ქვემო წელზე. ეს მოსაზრება გასაზიარებელი არაა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტამანის ნახევარკუნძულიდან ტუაფსე საკმაოდ სამხრეთითაა. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ სანიგები ნამდვილად იგივე სვანები იყვნენ, რასაც მათი თავდაპირველი განსახლების არეალიც გვიდასტურებს. ანონიმი ავტორის მონაცემებით სებასტოპოლისი ანუ ქართული წყაროების ცხუმი, სანიგთა მიწაზე იყო: „ლაზების მახლობლად ცხოვრობენ აფსილები. ... აფსილებს ესაზღვრება აბასგები ... აბასგებს ემეზობლება სანიგები, მათ მიწაზეა დაფუძნებული სებასტოპოლისი“.[97] ახ. წ. II საუკუნის ავტორიც *დიონისიოსიც* ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სებასტოპოლისი (ცხუმი) სანიგთა მიწაზე მდებარეობდა: „აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე მდებარეობს სებასტოპოლისი.“[98] მთელი კოდორის ხეობა, მდინარე კოდორის ზღვაში შერთვის მიდამოებით, რომ სვანებით იყო დასახლებული, ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ. შედარებით გვიან კოდორის ხეობაში *მისიმიანები* იხსენიებიან, რომლებიც, როგორც მეცნიერებაშია გარკვეული, სვანები იყვნენ. ასე რომ, სანიგების ხან აფხაზებად და ხან ჟანეელებად მიჩნევა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

---

[96] *Е. Н. Кушева*. Народы Северного Кавказа и их связи с Россией. М., 1963, стр. 136, 137.

[97] *ანონიმი [გადმოცემით არიანოსი].* ზღვით მოგზაურობის აღწერა. – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 318.

[98] *დიონისიოსი.* სამყაროს აღწერა. – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომო I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 306.

ერთი საყურადღები გარემოების შესახებაც უნდა ითქვას: მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ დროის რაღაც მონაკვეთში ადიღეელებში სუსტად, მაგრამ მაინც შენარჩუნებული იყო სტეპური წეს-ჩვეულებები, რომელიც გამომჟღავნდებოდა საერთოდ მიღებულ ზოგიერთ ფსიქოლოგიურ განწყობაში.[99]

აფხაზურ-ადიღეური ეთნიკურმა ერთობებმა კავკასიის შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ეთნიკური სიტუაცია ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან რომ შეცვალეს და რომ პოლიტიკურ არენაზეც ისინი ამ დროს გამოვიდნენ, ამას ქართველი მემატიანე ჯუანშერიც გვაუწყებს. წყაროში მითითებულია, რომ დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილოეთით მცხოვრები ჯიქები (ანუ იგივე ზიხები) ჩრდილოეთიდან მიგრირდნენ, რომელთა გადმოსახლების მიზეზიც თურქული ტომების მოწოლა გამხდარა: *„და განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან, და წავიდნეს პაჭანიკნი დასავლით-კერძო, ხოლო ჯიქნი დამკჳდრნეს ბოლოს აფხაზეთისასა“.*[100] ზიხები/ჯიქები რომ შავი ზღვისპირეთში ნამდვილად მოსული იყვნენ, ამას ანტიკური წყაროებიც ადასტურებენ. ანონიმი ავტორი წერდა: „...

---

[99] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 57.

[100] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 156-157. ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარენი ხშირად რომ ცვლიდნენ ეთნიკურ სიტუაციას, *ლეონტი მროველის* თხზულებიდანაც კარგად ჩანს, როდესაც ის საურმაგ მეფის მიერ საქართველოს მთიანეთში დურძუკების დასახლების შესახებ საუბრობს, რომელნიც მთებში ვეღარ ეტეოდნენ, იმის გამო, რომ ველების პატრონი მომთაბარეების მიერ, რომლებსაც ის ხაზარების სახელით მოიხსენიებს, „ტყუენვას“ განიცდიდნენ: „... ხოლო განმრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი. ხოლო ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩომილ იყუნეს, სიმაგრისაგან ქუეყანისა, და ვერღარა იტევდა დურძუკეთი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 27).

ძველი აქაიადან ძველ ლაზიკამდე და აქედან აქაიუსამდე ადრე ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდა: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანქლანები, მაქელონენი, კოლხები და ლაზები, ახლა კი ცხოვრობენ ძიქები".[101] ახ. წ. II საუკუნის ავტორი დიონისიოსი შავი ზღვის მახლობლად არა მარტო ზიხების/ჯიქების, არამედ კერკეტებისა და ტორეტების მოსულობაზედაც მიუთითებს: „აი, ამდენი ხალხი ცხოვრობს ტანაისის მიდამოებში: სავრომატების მახლობლად – სინდები, მჭიდროდ მოსახლეობენ კიმირიელები, ევქსინოსის მახლობლად კი კერკეტები, ტორეტები და მძლავრი აქეელები. ისინი ოდესღაც ქსანთოსისა და იდეს სიმოესიდან ნოტოსის და ზეფიროსის ქროლვამ გამოდევნა, მებრძოლ მეფეს რომ მოჰყვებოდნენ ომიდან. მათ გაღმა ცხოვრობენ ჰენიოხები და ძიგები, პელასგური მიწის შთამომავალნი".[102] აქ მხოლოდ ერთ კომენტარს გავაკეთებთ, მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილია: ზიხები/ძიქები/ჯიქები თუ აბაზ-უბიხების წინაპრები იყვნენ, კერკეტები და ტორეტები – ჩერქეზ-ადიღეელებისა. მეცნიერებაში დღეს აღიარებულია, რომ ჯიქები აბაზური მოდგმის ტომები იყვნენ, რომ დავაკონკრეტოთ ბევრი მკვლევარი ჯიქებსა და საძებს ერთმანეთთან აიგივებს, რომლებიც ბოლო დროს გაგრის მიდამოებში იყვნენ ლოკალიზებულნი. სხვათა შორის, წყაროებში იმის მონაცემებიც გვაქვს, რომ აბაზები ანუ აფხაზთა ყველაზე ახლოს მდგომი ეთნიკური ერთობა ახ. წ. I საუკუნეში ჩრდილოეთით აზოვის ზღვასთან არიან დაფიქსირებული, რაც კარგად აქვს შენიშნული *მ. ინაძეს:* „ამასთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ პლინიუსი (ახ. წ. I ს.), რომელსაც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აბაზგებს ჯერ კიდევ

---

[101] *ანონიმი [გადმოცემით არიანოსი].* ზღვით მოგზაურობის აღწერა. – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 320.

[102] *დიონისიოსი.* სამყაროს აღწერა. – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 299.

არ იხსენიებს (ასახელებს მხოლოდ აფსილებს), ჩრდილო კავკასიაში, მეოტიდისა და კასპიის ზღვებს შორის, ამ უკანასკნელის ახლოს, აღნიშნავს „აბზოე“ სახელწოდების მრავალრიცხოვან ტომებს სხვა სარმატული ეთნიკური ჯგუფების გვერდით (Plin., VI). თუ დავუშვებთ, რომ ამ ცნობის ავტორს ხელთ არ ჰქონდა ზუსტი გეოგრაფიული ორიენტირები აბზოე ტომების საცხოვრისის განსაზღვრისას, რასაც თვით ცნობაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს (ამას ВДИ-ს კომენტატორიც შენიშნავს), და ეს აბზოე ტომები უფრო დასავლეთით, აზოვის ზღვასთან უნდა იქნეს ლოკალიზებული (სარმატულ ტომებთან ერთად), მაშინ შესაძლებელია გარკვეული კავშირი დავინახოთ ამ ეთნონიმსა და კრებით სახელს „აბაზა“-ს შორის, რომელიც XIX საუკუნემდე ყველა აფხაზის საერთო სახელად იხმარებოდა. და თუ ეს ასეა, მაშინ პლინიუსის ცნობა იმ მოსაზრების კიდევ ერთ საბუთად უნდა მივიჩნიოთ, რომ აბაზგთა მთავარი ეთნიკური ბირთვის ჩამოსახლება ჩრდილო კავკასიიდან (აქ ვფიქრობთ, უპრიანი იყო ავტორს დაეზუსტებინა მათი განსახლების ზუსტი არეალი და მეოტიის ანუ აზოვის ზღვის არეალი მიეთითებინა – რ. თ.) აფხაზეთის მთიან რეგიონში, მართლაც, ახ. წ. I ს-დან არის სავარაუდებელი“.[103] აქ მხოლოდ ერთი კორექტივი შეიძლება შევიტანოთ მეცნიერის ფრიად საყურადღებო მსჯელობაში: თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არა აფხაზთა მიგრაციაზე უნდა ვსაუბრობდეთ, არამედ პროტოაფხაზებისა, რადგან აბაზთა ჩრდილოეთიდან – აზოვის ზღვის არეალიდან – მიგრაციის შემდეგ მოხდა აფხაზური ეთნოსის ფორმირება დასავლურ ქართულ (ზანურ და სვანურ) ეთნიკურ ერთეულებთან შერევის შედეგად. სწორედ აბაზთა ამ გადმოსახლების შემდეგ თანდათან ჯერ საცხოვრებელი არეალი უმცირდებათ და ბოლოს ქრებიან სანიგები, რომ-

[103] *მ. ინაძე.* ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009, გვ. 427-428.

ლებიც ყველა მონაცემებით ქართველური მოდგმისანი იყვნენ (ზოგიერთთა მოსაზრებით, ზანები, ზოგიერთთა მოსაზრებით კი – სვანები. ჩვენ უფრო ამ მეორე მოსაზრებისაკენ ვიხრებით). *მ. ინაძე* ამის შესახებ შენიშნავს: „აღნიშნული პროცესი კარგად ჩანს ფლავიუს არიანეს (ახ. წ. II ს.) ცნობების შედარებიდან ახ. წ. V ს-ის ანონიმური ავტორისა და *პროკოპი კესარიელის* (ახ. წ. VI ს.) ცნობებთან. სახელდობრ, თუ კი II ს-ში სანიგებს ვრცელი სანაპირო მიწები ეჭირათ ქ. სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე (შახემდე), V საუკუნისათვის სანიგებს ამ ტერიტორიის მხოლოდ ნაწილი შერჩენიათ მდ. აბასკოსიდან (ბზიფიდან) აქეუნტამდე. სანაპირო ზოლი კი მდინარე ბზიფიდან დაახლოებით დღევანდელ ახალ ათონამდე (ძველი ანაკოფია) აბასკების პოლიტიკურ ერთეულში იყო შესული. აბასკების მიერ სანიგების მიწების შეერთება ამაზე არ შეჩერებულა. ეს პროცესი გრძელდებოდა V ს-ის შემდეგაც. VI ს-ისათვის აბაზგების პოლიტიკურ გაერთიანებაში ექცევა სანიგთა სამთავროს დანარჩენი ნაწილიც. საყურადღებოა ამ მხრივ ის გარემოება, რომ პროკოპის აბაზგების დასავლეთ მეზობლად დასახელებული ჰყავს უკვე არა სანიგები, არამედ ბრუქები და ძიქები (ჯიქები) (Proc., BG VIII, 4).“[104] აქ შეუძლებელია ერთი ჩანართი არ გავაკეთოთ. თამარის პირველი ქმრის ამბებთან დაკავშირებით „ისტორიანი და შარავანდედთანის“ ავტორი სანიგებსაც ასახელებს: ...ესე მცირედისა რასმე წარვიდა და მივიდა გეგუთს, რეცა პატრონისა წადილითა. შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. *მომრთველმან სანიგთა და ქეშაგთამან* აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქვეყანისანი“.[105] აქ, აღნიშნული დროისათვის სრულიად უადგილოდ,

---

[104] *მ. ინაძე.* ძველი კოლხეთის ... თბ., 2009, გვ. 428.

[105] ქართლის ცხოვრება, ტომი II, *ს. ყაუხჩიშვილის* გამოცემა, თბ., 1959, გვ. 49.

მოხსენიებულნი არიან სანიგნი, რომლებიც, როგორც აღინიშნა VI საუკუნის შემდეგ ქრებიან, რადგან ისინი შედიან აბასთა/ჯიქთა ეთნოპოლიტიკურ გაერთიანებაში, სანიგები აბაზთა/აფხაზთა მიერ იქნენ ასიმილირებულნი. აქ უბრალოდ მემატიანე ტრადიციას აგრძელებს, რადგან მან იცის, რომ იმ ქვეყანას, რომელსაც ახლა ჯიქეთი ეწოდება, ადრე სანიგეთი ერქვა, რომ ზღვის სანაპირო ზოლში აბაზ-აფხაზთა გამოჩენამდე სანიგები მკვიდრობდნენ. ის აგრძელებს ძველ ტრადიციას და კვლავ გამოიყენებს ეთნონიმს – სანიგებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველი ეთნონიმებით ხშირად სრულიად სხვა ხალხებს მოიხსენებდნენ.

ჯიქების/ზიხების შესახებ საუბარს აქ ვერ დავამთავრებთ. მეცნიერები მიუთითებენ, რომ I საუკუნის დასაწყისში ზიხები/ჯიქები პატარა ტომი იყო, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე ტუაფსესა და გაგრას შორის ტერიტორიაზე. V საუკუნისათვის ზიხების/ჯიქების ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გადაინაცვლა ჩრდილო-დასავლეთით. ფსევდო-არიანი, ჩამოთვლის რა ზღვის სანაპიროს სხვადასხვა პუნქტებს თანამედროვე აფხაზეთსა და ტეტრაკიტებს/გუთებს შორის, რომლებიც ყირიმიდან იყვნენ გადმოწეული, აღნიშნავს: „ძველი ახეიდან (ახლა ტუაფსე) ძველ ლაზიკამდე (მდინარე ნეგეპსიხოს შესართავი, გელენჯიკის სამხრეთით) და შემდეგ მდინარე აქეუნტამდე ცხოვრობდნენ ხალხები, რომლებიც ატარებდნენ სახელებს: ინიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელაქლენები, მაქალონები, კოლხები და ლაზები, და დღეს ცხვრობენ ზიხები... ნავსაყუდელ პაგრიდან (სავარაუდოდ, თანამედროვე ნოვოროსიისკი) ძველ აქაიადან ცხოვრობდნენ ე. წ. აქეელები, დღეს კი ცხოვრობენ ზიხები“.[106]

ზიხების კავკასიაში, შავი ზღვის სანაპიროზე მიგრაციაზე საუბრობს ახ. წ. IV საუკუნის რომაელი ავტორი *რუფიუს დესტუს ავიენუსიც*: აქეელების „შორიახლოს

[106]მითითებულია *ლ. ლავროვის* წიგნიდან: *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 175;

ცხოვრობენ ჰენიოხები, შემდეგ ძიგიები, რომლებმაც ოდეს-ღაც პელასგების სამეფო მიატოვეს და პონტოსის უახ-ლოეს სანაპიროზე დასახლდნენ. მათთან ახლოს სახლო-ბენ კოლხები ... რომლებიც მაღალ კლდოვან მაღლობებს ამუშავებენ“.[107]

ერთ-ერთი ყველაზე ძველი გადმოცემა ადიღეური ტომების თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ დაფიქსი-რებული აქვს იტალიელ *ჯორჯე ინტერიანოს* 1551 წელს, რომელიც წერდა, რომ ადიღეელი ხალხი მაშინ/იმ დროს ცხოვრობდა აზოვის ზღვის აზიურ სანაპიროზე: «...Георгий Интериано, живший 1552 году, нашел, «что народ, называвшийся адыге, занимал (территорию) от реки Дона по азиатскому берегу Азовского моря до Боспорского пролива и далее по берегу Черного моря». [108]

ადიღეური ტომების თავდაპირველი საცხოვრისის შე-სახებ საუბრობს ცნობილი მეცნიერი *ევგრაფ კოვალევ-სკიც* (1792-1867 წწ.). ის წერს: შემონახული გადმოცემებით, თანამედროვე ჩერქეზების წინაპრები ბინადრობდნენ თერ-გიდან ჩრდილოეთით ვოლგასა და დონამდე და მათი და-სახლება გრძელდებოდა აზოვის ზღვის ორივე მხარეზე, რომელიც დასავლეთით აღწევდა ყირიმის სტეპებამდე, სამხრეთით კი აღწევდა კავკასიის მთებამდე, რომლის ხე-ობებშიც ცხოვრობდნენ აბაძეხები. იგივე ავტორს მოყვანი-ლი აქვს აგრეთვე ადიღეელი ავტორის *შორა ნოგმოვის* ციტატა, რომლის თანახმადაც მისი ხალხი ბინადრობდა აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, რომლებმაც შემ-დეგ გუთებისაგან შევიწროვებულებმა დაიხიეს ზევით დნე-

---

[107] *რუფიუს ფესტუს ავენიუსი.* – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 598.

[108] ციტირებულია ფრანგი ავტორის ლ. ი. ლიულეს ნაშრომიდან: *Л. Я. Люлье*. Черкесия. Историко-этнографические статьи. – Ландшафт, этнографические и исторические процессы на Северном Кавказе в XIX-начале XX века. Нальчик, 2004, С. 63, 52.

პრზე.[109] სხათა შორის, *შ. ნოგმოვის* მიერ მოხმობილ გადმოცემაში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიცაა საყურადღებო. ადიღეელებად არ მიიჩნევს ის აბაძეხებს. თუმცა მის დროს ისინი ადიღეელები/ჩერქეზები იყვნენ. გადმოცემაში დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ისინი გაჩერქეზებული აფხაზ-აბაზები იყვნენ. აშკარაა, რომ ადიღეურ ტომებს სამხრეთით ჩამოწევისას უკვე ადგილზე დახვდნენ აფხაზურ-აბაზური ტომები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ასევე ჩრდილოეთიდან იყვნენ უფრო სამხრეთით ჩამოწეული. მათი მიგრაცია მეოტების პირველი ეტაპის მიგრაციის დროს მოხდა. და ამ მიგრაციის შედეგად ისინი ადგილზე მცხოვრებ ზანურ მოსახლეობას შეერივნენ და ასე წარმოიქმნა აფხაზურ-აბაზგურ-აბაზური ეთნოსი. ხოლო იმ მეოტების მიგრაცია, რომლებმაც ადიღეელებს ჩაუყარეს საფუძველი შედარებით გვიან განხორციელდა და მათ სუბსტრატად იქცნენ აფხაზურ/აბაზგურ/აბაზური ტომები. აშკარაა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ადრე მოსულ აფხაზ-აბაზებსა და უბიხებს შედარებით გვიან მოსულ პროტოადიღეურ ტომებთან ეთნოგენეტიკური ურთიერთობანი გააჩნდათ – ისინი ხშირად ერეოდნენ ერთმანეთს და შემდეგ ზღვის სანაპიროდან მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით გადადიოდნენ. საამისოდ შეიძლება აბაძეხების მაგალითი მოვიყვანოთ. გადმოცემებით ისინი აბაძეხთა ტერიტორიაზე ზღვისპირეთიდან იყვნენ გადასული (ვიწრო შავიზღვისპირეთი მოსახლეობის დიდ რაოდენობას ვერ იტევდა), კერძოდ, შახეს ხეობიდან და შესაბამისად, თავს აფხაზ-აბაზების ნათესავებადაც მიიჩნევდნენ. სხვა გადმოცემებით, აბაძეხების წინაპრები ზღვის სანაპიროდან მოვიდნენ, თავდაპირველად ცხოვრობდნენ ტატარტუპეში, შემდეგ დასახლდნენ მდინარე არიდეზე, საიდანაც გადავიდნენ ტუბეს ხეობაში. აქედან მოსახლეობის ნამატი დაეშვა მთიდან და განსახლდა სხაგუაშეს (ბელაიას), კურჯიპსის, პჩეხეს ხეო-

[109] *Е. П. Ковалевский*. Очерки этнографии Кавказа. – Ландшафт, этнографические и исторические процессы на Северном Кавказе в XIX-начале XX века. Нальчик, 2004, С. 277.

ბებში. საერთოდ, აბაძეხური გადმოცემებით, თავდაპირველად ისინი (უფრო სწორედ მათი ზედაფენა) დასახლდნენ უბიხებს შორის, შემდეგ კურჯიპსის ხეობაში გადასულებს ყირიმიდან გადმოსახლებული ორი გვარის წარმომადგენლები – ედიგე და ცეი – შეუერთდნენ. ედიგეელებთან შემდგომში გადმოსახლდა ბევრი მოსული და ყველამ ედიგეს სახელი მიიღო, თუმცა მოსულები არ მიიჩნეოდნენ უორკებად. აბაძეხების ტუბეში დასახლებიდან 18 თაობას ითვლიდნენ. XIX საუკუნის ავტორს *ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვს*, რომელმაც ეს გადმოცემები ჩაიწერა, სრულიად სამართლიანი დასკვნა გამოაქვს, რომ კავკასიის მთებში, ტებეს ხეობაში თავს იყრიდა სხვადასხვა ტომის ლტოლვილები, ყაბარდოელებიც, უბიხებიც, იყვნენ ყირიმიდან მოსულებიც.[110]

XIX საუკუნის ავტორს *ადოლფ ბერჟეს* მოხმობილი აქვს კლაპროტის მიერ დაფიქსირებული გადმოცემა, რომ ჩერქეზების ერთ-ერთმა ტომმა, რომელიც კაბარდას სახელს ატარებდა, ხიჯრით VI საუკუნეში (ქრისტეს შობიდან XIII საუკუნეში – რ. თ.) მიატოვა თავისი ადრინდელი საცხოვრებელი ყუბანში და გადაიწია ჩრდილოეთით მდინარე დონზე, საიდანაც ისინი მალე გადავიდნენ ყირიმში. აქ ყაბარდოელები სამხრეთ მხარეზე დასახლდნენ, რის შემდეგაც მდინარეებს კაჩასა და ბელბეკს შორის ველს (რომლის ზედა ტერიტორიას ყაბარდა ეწოდება) დღესაც ჯერ კიდევ თათრები „ჩერქეზთა მინდორს“ უწოდებენ.[111] იქვე *ა. ბერჟეს* მოყვანილი აქვს შემდეგი მონაცემები: 1497 წელს *ფრედუცი ანკონსკის* მიერ შედგენილ ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის რუკაზე, რომელიც დაცულია *ვოლფენბიუტელის* ბიბლიოთეკაში, შეიძლება ლამაზი ასოებით წავიკითხოთ ყაბარდოელი ხალხის სახელწოდება იმ

---

[110] *А. Н. Дьячков-Тарасов*. Абадзехи: историко-этнографический очерк. – Ландшафт, этнографические и исторические процессы на Северном Кавказе в XIX начале XX века. Нальчик, 2004, С. 604-608.

[111] *А. Берже*. Краткий обзор горских племен на Кавказе. – Кавказ: племена, нравы, язык. – Нальчик. Вып.VIII. 2011. С. 155.

ადგილიდან რამდენადმე დასავლეთით, სადაც ახლა ტაგანროგი მდებარეობს, და ყაბარდოელების ადრინდელი ადგილსაცხოვრისი, რომელიც დატოვეს VII საუკუნეში კვლავ ყირიმი... მაგრამ აქაც მათი ყოფნა დიდხანს არ გაგრძელდა, და ისინი ინალის მეთაურობით მალე გადაადგილდნენ, რომელიც ყველა ყაბარდოელის საფუძველჩამყრელად მიიჩნევა, აღმოსავლეთით და განსახლდნენ ყუბანის გასწვრივ თანამეროვე ყაბარდოში, სადაც დაიქვემდებარეს სხვა ჩერქეზული ტომები.[112]

ოსებში შემონახული გადმოცემით, ჩერქეზები, ყირიმიდან ყაბარდოელი თავადების მოსვლამდე, ყაზახებად იწოდებოდნენ.[113] *ა. ბერჟეს* მოყავს დამატებითი მასალები, კერძოდ, *ჯორჯო ინტერიანოს* მონაცემები, რომელიც დაახლოებით 1502 წელს წერდა. მასში აღნიშნულია, რომ ჩერქეზებს დაკავებული ჰქონდათ აზოვის ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო დონიდან კიმირეის ბოსფორამდე, საიდანაც ისინი რუსებისა და თათრების მიერ იქნენ განდევნილი. *შეიხ ედ-დინი დამასკელი* საუბრობდა ქრისტიან ხალხზე – ეზ-კეშ, რომელიც შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ცხოვრობდა, ალანებისა და რუსების მეზობლად. *დოსენის* აზრით, ეს შეიძლება იყოს ზენხები ანუ ზიხები, რომელ სახელწოდებაშიც ბერძნები და იტალიელები, ინტერიანოს მოწმობით, ჩერქეზებს გულისხმობდნენ.[114]

ახლა XIX საუკუნის კიდევ ერთ ავტორს *ვ. შვეცოვსაც* უნდა დავესესხოთ, რომელსაც ყაბარდოელების წარმომავლობის შესახებ გადმოცემა ჩაუწერია. ამ გადმოცემის მიხედვით, ადიღეელებმა სახელწოდება მიიღეს უკანასკნელი მფლობელის ადიღესაგან. შემდეგ ეს ტომი გამოდევნილი იქნა პირველი ადგილსაცხოვრისიდან სხვა მოსული ხალხის მიერ, მაგრამ სახელდობრ რომელთაგან –

---

[112] *А. Берже*. Краткий обзор горских племен ... Вып.VIII. 2011. С. 155.
[113] *А. Берже*. Краткий обзор горских племен ... Вып.VIII. 2011. С. 155.
[114] *А. Берже*. Краткий обзор горских племен ... Вып.VIII. 2011. С. 155.

არავითარი კვალი არაა შემორჩენილი; შემდეგ დატოვეს მეორე ადგილიც ყირიმელი თათრების ხშირი თარეშების გამო და გადმოსახლდნენ ბეშთაუს მთებთან."[115]

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ადიღეელების, თუგინდ პროტოადიღეელების, თავდაპირველი განსახლების არეალის შესახებ მნიშვნელოვანი გადმოცემებია დადასტურებული. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, ისედაც მიიჩნევდა, რომ მეოტების/პროტოადიღეელების თავდაპირველი განსახლების არეალი უფრო ჩრდილოეთით – ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში იყო. ეს გადმოცემები პირდაპირ მიუთითებენ იმის შესახებ, რომ ადიღეური მოდგმის ეთნოსებს ჩრდილოური წარმომავლობა აქვთ და ისინი ძირძველი კავკასიელები არ არიან, რომ პროტოადიღეელები მეოტების სახით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოსულნი არიან. მათ მიგრაციის შემდეგი გზა გაიარეს: სამხრეთ უკრაინა/ყირიმი–>დონის აუზის შესართავი მონაკვეთი–>აზოვის აღმოსავლეთი სანაპირო, ტამანის ნახევარკუნძული, შავიზღვისპირეთი–>ყუბანის მარცხენა მხარე–>ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთისწინა რეგიონი.

ყაბარდოელების ერთ დროს აზოვის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ბინადრობის დამადასტურებელია შუა საუკუნეების იტალიური რუკებიც. 1863 წელს უცნობი ავტორი წერდა, რომ „თათრობის პერიოდში... ყაბარდოელები ისევ გამოვიდნენ ყირიმიდან აზოვის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე... *ფრედუცია ანკონელის* რუკაზე... 1497 წელს... ყაბარდოელები ნაჩვენები არიან დონის მარჯვენა მხარეს ზღვის სანაპიროზე".[116] *ლ. ლავროვი* ამ ციტატის შესახებ აღნიშნავს, რომ მას შემდეგ ისტორიკოსები მუდ-

---

[115] *В. Швецов*. Очерк о Кавказских горских племенах, с их обрядами и обычаями в гражданском, воинственном и домашнем духе. – Кавказ: культы, легенды, предания. – Нальчик. 2010. Вып. V, С. 47.

[116] «Черкесы, казаки и адехе», «Русский вестник», 1863, декабрь, стр. 861. მითითებულია წიგნიდან: *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 165.

მივად იმოწმებენ შუა საუკუნეების იტალიურ რუკებს, რათა დაემტკიცებინათ ჩრდილოეთ აზოვისპირეთიდან კავკასიაში ყაბარდოელების გადმოსახლება. მართლაც, XIV, XV და XVI საუკუნეების რუკებზე დონის შესართავის დასავლეთით გვხვდება სახელწოდება ყაბარდო“ (Cabardi). ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ყაბარდი“ იკითხება *ანჯელინო დულჩერტის* რუკაზე, რომელიც შედგენილია 1339 წელს. ხოლო უფრო ადრინდელ 1318 წლის რუკაზე ამ პუნქტს „კაბალი“ აწერია. *ლავროვი* იმასაც აღნიშნავს, რომ 1601 წლის რომაულ რუკაზე პუნქტი „კაბარდი“ „ტაბარდად“ გადაიქცა.[117] როგორც ჩანს, ყაბარდოელების ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადანაცვლების შესახებ ინფორმაცია რუსეთის სამეფო კარზეც ჰქონიათ. *ივანე მრისხანე* თურქეთის სულთანს წერდა, რომ რუსებს აღმოსავლეთ ჩერქეზეთში (ე. ი. ყაბარდოში) სამხედრო ყოფნის უფლება აქვთ იმიტომ, ისინი გადასახლებული არიან „რიაზანის მიდამოებიდან“.[118]

ადიღეელთა (და აბაზ-აფხაზთა წინაპრებიც) რომ თავდაპირველად ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ კარგად ჩანს ნართების ეპოსიდან. ნართულმა ეპოსმა (ადიღეურმა ვარიანტმა) იცის მდინარეები ტენი (დონი) და ინდილი (ვოლგა). ნართები გადადიან ვოლგისა და დონის იქით მათ მიმდებარე უსაზღვრო სტეპებში. *ვ. გუდაკოვიც* ასკვნის, რომ „ნართების“ ეპოსის შემქმნელი ხალხის წარმოქმნის ადგილი იყო სტეპებისა და ჩრდილოეთ კავკასიის საკონტაქტო ზონა.[119] საყურადღებოა XVII საუკუნის მეორე ნახევრის ჰოლანდიელი ავტორის *ნიკოლას ვიტსენის* ცნობა, რომ ჩერქეზების მისალმებას ჩვეულებრივ თან ახლავს კითხვა საქონლის ჯანმრთელობის შესახებ.[120] მისალმების ასეთივე წესი გააჩნდათ აფხაზებსაც. ეს ფაქტიც პირდა-

---

[117] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 165.
[118] Кабардино-русские отношения. Т. 1. Док. №43. С. 71.
[119] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 34.
[120] *Н. Витсен*. Северная и Восточная Татария. . – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. Нальчик, 2010. Вып. III, С. 71.

პირ მიუთითებს იმის შეასახებ, რომ მათი წინაპრების მეურნეობის ძირითადი ფორმა იყო მესაქონლეობა. მესაქონლე ნომადების სამომთაბარეო არეალი კი ევრაზიის ვრცელი სტეპები იყო. ამავე მოსაზრებას ადასტურებს იტალიელი *კსავერიო გლავანის* 1724 წელს დაწერილი თხზულების ერთი ადგილი, რომელშიც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩერქეზების ძირითადი საკვები იყო ხორცი და მხოლოდ მცირე რაოდენობით მიირთმევდნენ ფეტვის ფქვილისაგან გამომცხვარ პურს [«Они употребляют в пищу много мяса и мало хлеба, который приготовляется из просяной муки; вина не имеют, но гонят много водки из зерновых хлебов, яблок, груш, слив и других плодов.»][121]. ცხოვრების მომთაბარული წესი ჰქონდა შენარჩუნებული ადიღეელთა ყველა ტომს/ლოკალურ ჯგუფს XVIII საუკუნეშიც. საამისოდ ფრანგი ავტორის *შარლ დე პეისონელის* 1787 წელს გამოქვეყნებული თხზულების დამოწმებაც საკმარისია. ის ჩერქეზებისა და ნოღაელების ცხოვრების წესს შორის ბევრ საერთოს აღნიშნავს: მუდმივი საცხოვრებლების არ არსებობა, მომთაბარეობა, დაუდგენელი მიწები (ტერიტორიები) და მიწის ხან ერთ რაიონში და ხან მეორე რაიონში დამუშავება [«Черкесы живут приблизительно как и ногайцы: у них нет ни городов, ни постоянных жилищ; они кочуют, не выходя, однако, из пределов своего кабиле, лето они проводят в равнинах и удаляются зимой в горы; у них нет определенных земель, и возделывают то один район, то другой. Их дома представляют собой ямы, вырытые в земле и покрытые листьями и соломой»].[122]

ზემოთქმულის შემდეგ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთით ყაბარდოელთა წინაპრები იმ დროს არ გადმოსახლებულან, როდესაც მათი თანამეტომენი ადიღეელები. ვფიქ-

---

[121] *Ксаварио Главани*. Описание Черкесии. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. Нальчик, 2010. Вып. III, С. 113.

[122] *Шарль де Пейсоннель*. Трактат о торговле на Черном море. . – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. Нальчик, 2010. Вып. III, С. 137.

რობთ, რომ ისინი პროტოადიღეელების ბოლო ტალღას წარმოადგენდნენ, რომლებმაც სამხრეთით – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გადმოინაცვლეს. თუ როდის მოხდა მათი ეს მიგრაცია, მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. მანამ, სანამ ყაბარდოელები ცენტრალური კავკასიის მთისწინეთში გადმოინაცვლებდნენ, მათ შეხლა-შემოხლა ჰქონდათ აბაზებთან,[123] ე. ი. ისინი ეთნოსფერას ერთმანეთს ეცილებოდნენ, უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ყაბარდოელები აბაზებს ეცილებოდნენ ეთნოსფერას/განსახლების არეალს. მას შემდეგ, რაც ალანებს მონღოლებმა განსახლების არეალი დააკარგვინეს და მათი განსახლების არეალი გათავისუფლდა, ყაბარდოელებმა ეს გამოთავისუფლებული არეალი თანდათან დაიკავეს.

ასე რომ, აფხაზურ-ადიღეური ეთნოსის თავდაპირველი განსახლების არეალი ჩრდილო-დასავლეთი კავკასია არ იყო. პროტოადიღეელები ჩრდილოეთიდან მოვიდნენ კავკასიაში. თუმცა თვით ადიღეელების ეთნოგენეზის ტერიტორიად ჩვენ ტამანის ნახევარკუნძული, აზოვის აღმოსავლეთი სანაპირო მიგვაჩნია, იქ სადაც ანტიკური წყაროებით მეოტების ლოკალიზაცია ხდება. როგორც *ლ. გუმილიოვმა* დაადგინა ევრაზიის სტეპურ ზონაში ეთნოსები ხშირად იცვლებოდნენ. ამ დასკვნის მიხედვით, მეოტებიც ევრაზიის სივრცის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთში მიგრირებულნი იყვნენ. მაგრამ საიდან? ზემოთ აღინიშნა: მთელ რიგ ენათმეცნიერთა მონაცემებით, აფხაზურ-ადიღეურ ენებს ბევრი რამ აქვს საერთო ჩინურთან და მათი წინაპრები შორეული აღმოსავლეთიდან მოსულან. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ თანამედროვე ენათმეცნიერებაში შედარებით-ისტორიული მეთოდის უახლესი მიღწევები, რომლებიც გლოტოქრონოლოგიური მეთოდით ადგენენ ზოგიერთი ენათა ოჯახის ნათესაობას. ასე დაადგინეს მათ შორეული ნათესაობა, ერთი მხრივ, სემიტურ-ქამიტურ,

[123] *Л. Л. Лавров*. Избранные труды по культуре абазин, адыгов, карачаевцев, балкарцев. Нальчик, 2009, стр. 126.

ქართველურ, ინდოევროპულ, ურალურ, დრავიდულ, ალთაურ ენებს შორის, რომლებიც გაერთიანებული არიან ნოსტრატულ ზეოჯახში, და, მეორე მხრივ, ასეთივე ძალიან ძველი ნათესაობაა გამოვლენილი ჩრდილოეთკავკასიურ (აქცენტი აფხაზურ-ადიღეურ ენებზე კეთდება), სინოტიბეტურ და ბურიშულ ენებს შორის (აქვე შეყავთ ბასკური ენა და იზოლირებულ ენად მიჩნეული პაკისტანში გავრცელებული ბურიშული).[124] ისიც ცნობილია, რომ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური ენების ერთ ენათა ოჯახში გაერთიანება. ალბათ ზედმეტი იქნება იმის ხაზგასმა, რომ ქართველური და ჩრდილოეთკავკასიური ენები სრულიად სხვადასხვა ზეოჯახებში არიან გაერთიანებული. ეთნოლოგთა ნაწილიც ბევრ საერთოს პოულობს აღმოსავლურ ეტიკეტთან, კერძოდ, იაპონურსა და ჩინურ ეტიკეტთან.

როდის და რატომ მოხდა მეოტების/პროტოადიღეელების კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში გადმონაცვლება? ბუნებრივია, როდესაც ეთნოგენეზის პრობლემაზე ვსაუბრობთ, ამ საკითხსაც გვერდს ვერ ავუვლით. წინასწარ როგორც აღვნიშნეთ, სამი ათასწლეულის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის საკონტაქტო ზონა იყო ევრაზიის სტეპები, სადაც მუდმივად ჯერ ირანულენოვანი და შემდეგ თურქულენოვანი ნომადები მოძრაობდნენ და თარეშობდნენ, რაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არამდგრად ეთნიკურ სიტუაციას ქმნიდა. ეს მოვლენა ხელს უწ-

[124]Социокультурная антропология: История, теория и методология: Энциклопедический словарь / Под ред. *Ю. М. Резника*. – М., - 2012. С. 977; *С. А. Арутюнов*. Силуэты этничности на цивилизационном фоне. М., 2012, стр. 37. სინო-კავკასიური ენათა ზეოჯახის შესახებ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გამოითქვა ჰიპოთეზა (*ა. ტრომბეტი*), XX საუკუნის 80-იან წლებში ის განავითარა *ს. სტაროსტინმა*. დღეს ღრმა კომპარატივისტიკის მომხრეთაგან ამ მხრივ თავისი აქტიურობით გამოირჩევიან ენათმეცნიერები: ჯ. დ. *ბენგსტონი, მ. რულენი, ვიტ. შევოროშკინი.* სინო-კავკასიური ენების წინარესამშობლოდ ირანულ ზაგროს მიიჩნევენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ლინგვისტთა შორის ამ ჰიპოთეზას მოწინააღმდეგეებიც ყავს.

ყობდა შავი ზღვის ჩრდილოეთ მონაკვეთში და სამხრეთ უკრაინაში მობინადრე ხალხების სხვადასხვა მიმართულებით მიგრაციას. პირველი ბიძგი მეოტების/პროტოადიღელების მიგრაციისათვის სკვითებს უნდა მიეცათ. ამ დროს უნდა მოსულიყვნენ ისინი აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და დონის შესართავში. შემდეგი ბიძგის მიმცემები სარმატები იყვნენ. ამ დროს გადმოდიან ისინი შავი ზღვის ჩრილო-დასავლეთ მონაკვეთსა და ყუბანის მარცხენა მხარეს. ამ დროიდან, ახ. წ. დასაწყისში ჩნდებიან თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე აბაზგები/აფხაზები. საერთოდ, აფხაზურ-ადიღეური ეთნოსის შემდგომ ეთნიკურ ისტორიაში დიდი როლი შეასრულეს ირანულენოვანმა ტომებმა, რომლებმაც მეოტებს/პროტოადიღებს კულტურის სხვადასხვა ელემენტი შესძინეს, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ნართების ეპოსია.

რადგან აბაზგები/აფხაზები თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით და უფრო ჩრდილოეთითაც ახ. წ. დასაწყისიდან ჩნდებიან, აშკარაა, რომ მათ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიგრაციას ბიძგი მისცეს სარმატებმა. სარმატებმა აფხაზთა/აბაზგთა ეთნოგენეზშიც მიიღეს მონაწილეობა. მაშინ უნდა გადასცემოდა მეოტებს/პროტოადიღებს ნართების ეპოსი. მაგრამ აფხაზები მხოლოდ ორი კომპონენტისაგან არ წარმოქმნილან. მათ ეთნოგენეზში მესამე და მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლდათ ქართველური კომპონენტი: ზანური და სვანური. კავკასიონის ქედის სამხრეთით შავიზღვისპირეთის თითქმის მთელ მონაკვეთზე ზანები მკვიდრობდნენ, აგრეთვე სვანები, რომლებიც ცხოვრობდნენ კოდორის ხეობასა და სოხუმის მიდამოებშიც ზღვაზეც გამოდიოდნენ (ამას ტოპონიმი ცხუმიც ადასტურებს). სვანები იყვნენ სანიგები, რომლებიც ახ. წ. II საუკუნეში სოხუმის რაიონში ბინადრობდნენ, ხოლო ადრე უფრო ფართოდ იყვნენ განსახლებულნი (ვ. გუდაკოვი ცდილობს სანიგები ადიღეურ ეთნიკურ ერთობას – ჟანაელებს დაუკავშიროს). აგრეთვე ქართული ელემენტი ჩრდი-

ლო-დასავლეთ კავკასიის მთებშიც მკვიდრობდა. ქართველური ეთნიკური ერთობა გვიან, VI საუკუნის შუა ხანებიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიონის მთებში შემოჭრილ ალანებსაც შეერია, მათ სუბსტრატად იქცა. ეს მოხდა თანამედროვე დიგორის, ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე. ამ დროის შედეგია ოსურ ენაში როგორც მეგრელიზმები, ისე სვანიზმები. ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთისწინა და მთის ზოლი რომ ქართველური ენობრივი ერთეულების განსახლების არეალი იყო, ამას ყობანური არქეოლოგიური კულტურაც ადასტურებს, რომელიც კოლხური კულტურის ადგილობრივი ვარიანტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვიდრე XVIII საუკუნის ბოლომდე სვანები თანამედროვე ყარაჩაისა და ბალყარეთის საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე ჯერ კიდევ მჭიდროდ მკვიდრობდნენ.[125] დასავლურ ქართულმა (სვანურმა) ელემენტმა ბალყარელებისა და ყარაჩაელების ეთნიკურ ისტორიაშიც მიიღო მონაწილეობა. მონღოლების შემდეგ კავკასიონის მთებში მოსული თურქულენოვანი ყივჩაღები სწორედ სვანებს დაეფინნენ. სვანები იმდენად მნიშვნელოვანი რაოდენობით შეერივნენ მოსულ თურქულენოვან ეთნიკურ ერთობას რომ ბალყარელებისა და ყარაჩაელების ანთროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს. როგორც შენიშნავენ ისინი „კავკასიონური ტიპის კლასიკური წარმომადგენლები არიან“.[126] ლექსიკური მონაცემები, „ტოპონიმიკური პარალელები“, ფოლკლორი, გვარების ნათესაობა, საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობების ტერმინოლოგია, აგრეთვე სვანური ტიპის კოშკების არსებობა ბალყარეთში იმას ადასტურებს, რომ ადგილობრივი კავკასიური სუბსტრატი „როგორც ჩანს, სვანური წარმოშობის“

---

[125] *Л. Л. Лавров*. Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века. - *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 56-51.

[126] *Алексеев В. П.* Происхождение народов Кавказа. Краниологическое исследование. М., 1974, 26.

იყო.[127] თანაც ეს სუბსტრატი უფრო მეტად ძველია, ვიდრე ალანური.[128] *მერეტუკოვი* მდინარე ლაბას სვანურ მეტყველებას უკავშირებს, რადგან სვანურად „ლაბნა“ „წყაროს“ აღნიშნავს.

ვ. გუდაკოვი, ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეთნონიმებს და აღნიშნავს, რომ ალოეთნონიმი/ეგზოეთნონიმი „ჩერქეზი“ XIII საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა, თანაც მისი ერთ-ერთი ფორმა იყო მონღოლების მიერ დაფიქსირებული „სერკესუტ“-ი. ხოლო თვითსახელწოდების შესახებ კი აღნიშნავს: ავტოეთნონიმი „ადიღე“ წარმოიქმნა მაშინვე, შესაძლოა, რამდენადმე ადრეც.[129] შეუძლებელია ამ ვერსიას დაეთანხმო. საერთოდ, არა გვაქვს წყარო ენდოეთნინიმის „ადიღე“ შესახებ. საყოველთად, ცნობილია, რომ თვითსახელწოდება ეთნოსის წარმოქმნიდან შედარებით გვიან ჩნდება. ჩვეულებრივ, ეთნოსის ერთ-ერთი ჯგუფის სახელი დროთა განმავლობაში მთელ ხალხზე ვრცელდება, რასაც მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებდა: სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, საერთო მტერი და სხვ. მანამ, სანამ ავტოეთნონიმის „ადიღე“ შესახებ რეალურ ახსნას შემოგთავაზებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მათგანით, თვითსახელწოდება თურქულიდან მომდინარეობს, რაც, თურმე „დათვის შვილს“ ნიშნავს.[130] ამ მოსაზრებას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. მეცნიერებაში არაა არც ერთი შემთხვევა დადასტურებული გარესახელწოდება თვითსახელწოდებად ქცეულიყო. მეცნიერებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია და გაზიარებულია *ჰ. აუტლევის* ჰიპოთეზა, რომ ეთნონიმი „ადიღე“ ნიშნავს „წინაპართა მიწას ან ქვეყანას“, „ველების, მინდვრების ხალხი“, „ველობში მცხოვრები ხალხი“.[131] ამრი-

---

[127] *Алексеев В. П.* Происхождение народов ... М., 1974, 201-203.
[128] *Алексеев В. П.* Происхождение народов ... М., 1974, 201-203.
[129] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 147.
[130] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 147.
[131] *Аутлев П. У.* Из адыгейской этнонимии: Сборник статей по этнолгии Адыгеи. Майкоп, 1975, С. 258-259.

გად, სხვა წყაროებთან ერთად, ადიღეელთა თვითსახელწოდებაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ადიღეელები/ადიღეური ეთნიკური ერთობები კავკასიის მკვიდრნი არ იყვნენ, რომ კავკასიაში პროტოადიღეელები სტეპებიდან, ჩრდილოეთიდან არიან ჩამონაცვლებული, სადაც იყო მათი თავდაპირველი განსახლების არეალი. პროტოადიღეელების ადიღეელებად ქცევა კი განაპირობა სტეპების სხვა მკვიდრებთან, ძირითადად ირანულენოვან ნომადებთან და შემდეგ ადგილობრივ კავკასიელებთან შერევამ, რომლებიც ყობანური კულტურის მემკვიდრენი იყვნენ. საერთოდ, ცნობილია, რომ ადიღეური ეთნიკური ერთობები ბოლო დრომდე ინტეგრირებულნი არ იყვნენ. ბუნებრივია ადიღეელებს ეთნიკურ შეკავშრებას ხელს უშლიდა მათი ცხოვრების წესი – ტყვეთა სყიდვა. დასავლეთ ადიღეელეები თოთხმეტამდე „ტომის“, ლოკალურ-ტერიტორიული ჯგუფის ერთობლიობას წარმოადგენდნენ, რომელთა უმეტესობა ერთმანეთისაგან მოწყვეტით ცხოვრობდა, მათ ხშირად ერთმანეთთან საომარი ვითარებაც ჰქონდათ. ესენი იყვნენ: *აბაძეხები, ბესლენელები, ბჟედუხები* (თავის მხრივ იყოფოდნენ *ხამიშეელებად* და *ჩერჩენეებად*), *ეგერუხები, მამხეგელები, ნატუხაელები, თემირდოელები, ჭემგუელები, ხატუკაელები, შაფსუღები,*[132] *ხაკუჩები, ჟანაელები, ხეგაკები...* სხვათა შორის, ადიღეელთა ამ ტერიტორიულ, ლოკალურ ერთეულებს ყველას ჰქონდა თუ არა საერთო სახელწოდება „ადიღე“, ჩვენთვის ცნობილი არაა. სამეცნიერო ლიტერატურში შენიშნულია, რომ ყველა ადიღეელი, უპირველეს ყოვლისა, იყო ნატუხაელი, ბჟედუხი ან შაფსუღი.[133]

აშკარაა, რომ აზოვისზღვისპირეთიდან და შავი ზღვის ჩრდილოეთი სტეპებიდან აფხაზურ-ადიღეური ტომების სამხრეთით მიგრაცია რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა,

---

[132] თანამედროვე მეცნიერებაში ტენდენციაა შაფსუღების ცალკე ეთნოსად გამოცხადებისა.

[133] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб, 2007, С. 198.

ჯერ შავი ზღვის სანაპიროზე, და შემდეგ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეზე – ყუბანის მარცხენა მხარეზე ხდებოდა გადასვლა. აზოვისპირეთიდან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში პირველად პროტოაფხაზურ-აბაზური ტომები გადასახლდნენ, შემდეგ – პროტოადიღეური ტომები და ამ მიგრაციის რამდენიმე ეტაპი განპირობებული იყო ევრაზიის სივრცეში ნომადების შემოჭრით. ჩვენ ასეთი მიგრაციის სამ ეტაპს გამოვყოფთ: პირველი მიგრაცია მოხდა ძვ. წ. III საუკუნეში, მეორე – ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, რასაც შავი ზღვის სანაპიროზე ქართულ ეთნიკურ ერთეულთან შერევის შედეგად აბაზ-აფხაზების წარმოქმნა მოყვა. მეოტების/პროტოადიღეელების სამხრეთით გადმოსახლების შემდეგი ეტაპი IV საუკუნეში ჰუნების შემოსევის დროს განხორციელდა, რასაც უკვე ადგილზე მოსახლე მონათესავე აბაზ-აფხაზებთან შერევის შედეგად ახალი ეთნოსის – ადიღეელების წარმოქმნა მოყვა. ადიღეელების მიერ აბაზების ასიმილაცია ერთჯერადი ფაქტი არ ყოფილა; ის მომდევნო საუკუნეებშიც მიმდინარეობდა. მათი მიგრაციის მეოთხე ეტაპი მონღოლების შემოსევის დროს განხორციელდა. აზოვისა და შავი ზღვის ჩრდილოეთი მონაკვეთიდან მიგრირებული ყაბარდოელები, მას შემდეგ, რაც მათ აბაზებსა და ადიღეელთა შორის ეთნიკური ნიშა ვერ მოიპოვეს, საბოლოოდ ცენტრალური კავკასიის მთისწინა ზოლში დასახლდნენ. ხოლო უფრო ადრე მეოტების ეთნოგენეზში დიდი როლი შეასრულეს ირანულენოვანმა ტომებმა.

ისიც ფაქტია, რომ აფხაზური და ადიღეური ტომების წარმოქმნა სწორედ აქ – ახალ საცხოვრისში ხდებოდა, მეოტების/პროტოადიღეელების მიგრაციის შედეგად. აზოვისპირეთიდან სამხრეთით მიგრაციის შედეგად მიმდინარეობდა რთული ეთნოგენეტიკური პროცესები. ადრე გადმოსახლებული აფხაზურ-აბაზური ტომები დროთა განმავლობაში ადიღეელებად გარდაიქმნებოდნენ. ამ თვალსაზრისით საგულისყურო გადმოცემები აქვს ჩაწერილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგ ავტორს *ლ. ლიულეს*;

ის აღნიშნავს, რომ აბაძეხებს, შაფსუღებს და ნატუხაე-ლებს (სამივე დიდი ადიღეური გაერთიანება იყო) დანარჩე-ნი ადიღეელები მოიხსენიებენ საერთო სახელწოდებით: „აბაძე-ჩილ“, რაც ნიშნავს აბაზელ ხალხს; დანარჩენები, ბესლენელების გამოკლებით, რომლებიც ყუბანის მარცხე-ნა მხარეს მკვიდრობდნენ, კიიახ-ის სახელწოდებით იყვნენ ცნობილი, რაც (მდინარის) ქვემოთ მცხოვრებლებს ნიშნავს.[134]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ. ადი-ღეელებს არა ჰქონდათ სალოცავი/საკულტო ძეგლები – ისინი ასეთ ძეგლებს არ აშენებდნენ. ასევე იყვნენ სტეპე-ბში/ველებში მცხოვრები ალანები, რომელთა სალოცავი *ამიანე მარცელინეს* მიხედვით, მიწაში ჩასობილი სატევარი იყო. ჩვეულებრივ ისინი სალოცავ ძეგლებს არ აგებდნენ და წმინდა ადგილებში, ტყეებში, ველებში იკრიბებოდნენ, სადაც, როგორც წესი, სამსხვერპლოს როლს ასრულებდა წმინდა ხე. ამ ხეებთან ადიღეელები ასრულებდნენ წარ-მართულ წესებს და ცხოველებს მსხვერპლად სწირავდნენ. ეს ეთნოგრაფიული მასალაც პირდაპირ მიუთითებს იმ გა-რემოებაზე, რომ ადიღეელები თავდაპირველად ველების მკვიდრნი იყვნენ და ამ ველებზე ისინი მოძრავ ცხოვრებას ეწეოდნენ. ეთნოსი, რომელიც ხშირად იცვლიდა ადგილ-სამყოფელს, დასახლებას, ბუნებრივია, ვერც სალოცავ-სა-კულტო ძეგლებს ააგებდა და მშენებლობაშიც ვერ გამო-იყენებდა ქვას. მათი წინაპრები რომ თავიდანვე ბინადრები და მიწათმოქმედები ყოფილიყვნენ, რა თქმა უნდა, საკულ-ტო ძეგლებიც ექნებოდათ.

ადიღეურ ეთნიკურ ერთეულებს ყველა კავკასიელი-საგან განსხვავებული ქცევის ეთნიკური სტერეოტიპი გააჩ-ნდა. ეს იყო მეომრული განწყობილება.

---

[134] *Л. Я. Люлье*. Черкесия. Историко-этнографические статьи. – Ландшафт, этнографические и исторические процессы на Северном Кавказе в XIX-начале XX века. Нальчик, 2004, С. 54.

ადიღეელთა წინაპრების – მეოტების შესახებ *ლ. ლავროვის* ნაშრომსაც უნდა მივმართოთ. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჰუნებთან მეოტების ურთიერთობის საკითხს. ცნობილია, რომ აზიიდან შემოჭრილმა ჰუნებმა დაახლოებით 370 წელს გაანადგურეს ალანები და გუთები და თავს დაესხნენ ბოსფორის სამეფოს. ჰუნების ერთი ნაწილი აზოვის ზღვის ჩრდილოეთის გზით დასავლეთში წავიდა, ხოლო მეორე ნაწილი შეიჭრა ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში და გაანადგურა მეოტები და დაიპყრო ტამანის ნახევარკუნძულის ბოსფორის ქალაქები. დასახლებული პუნქტები აქ ჰუნებმა ნაცარტუტად აქციეს. ბოსფორის სამეფომ კი არსებობა შეწყვიტა. წერილობითი წყაროები არაფერს გვაუწყებენ ჰუნების მიერ ადიღეური ტომების განადგურებაზე. მეოტების მრავალრიცხოვანი დასახლებების ბედი, რომლებიც ბინადრობდნენ აზოვის ზღვას, დონის შესართავსა და ყუბანის ქვემო დინებას შორის (ყუბანის ლაბის შეერთების ადგილამდე), არქეოლოგიური გამოკვლევებით ირკვევა. ბუნებრივია, ჰუნებმა ისინი გაანადგურეს, ამასთან ერთად, მოსახლეობის ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი მონებად წაიყვანეს, დანარჩენებმა კი დატოვეს ყუბანის მარჯვენა მხარე და გაიქცნენ ყუბანის მარცხენა მხარეზე. ჰუნების შემოსევების შემდეგ აღარცერთ წყაროში აღარ იხსენიებიან *სინდები, ასპურგიანები, ფსესები, დოსხები, ფატეიები, დანდარები* და სხვა მეოტური ტომები, რომლებიც აქამდე აზოვის ზღვის აღმოსავლეთ მხარესა და შავი ზღვის მონაკვეთში ყუბანის მარცხნივ ბინადრობდნენ. თვით სტეპური ადიღეური ტომების შემკრებლობითი სახელი – „მეოტები“ ამ დროიდან ქრება. ჰუნების შემოსევა თავისი დამანგრეველი ხასიათით უფრო საშინელება იყო ადიღეელებისათვის, ვიდრე მონღოლთა შემოსევები XIII საუკუნეში. ამ დროს მოისპო ბოსფორის სამეფო, ხოლო ადიღეელთა განსახლების ტერიტორია მკვეთრად შემცირდა, რადგან ყოფილი მეოტების

ტერიტორია ყუბანსა და დონს შორის ნომადებმა დაიკავეს.[135] ამრიგად, ადიღეური ტომების სამხრეთისაკენ გადმონაცვლების მიზეზი არა მხოლოდ ირანულენოვანი ნომადები, არამედ პირველად შემოჭრილი თურქული ტომები – ჰუნებიც იყვნენ.

ლ. ლავროვის კიდევ ერთი წინადადება იქცევს ყურადღებას. ის ხაზს უსვამს, რომ ადიღეელებში ადრე შუა საუკუნეებში მეთევზეობა უკვე ისეთ დიდ როლს აღარ თამაშობდა, როგორც ადრე.[136] ამ გარემოებას, ბუნებრივია, ახსნა სჭირდება. როგორ და რატომ უნდა დაეკარგა ეთნიკურ ერთობას მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა? ან რა ვიცით, რომ ანტიკურ პერიოდში მეოტ-ადიღეელებისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნდა მეთევზეობას? თუ ეს ნამდვილად ასე იყო, მაშინ აშკარად მეთევზეობაზე უარის თქმა მათ სამხრეთისაკენ წამოწევას უნდა დაუკავშირდეს.

მეოტების შესახებ ზოგიერთი რამ უდავოდ დასაზუსტებელია. მაგალითად ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ მეოტები აზოვისპირეთთან ერთად ძველი წელთაღრიცხვით ყუბანისპირეთშიც მოსახლეობდნენ.[137] მკვლევარებს ავიწყდებათ, რომ იმ დროისათვის მთელ ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიის ვეებერთელა სივრცეში ერთი ეთნოსის განფენილობა წარმოუდგენელია და თანაც იმ რეგიონში, სადაც ნომადების ხშირი ცვლის გამო ეთნიკური ვითარებაც ხშირად იცვლებოდა. კავკასიის ხალხთა ისტორიის წიგნის ავტორები აღნიშნავენ, რომ ძვ. წ. აღრიცხვის IV საუკუნიდან ყუბანზე აქა-იქ დაარსდა ემპორიები, რის მაგალითადაც ასახელებენ ბოსფორსა და მეოტებს შორის საავჭრო პუნქტს შუა ყუბანისპირეთში. უფრო მეტიც, შენიშნავენ, რომ ყუბანისპირეთი ბოსფორის ძირითად ბეღელად

---

[135] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 91.
[136] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 93.
[137] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб., 2007, С. 44; История народов Северного Кавказа ... М.: 1988. С. 77.

იქცა, რომელიც თავის მხრივ, პურს ათენს აწვდიდა.[138] აქ აუცილებელია ერთი შეკითხვა დავსვათ: საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეოტების შთამომავლები – ადიღეელები პურეული კულტურების მოყვანას არ მისდევდნენ და მათი პრიმიტიული მიწათმოქმედების მთავარი კულტურა ფეტვი და ფეტვისნაირები იყო. რამდენად შესაძლებელია ეთნოსს დაევიწყებინა ისეთი კულტურის მოყვანა, როგორიცაა ხორბალი? – რა თქმა უნდა, არა. ასე რომ, ძვ. წ. IV საუკუნეში ყუბანისპირეთი, აზოვის ზღვის მთელ მონაკვეთი და დონის შესართავი გამორიცხულია ერთი ეთნოსის მეოტების/პროტოადიღეელების განსახლების არეალი ყოფილიყო. მეოტებს აზოვისპირეთთან ერთად შეიძლებოდა მხოლოდ ყუბანის შესართავ რაიონში ეცხოვრათ და არა შუაყუბანისპირეთსა და მთელი ყუბანის აუზში.

მოყვანილი მონაცემები აშკარად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ ადიღეური ტომები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უფრო ჩრდილოეთიდან – აზოვის ზღვისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ მონაკვეთებიდან არიან გადმოსახლებული. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზ-აბაზების შესახებ, ოღონდ ამ უკანასკნელთა მიგრაცია შედარებით ადრე მოხდა და ისინი უპირატესად უშუალოდ შავი ზღვის სანაპირო ზოლში იყვნენ განსახლებული. აფხაზ-აბაზების ეთნოგენეზში, ისევე როგორც ადიღეელების ეთნოგენეზში, მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა ეთნიკურმა ერთეულმა. ეს ადგილობრივი ეთნიკური ერთობა, რომელმაც აფხაზ-აბაზების ეთნოგენეზში სუბსტრატის როლი შეასრულა ქართველური ეთნიკური ერთობა იყო. თუ ზემოთ მოყვანილ ენათმეცნიერულ გამოკვლევებსაც გავიხსენებთ, რომ აფხაზურ-აბაზურ ენებში ქართველური სუბსტრტის სახითაა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას მყარი საფუძველი გააჩნია. ამასთანავე, როგორც ადიღეელთა, ისე აფხაზ-აბაზების ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანულენობრივმა ეთნიკურმა ერთობამ. შავი

[138] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ ... СПб., 2007, С. 44

ზღვის სანაპიროზე აფხაზეთის ტერიტორიაზე და მის ჩრდილო-დასავლეთით, მეოტების ჩრდილოეთიდან მიგრაციამდე, რომ ქართველური ეთნიკური ერთობები მკვიდრობდნენ საამისო საისტორიო მონაცემები თავმოყრილი აქვს *მერი ინაძეს* საყურადღებო ნაშრომში „ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები“. რამდენიმე ციტატა აღნიშნული ნაშრომიდან: „ამ რეგიონში დასავლურ-ქართველ ტომების მეზობლად ჩერქეზული მოსახლეობის დამკვიდრება შეიძლება აიხსნას ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მწირ და უნაყოფო ადგილებში მცხოვრები ჩერქეზული ტომების ერთ-ერთი ჯგუფის აქ ჩამოსახლებით.“[139] „ზიქები ანუ ჯიქები მხოლოდ ძვ. წ. II-I სს-ის მიჯნაზე ჩნდებიან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე“.[140] „...ძვ. წ. VI-I საუკუნეებში დღევანდელი აფხაზეთის როგორც სანაპირო, ისე მთიანი ადგილების მოსახლეობაში ეთნოპოლიტიკური თვალსაზრისით წამყვანია ქართველური, უმთავარესად დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური, სვანური) წარმომავლობის ტომები“.[141] შავი ზღვის სანაპიროზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და უფრო შორსაც, ჩრდილო-დასავლეთით ქართველური მოდგმისანი რომ ცხოვრობდნენ, ამას ქართული საისტორიო ტრადიციაც მიუთითებს. მემატიანე გადმოგვცემს, რომ თარგამოსმა ეგროსს უბოძა ქვეყანა ლიხის ქედიდან ზღვამდე, „სადა წარსწვდების წვერი კავკასიისა“.[142] კავკასიონის ქედის უკიდურესი დასავლეთი კი ნიკოფსიაა (თანამედროვე ტუაფსე).

აფხაზური ეთნოსი ქართულ ეთნოსთან ადიღეური ტომების შერევის შედეგად რომაა წარმოქმნილი ამას აფხაზთა ანთროპოლოგიური ტიპიც ნათლად მიუთითებს. აფხაზები არაფრით განსხვავდებიან დასავლურ ქართული ეთ-

---

[139] *მ. ინაძე.* ძველი კოლხეთის ... თბ., 2009, გვ. 407.
[140] *მ. ინაძე.* ძველი კოლხეთის ... თბ., 2009, გვ. 409.
[141] *მ. ინაძე.* ძველი კოლხეთის ... თბ., 2009, გვ. 401.
[142] ქართლის ცხოვრება, ტომი I, *ს. ყაუხჩიშვილის* გამოცემა, თბ., 1955, გვ. 5.

ნოგრაფიული ჯგუფებისაგან. ფიზიკური ანთროპოლოგი *ვ. ბუნაკი* აფხაზებს ქვემო იმერული ტიპის ლოკალურ ვარიანტში ათავსებდა, ხოლო *მ. აბდუშელიშვილი* მათ გურიის, სამეგრელოს, აჭარის და სამურზაყანოს ქართულ მოსახლეობასთან ერთად შავიზღვისპირულ ვარიანტში აერთიანებდა.[143] ეს უკანასკნელი იმასაც აღნიშნავდა, რომ ფიზიკური ანთროპოლოგიის თვალთახედვით, აფხაზებს ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან უფრო მეტი კავშირი აქვთ, ვიდრე ადიღეელებთან.[144] კიდევ ერთი ამონარიდი ფიზიკური ანთროპოლოგის *ლია ბითაძის* ნაშრომიდან: „აფხაზთა თავისებური მდგომარეობა ადიღეურ ენობრივ ჯგუფში აისახება დასავლელ ქართველებთან მათი ნათესაობით. მისი აზრით (საუბარია ანთროპოლოგ გ. ჯანბერიძეზე – რ. თ.), რომელსაც მორფოლოგიური ფაქტები ადასტურებენ, აფხაზთა ეთნოგენეზი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართველების რომელიღაც ჯგუფის ადიღეურ ენაზე გადასვლა; ანუ აფხაზთა ფიზიკური წინაპრების უდიდესი უმრავლესობა ნაწილი იყო არა სხვა აფსუა-ადიღურ ხალხთა წინაპრებისა, არამედ თანამედროვე ქართველების ქართულენოვანი წინაპრებისა. ამ მოსაზრებას იზიარებს *ვ. ალექსეევიც*. ის ეთანხმება თვალსაზრისს, რომ ანთროპოლოგიურად აფხაზები უფრო ახლოს დგანან ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან, ვიდრე ადიღეელებთან. ვ. ალექსეევი წერს: „აფხაზთა გაერთიანება ადიღური ენობრივი ჯგუფის შემადგენლობაში, ალბათ, შედარებით გვიან განხორციელ-

[143]დაწვრილებით იხილეთ: *ლ. ბითაძე.* ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2007, გვ. 173-177.

[144] *М. Г. Абдушелишвили*. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб., 1964, С. 57.

და და, ყოველ შემთხვევაში, წარმოადგენს მეორად მოვლენას მათ ეთნიკურ ისტორიაში.“[145]

პროტოაფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობები არა მხოლოდ აფხაზთა ეთნოგენეზის პერიოდში დაეფუძნენ ქართველურ ეთნიკურ ერთობას (ზანები, სვანები), არამედ ამ ორი ეთნოსის ურთიერთშერევები მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა[146] და ის აქტიური იყო გვიან შუა საუკუნეებშიც, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსახლება ორი გზით – მთიდან და ზღვისპირეთიდან მიმდინარეობდა.[147] ენობრივად კი აფხაზები ადიღეელების/ჩერქეზების/ყაბარდოელების მონათესავები არიან, ქართველებთან კი ენობრივი მონათესავეობა არაა აქვთ. ასე რომ, აფხაზები და ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივად მონათესავენი არ არიან, პოპულაციურ დონეზე მაინც მონათესავე ეთნოსები არიან; ისინი პოპულაციური, და არა ეთნიკური თვალთახედვით, მონათესავენი არიან.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ეთნიკური ვითარება მუდმივად იცვლებოდა, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ეთნოსები ხშირად იცვლებოდნენ. მთელი შავი ზღვის სანაპირო, როგორც ირკვევა, თავის დროზე აფხაზთა მონათესავე აბაზების კუთვნილება იყო და მთელი რიგი ადიღეური ეთნიკური ერთეულები აფხაზურ-აბაზური წარმომავლობისანი იყვნენ. ასეთებს შორის ასახელებენ ბჟედუხებს, აბაძეხებს, შაფსუღებს და მახოშებს, რომლებიც ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეებში აბაზურ ენაზე ლაპარაკობდნენ. შემდეგ კი ყაბარდოელებისა და ზოგიერთი სხვა ტომის გავლენით თანდათანობით გადავიდენენ ადიღეურ

---

[145] *ლ. ბითაძე.* ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2007, გვ. 176-177.

[146] *Г. В. Цулая.* Абхазия и абхазы в контексте истории Грузии (Домонгольский период). М., 1995, С.19.

[147] *ს. ბახია-ოქრუაშვილი.* აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). თბ., 2010.

ენაზე.[148] გასაზიარებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ შაფსუღები, ნატუხაელები, აბაძეხები და ჯიქები (საძები) ზიხების (ჯიქების) ეთნიკურ საფუძველზე ჩამოყალიბდნენ.[149] აქედან დასკვნა, რომ ზიხები (ჯიქები) ენობრივად იგივე აბაზები (აბაზგები) იყვნენ, ხოლო კასოგებისაგან (ქაშაგებისაგან) ადიღეელები წარმოიქმნენ. უფრო მეტიც, *ტ. ლოპატინსკის* მტკიცებით, ჩერქეზებს, რომელთა შემადგენლობიდან გამორიცხავდა აბაძეხებს, შაფსუღებსა და ნატუხაელებს, შესამჩნევი თურანული და სემიტური მინარევი გააჩნდათ.[150] საამისოდ ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც მოიშველიებენ (მაგალითად, გვარების წარმომავლობა; ებრაელებისა და ჩერქეზების ზოგიერთი წეს-ჩვეულების მსგავსება).

როგორც აფხაზ-აბაზები, ისე ადიღე-ჩერქეზები შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არა მხოლოდ აზოვის ზღვის სანაპიროებიდან იყვნენ სამხრეთით გადამოსახლებული, არამედ ყირიმიდან და სამხრეთ უკრაინიდან. აფხაზურ-ადიღეური ტომები გვიანობამდეც ცხოვრობდნენ აზოვისპირეთში, მაგალითად, იულიანი წერს, ჩერქეზების თავადზე, რომელიც ტამანზე ცხოვრობდა და 100 ცოლი ყავდა.[151]

ზოგიერთი მკვლევარი როდესაც აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების/ჯგუფების აფხაზეთის სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ანუ დასავლეთ საქართველოდან მიგრაციის შესახებ წერდა, იმავე დროს *ლ. ლავროვი* ხაზგასმით აღნიშნავდა აფხაზურ-ჩერქეზული ეთნიკური ერთობების ჩრდილო-დასავლეთით (ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში) ბინადრობის შესახებ და შენიშნავდა,

---

[148] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 20.

[149] *Б. Бгажнаков.* Черкесы (Адыги). Под редакцией М. Курдиани, Тб., 2010, с. 12.

[150] *Б. Бгажнаков.* Черкесы (Адыги). Под редакцией М. Курдиани, Тб., 2010, с. 13; *Т. Лапинский*. Горцы Кавказа и их освободительная борба против русских. нальчик, 1999, с. 70.

[151] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 32.

რომ ეს გარემოება არღვევს ჰიპოთეზას ამ ხალხების სამხრეთიდან წარმომავლობის შესახებ.[152] ასე რომ, აფხაზურ-ადიღეური ტომების ეთნოგენეზზე როდესაც ვსაუბრობთ, აშკარაა, რომ ამ ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზი მოხდა არა მათი შუა საუკუნეებში განსახლების არეალში – შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, არამედ ჩრდილოეთით აზოვისპირეთში, დონის შესართავთან, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში. მაგრამ, თუ დადგება საკითხი აღნიშნული ეთნიკური ერთობების გვიან ჩამოყალიბების შესახებ, მაშინ ის მაინც აშკარაა, რომ მთავარი ეთნიკური ელემენტი, რომლისგანაც აფხაზურ-აბაზური და ადიღეურ-ჩერქეზულ-ყაბარდოული ეთნიკური ელემენტები წარმოიქმნა, ჩრდილოეთიდან არის გადმოსახლებული, ანუ საუბარია პროტოადიღურ და პროტოაფხაზურ-აბაზურ ერთობებზე. მაგრამ ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიგრაციის გამკვალავნი იყვნენ არა პირველნი, არამედ მეორენი.

კიდევ ერთი საკითხი: გვიანდელი აფხაზები და აბაზები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ ადრინდელი ქართული წყაროები რატომ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან აფხაზებსა და იმავე ენზე მოლაპარაკე ჯიქებს/აბაზებს? იმიტომ ხომ არა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში მცხოვრები ძველი აფხაზები ქართულ ჯგუფებთან აბაზების/ჯიქების შერევის შედეგად უკვე განსხვავებულ ეთნიკურ ერთობას წარმოადგენდნენ? რომ ეს იყო ქართველების (ზანებისა და სვანების) და ჯიქ-აბაზების შერევის შედეგად წარმოქმნილი ახალი ეთნიკური ერთობა, რომელიც ასევე ცხოვრების ყაიდითაც განსხვავდებოდა ამ უკანასკნელისაგან? ვფიქრობთ, რომ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. რა იწვევდა პროტოადიღეელებისა და პროტოაფხაზ-აბაზების სამხრეთისაკენ პერმანენტულ გადმოსახლებას? – ის არამყარი ეთნიკური ვითარება, რომელიც სტეპურ ზონაში არსებობდა,

[152] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 62.

სადაც საუკუნეების განმავლობაში ერთი წარმომავლობის ნომადურ ერთობას სხვა ენაცვლებოდა. ასეთთა შორის შეიძლება დავასახელოთ სკვითები, სარმატები, ალანები, ჩრილოეთიდან მოსული გუთები. ამის შესახებ ლ. ლავროვიც წერდა: «...в самом начале средних веков готы-евдусиане вытеснили племя керкетов из-под нынешней Анапы в Закубанье».[153] სხვათა შორის, გუთების მიერ შევიწროებული კერკეტების ყუბანის მარცხენა ნაპირზე, მდინარე ლაბის ზემო წელში, გადმოსახლებას IV საუკუნით ათარიღებენ.[154] ირკვევა, რომ სამხრეთ უკრაინისა და ყირიმის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან კავშირი ერთჯერადი არ იყო, ის მუდმივი გახლდთ. ის უფრო ადრეც არსებობდა: «Связь Южной Украины и Крима с Северо-Западным Кавказом, отмеченная археологией для II и начала I тысячелетия до н. э., оставила свое отражение в сходстве некоторых элементов топонимики, существовавших на этих территориях в более позднее (скифо-сарматское) время.»[155]

როგორც ნაშრომის დასაწყისში აღნიშნული გვქონდა, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევდა, რომ აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობის განსახლების თავდაპირველი ტერიტორია დასავლეთ საქართველო იყო, საიდანაც მათ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გადაინაცვლეს ქართველთა სამხრეთიდან მოწოლის შედეგად. სხვათა შორის, ამავე მოსაზრების გახლდათ *ივანე ჯავახიშვილიც*. ოღონდ ამ ჰიპოთეზის თანახმად, აფხაზურ-ადიღეური ტომები მცირე აზიიდან წარმომავლობდნენ. ისინი ჯერ დასავლეთ საქართველოში დასახლდნენ, დატოვეს თავიანთი კვალი და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ და მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აფხაზთა წინაპრები კვლავ დაბრუნდნენ სამხრეთ კავკასიაში და დაიკავეს თა-

---

[153] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 80.
[154] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ... Нальчик, 2009, стр. 84.
[155] *Л. Л. Лавров*. Избранные труды ...Нальчик, 2009, стр. 81.

ნამედროვე აფხაზეთის ტერიტორია.[156] (ასე რომ, ივ. ჯავახიშვილიც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზებს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულებად მიიჩნევდა). აშკარაა ამ მოსაზრების უმართებულობა, მცდარობა. არა ერთი და ორი წყაროს თანახმად, როგორც ზემოთ ვნახეთ, პროტოაფხაზურ-ადიღეური ეთნიკურ ერთობათა თავდაპირველ განსახლების არეალს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ჩრდილოეთი წარმოადგენდა. პროტოაფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ელემენტი, რომელსაც ჩრდილოეთში ირანულენოვანი ეთნიკური ერთობანი შეერივნენ, შავი ზღვის სანაპიროზე ქართველურ ეთნიკურ ელემენტს დაეფინა. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც ინერციით შემორჩენილია ძველი და არამეცნიერული შეხედულება, რომ დასავლეთ ქართველების გენეზისში საკმაოდ ძლიერმა აფხაზურ-ადიღეურმა სუბსტრატმა მიიღო მონაწილეობა.[157] ამ მოსაზრების აბსურდულობას ქართული ენის მონაცემებიც ადასტურებს – ქართულ და, საერთოდ, ქართველურ ენებში აფხაზურ-ადიღეური ენების სუბსტრატი არ დაიძებნება.

აფხაზურ-ადიღეურ ენებში ქართველური ლექსიკური ერთეულების არსებობის შესახებ თავის დროზე მიუთითა აგრეთვე *ბადრი გოგიამ* და მათი ჩრდილოური წარმომავლობის შესახებაც აღნიშნა, ოღონდ ჩვენგან განსხვავებით მათი ეთნოგენეტიკური პროცესი საკმაოდ გვიან პერიოდში იგულისხმა. აი, ეს ციტატა: „რაც შეეხება მცირეაზიული ლექსიკის რამდენიმე ერთეულის არსებობას ჩრდილოკავკასიურ ენებში, ეს ბევრად უფრო უმნიშვნელო რაოდენობის მასაა, ვიდრე სკვითურ-სარმატული, კერძოდ, ენისეური წარმოშობის ენების ლექსიკა ჩრდილოკავკასიურ

---

[156]იხ.: *Г. Анчабадзе*. Проблемы этнической истории абхазов на фоне грузино-абхазского конфликта. – *გ. ანჩაბაძე.* ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები. თბ., 2006, გვ. 48-49.

[157]*С. А. Арутюнов.* Силуэты этничности на цивилизационном фоне. Москва, 2012, стр. 38. სხვათა შორის, ეს ავტორი უფრო შორასაც მიდის და დასავლეთ სომხების ეთნოგენეზისშიც კი არ გამორიცხავს აფხაზურ-ადიღეური სუბსტრატის მონაწილეობას.

ენებში. ამიტომ ჩრდილოკავკასიური ტომების წარმოშობაზე საუბრისას, უმჯობესია მიგრაციების ისარი ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთიდან კი არა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოვმართოდ. ამასთან, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ჩრდილოკავკასიურ ენებში არის ქართველური, პირველ ყოვლისა, მეგრულ-სვანური ელემენტებიც. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მათშია გათქვეფილი პირიქითა საქართველოს ადგილობრივი ტომები და ლექსიკა.“[158]

შეუძლებელია გვერდი ქართულ საისტორიო ტრადიციასაც ავუაროთ. მხედველობაში გვაქვს *ლეონტი მროველის* კონცეფცია კავკასიის ხალხების საერთო წარმომავლობის შესახებ. ქართველი მემატიანე წერს: *„პირველად ვაკსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს.“[159] „ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქვა: ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს.“[160] „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღჳს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი: დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწყუეტების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია.“[161] „ხოლო*

---

[158] *ბ. გოგია.* ისტორიის სათავეებთან. ქართველთა წამყვანი როლი, დაკნინება და აღდგენა (ლინგვისტური მასალებისა და წყაროების მეცნიერული ანალიზი), ტომი I, პარიზი-ლონდონი-რომი-თბილისი, 2006, გვ. 87.

[159] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 3.

[160] ქართლის ცხოვრება, ... ტომი I, თბ., 1955, გვ. 4.

[161] ქართლის ცხოვრება, ... ტომი I, თბ., 1955, გვ. 5.

კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკჳდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთჳს გამოიყჳანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღჳთგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად და მისცა კავკასოს ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა, დასავლით.“[162]

ლეონტი მროველის ციტატის შემდეგ *ზ. რატიანის* კომენტარს შემოგთავაზებთ: „... რა კუთხითაც გინდა განვიხილოთ ლეონტი მროველის თანახმად, ჩრდილოეთ კავკასიისა და მისი მიმდგომი ტრამალების უძველესი, მკვიდრი მოსახლეობა გახლდათ ქართველები, ვაინახები, ანუ ჩეჩენინგუშები და დაღესტნელები, ანუ ლეკები. არც ადიღეელები, არც ოსები და საერთოდ არავითარი სხვა ჯურის ხალხი იქ ლეონტის არ ეგულება პირველ, მკვიდრ ხალხად. ასე რომ, პირიქითა საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი მდინარე ყუბანზე შემთხვევით არ მიუთითებია. მთელი ჩრდილოეთით მდებარე ტრამალები თარგამოსიან ძმათა – ეგროსის, ლეკოსის და კავკასოსის პირველსაცხოვრისი იყო ლეონტი მროველის თანახმად.“[163] ნიკო ბერძენიშვილი: „ლიხის მთას და მცირე ხაზარეთის მდინარეს შორის ქვეყანა ეგროსის წილი იყო, ეგროსიანებით დასახლებული იყო.“[164]

ამრიგად, ქართული წყაროს თანახმად, ქართველური ეთნიკური ერთობის ერთი ჯგუფი – მეგრელები შავი ზღვის სანაპიროზე განსახლებული იყვნენ იმ წერტილამდე, საიდანაც კავკასიის მთები იწყება (თანამედროვე ანა-

---

[162] ქართლის ცხოვრება, ... ტომი I, თბ., 1955, გვ. 5-6.

[163] *ზ. რატიანი.* წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო. თბ., 1995, გვ. 15.

[164] *ნ. ბერძენიშვილი.* საქართველოს ისტორიის საკითხები.თბ., 1990, გვ. 551.

პის ოდნავ სამხრეთით) და ეგრისის ცენტრი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე – ბედიაში იყო. რაც მთავარია, კავკასიაში დასახლებული რვა ძმიდან ჩრდილოეთ კავკასიის დაუსახლებელი ტერიტორია ორ ძმას – ლეკოს და კავკასოს – ერგო, რომელთაგანაც ლეკები და კავკასიანნი წარმომავლობენ. ლეონტი მროველი, სრულიად ბუნებრივად არ ახსენებს არც აფხაზებს და არც ადიღეელებს (ან ქართული წყაროებით ცნობილ მათ წინაპრებს – ჯიქებსა და ქაშაგებს). ლეკოსის შთამომავლებში დაღესტნელები იგულისხმებიან, ხოლო კავკასოსის შთამომავალ კავკასიანეში – ინგუშებისა და ჩაჩნების წინაპრები ძურძუკები (მეცნიერებაში არის მცდელობა კავკასიანები აფხაზ-ადიღეელების წინაპრებად მიიჩნიონ, რაც არავითარ არგუმენტებს არ ეყრდნობა). ამრიგად, ქართული საისტორიო ტრადიციითაც ადიღეელები კავკასიური წარმომავლობის არ არიან.

ამრიგად, აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების (აფხაზ-აბაზები, უბიხები/ჯიქები, ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) ეთნოგენეზი მოხდა არა მათი შუა საუკუნეებში განსახლების არეალში (ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში), არამედ კიდევ უფრო ჩრდილოეთით – აზოვისპირეთში, დონის შესართავთან, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში. აფხაზური და ადიღეური ეთნოსების ეთნოგენეზში სულ ცოტა სამმა ეთნიკურმა კომპონენტმა მიიღო მონაწილეობა: პროტოადიღეელებმა/მეოტებმა, ირანულენოვანმა მომთაბარეებმა და ქართველურმა ერთობებმა (ზანები, სვანები), რომელთაგანაც წამყვანი პირველები იყვნენ. აფხაზების ეთნოგენეზში ქართული ეთნიკური ერთობის წვლილი უფრო მეტი იყო, ვიდრე ადიღეელთა ეთნოგენეზში. ჩერქეზებს (ადიღეელებს, ყაბარდოელებს) რაღაც დოზით თურქული და ებრაული (ხაზარული) ელემენტიც შეერია, რასაც ვერ ვიტყვით აფხაზებსა, ადრინდელ აბაზებსა და ზიხებზე (ჯიქებზე). ამიტომაც ფიზიკური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით აფხაზები და ადიღეელები ერთმანეთისაგან განს-

ხვავდებიან. პროტოაფხაზ-ადიღეელთა სამხრეთით ჩამოწევა ერთდჯერადი აქტი არ ყოფილა; ისინი რამდენჯერმე მიგრირდნენ თავიაანთი თავდაპირველი განსახლების არეალიდან. პირველი მიგრაციული ტალღა ძვ. წ. III საუკუნით უნდა დავათარიღოთ, რომელიც გამოწვეული იყო ჩრდილოეთ კავკასიისა და ევრაზიის საკონტაქტო ზონაში სარმატების გამოჩენასთან, მეორე ტალღა იმავე არეალში ძველი და ახლი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ალანებმა განაპირობეს, მესამე ტალღა ჰუნების შემოსევებს უკავშირდება IV საუკუნის 70-იან წლებში. ხოლო უკანასკნელი მიგრაცია ადიღეური ეთნიკური ერთობისა/ყაბარდოელებისა, ოღონდ ამჯერად ჩრდილოეთ ცენტრალური კავკასიის მთისწინეთში, მონღოლების გამოჩენას, უფრო სწორედ, ამ რეგიონში მათი პოზიციების შესუსტებას უკავშირდება. მიგრაციის გამომწვევი მიზეზი კი გახლდათ ევრაზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ჯერ ირანულენოვანი და შემდეგ თურქულენოვანი მომთაბარე ეთნოსების ხშირი შემოსევები. გეოგრაფიულ არაელში, სადაც აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ფორმირება მოხდა ისტორიისათვის ხელმისაწვდომ მთელ პერიოდში არამდგრადი ეთნიკური ვითარება იყო. არამდგრად ეთნიკურ ვითარებას, რომელსაც მეცნიერებაში „ეთნიკურ ქაოსსაც“ უწოდებენ, ევრაზიის სივრცეში მუდმივად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრავი ნომადები ქმნიდნენ. აქედან გამომდინარე, პროტოაფხაურ-ადიღეური ეთნიკური ერთობებიც (მეოტები) ამ არეალში აღმოსავლეთიდან იყვნენ მოსული და ისინიც თავდაპირველად ნომადები იყვნენ. ეს თავდაპირველი ნომადები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში კი მუდმივ ბინადრებად ვერ იქცნენ და ბოლო დრომდე ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ. მათი ცხოვრების ეს წესი, მეურნეობის ფორმა კი ისევ და ისევ ევრაზიის სივრცის სიახლოვით იყო გამოწვეული. სხვადასხვა წარმომავლობის ირანული და თურქული მომთაბარე ტომები, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დაფუძნებულ ადიღეურ ტომებს ეთნიკური სტაბი-

ლიზაციის, ინტეგრაციის, ეთნიკური შეკავშირების საშუალებას არ აძლევდნენ. ადიღეელთა არამდგრადი და დაუდგენელი ეთნიკური ვითარება იმ ფაქტორითაც იყო გამოწვეული, რომ მათ ვერაფრით მოახერხეს ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა, მაგალითად, ისეთის როგორიც ალანებს ჰქონდათ მონღოლთა შემოსევებამდე. თუმცა, აშკარაა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ხდებოდა აბაზების გაჩერქეზების პროცესი. ამ პროცესების მიზეზების შესწავლა კი მომავლის საქმეა. აბაძეხების, შაფუღებისა და ნატუხაელების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, როგორც მიუთითებენ (ბ. ბღაჟნოკოვი), თანამედროვე ყაბარდოელთა შორის წარმომავლობით 20 %-ია აბაზა.

აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის პროცესი ჩრდილოეთით – აზოვისპირეთში, დონის ქვემო დინებაზე, შავი ზღვის ჩრდილოეთ მონაკვეთში, თანამედროვე სამხრეთ უკრაინაში – დაიწყო, როდესაც მეოტებს/პროტოადიღეელებს ირანული ტომები შეერივნენ. პროტოაფხაზ-ადიღეელებთან ირანული ტომების შერევის ყველაზე დიდი დამადასტურებელი ფაქტი მათ შორის ნართების ეპოსის ფართოდ გავრცელებაა. ეთნოგენეზის საბოლოო ფაზა კი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში – ყუბანისპირეთში მოხდა, როდესაც ჩრდილოეთიდან ჩამონაცვლებული პროტოადიღეელები ქართველურ ეთნიკურ ჯგუფებს (ზანებსა და სვანებს) დაეფინნენ.

დასასრულს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი: ადიღეურმა ეთნიკურმა ერთობებმა (აგრეთვე უბიხებმა, აბაზებმა) ეთნოსფერა, განსახლების არეალი, ნომადურ სამყაროსთან საუკუნოვანი კონტაქტის პირობებში, თავიანთი ცხოვრების წესითა და მეურნეობის მათთვის დამახასიათებელი ფორმით (ნახევრადმომთაბარე, ნახევრადბინადარი), შეინარჩუნეს. ხოლო ევრაზიის სივრცეში პირველივე ბინადრების – რუსეთის იმპერიის – გამოჩენას, მათ აგრესიას შეეწირნენ, განსახლების არეალი დაკარგეს, ფაქტობრივად, ეთნოსმა კატასტროფა განიცადა, არსებობა

შეწყვიტა – ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე დიდი ეთნოსისაგან მხოლოდ მისი ცალკეული მცირე ნაწილებიღა შემორჩა. რეგიონში ეთნიკური ვითარება რადიკალურად, ამჯერად რუსული ეთნოსის სასარგებლოდ შეიცვალა (იგივე მოხდა აფხაზეთში). განმეორდა სარმატების, ჰუნების, მონღოლების დროინდელი ვითარება. რეგიონში არამდგრადი, არასტაბილური ეთნიკური სიტუაციის ძირითადი ფაქტორი კი გეოგრაფიული გახლდათ. რა ფაქტორებმაც განაპირობა ადიღეური ეთნიკური ჯგუფების ეთნოგენეზი, იმავე ფაქტორებმა განსახლების არეალის დაკარგვა და ფაქტობრივი გაქრობაც გამოიწვია.

შუა საუკუნეებიდან დაწყებული, ვიდრე რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის ხალხების დაპყრობამდე, ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში არსებული არამდგრადი ეთნიკური ვითარება (მოძრაობითობა, თარეშები, სუსტი ინტეგრაცია) აფხაზეთზეც არაკეთილსასურველ გავლენას ახდენდა. აბაზების, უბიხების და სხვადასხვა ადიღეური ტომების ინფილტრაცია, მიგრაცია აფხაზეთშიც ხდებოდა. თითქმის მუდმივი იყო აქ აფხაზების, ქართველებისა და ადიღელების ურთიერთშერევა. ეს ეთნიკური კონტაქტები ძირითადად შუა აფხაზეთში – კელასურისა და კოდორის მიდამოებში – ხდებოდა. ხან ქართული ეთნიკური ელემენტი გამოდიოდა გამარჯვებული, ხან აბაზურ-ადიღეური. ამის შედეგი იყო XV-XVI საუკუნეებიდან *ძველი აფხაზების* გაქრობა და *ახალი აფხაზების* წარმოქმნა აბაზური ენის საფუძველზე.

Roland Topchishvili

To the question of the ethno-genesis of Abkhazian-Adigean ethnic contacts

Adigeans (Cherkesians, Kabardians) and other ethnic groups (Ubichs, Abazgians) related to them who lived in the North-West and central parts of the Caucasus region had been the largest ethnic groups before the Russian annexation. Related to them were the Abkhazians. The author thinks that the ethno-genesis of these peoples has not been thoroughly studies. The following conclusions have been drawn:

The genesis of the Abkhazian-Adigean ethnic group took place not in the North-East, but in further North, in the territories close to the Azov Sea, Don river, Crimea and South Ukraine. There are at least three ethnic groups which took an active part in the formation of the Abkhazian and Adigean ethnic groups: proto-Adigeans, Meoteans, Iranian nomads and various Georgian ethnic groups. The part the Georgian ethnic groups played in the formation of the Abkhazians was higher than in the formation of the Adigeans. There are Turkic and Jewish elements in the formation of the Cherkesians. This is not the case, however, with the Abkhazians. Therefore, from the point of physical anthropology Abkhazians differ from Adigeans. Proto-Abkhazians-Adigeans moved to the South several times. First it happened in the III c. BC. and was caused by the appearance of the Sarmatians. The second tide took place in the turn of millennia caused by the Alans. The third tide took place in late IV century AD. with the appearance of the Huns. The last

tide took place with the emergence of the Mongols. Therefore their moving to the South was caused by the Iranian and then Turkic nomads. The territory where the process of genesis of the Abkhazians-Adigeans was taking place was characterized by the ethnic instability, which is called “ethnic chaos”. This was created by nomadic peoples coming from the East and moving towards Europe. These nomads then were transformed into semi-nomads. They still retained this mode of agriculture because of the closeness of the Eurasian space. Various Iranian and Turkic tribes did not give any respite for ethnic stabilization, integration etc. Unstable ethnic situation in which the Adigeans found themselves was also caused by the fact that they did not manage to create a unified state structure.

The ethnic formation of the Abkazian-Adigean group began in the Azov and the South Ukraine region. The last phase of the ethno-genesis took place in the North-West Caucasus when proto-Adigeans xmixed into the Georgian groups of Zans and Svans.

Finally, it can be said that Adigean ethnic group preserved its ethnic unity, area of habitation, and the mode of existence. However they failed to resist successfully the Russian Empire and ceased to exist except for tiny groups in the North Caucasus. The ethnic situation from then on tilted towards ethnic Russians (the same happened in Abkhazia). The unstable ethnic situation in the region which helped to forge the Adigean ethnicity eventually caused its destruction.

From the Medieval period to the time of the Russian annexation of the North Caucasus the unstable ethnic situation in the region had its negative effects on Abkhazia where the infiltration of Abazgians, Ubichs, and other Adigean tribes was

taking place. Here was interaction between Abkhazians, Georgians and Adigeans. These contacts were active in the territories of Kelasuri and Kodori. Sometimes it were Georgians who turned out to be superior. However, it alternated and often Abazgian-Adigean ethnic element became predominant. As a result in XV-XVI we witness the disappearance of old Abkhazians and the creation of new Abkhazians base on the Abazgian language.

Роланд Топчишвили
Об этногенезе абхазо-адыгских этнических общностей

Живущие в Северо-Западном и Центральном Кавказе адыги (черкесы, кабардинцы) и родственные им этносы (убыхи, абазины) до аннексии Северного Кавказа Россией представляли собой самые большие этнические общности региона. Им же родственны и живущие в северо-западной части Грузии абхазы. Автор книги считает, что этногенез указанных народов недостаточно изучен. Предложенный труд служит именно восполнению данного пробела. Относительно рассматриваемых в книге проблем сделаны следующие заключения:

Этногенез абхазо-адыгских этнических общностей (абхазы-абазины, убыхи/джики, адыги, черкесы, кабардинцы) произошел не в ареале их средневекового расселения (в Северо-Восточном Причерноморье и Северо-Западном Кавказе), а гораздо севернее – в Приазовье, в устье Дона, Крыму и Южной Украине. В этногенезе абхазского и адыгского этносов приняли участие по меньшей мере три этнических компонента: протоадыги/меоты, ираноязычные кочевники и картвельские единства (заны, сваны), из которых ведущим компонентом были первые из перечисленных. В этногенезе абхазов доля грузинского этнического общности была весомее, нежели в этногенезе адыгов. К черкесам (адыгам, кабардинцам) в определенной дозе примешались также тюркский и еврейский (хазарский) элементы, чего нельзя сказать о абхазах, ранних абазинах и зихах (джиках). Поэтому с точки

зрения физической антропологии абхазы и адыги отличаются друг от друга. Продвижение протоабхазо-адыгов на юг не являлось однократным актом; они несколько раз мигрировали из ареала своего первоначального рассселения. Первую миграционную волну, обусловленную появлением сарматов в контактной зоне Северного Кавказа и Евразии, следует датировать III веком до н. э.; вторую волну в том же ареале на рубеже старого и нового летоисчислений обусловили аланы; третья волна связана с нашествием гуннов в 70-х годах IV века. Последняя миграция адыгской этнической общности – кабардинцев, но на сей раз в северное предгорье Центрального Кавказа, связана с появлением монголов, точнее, с ослаблением в указанном регионе позиций монголов. Причиной миграции явились частые набеги на степи Евразии и Северного Кавказа сначала ираноязычных, а затем тюркоязычных кочевых этносов. В географическом ареале, в котором произошло формирование абхазо-адыгских этнических общностей, на протяжении всего исторически досягаемого периода была неустойчивая этническая обстановка. Эту неустойчивую этническую обстановку, именуемую в науке также «этническим хаосом», создавали номады, постоянно перемещавшиеся в евразийском пространстве с востока на запад. Исходя из этого, и протоабхазо-адыгские этнические общности (меоты) пришли в этот ареал с востока, будучи первоначально номадами. Эти первоначальные номады в Северо-Восточном Причерноморье и Северо-Западном Кавказе не превратились в оседлое население, продолжая до последнего времени вести полукочевой образ жизни. Такой уклад их жизни и форма хозяйства опять-таки были обусловлены близостью евразийского пространства. Разного рода иранские и тюркс-

кие кочевые племена мешали обосновавшимся на Северо-Западном Кавказе адыгским племенам достичь этнической стабилизации, интеграции и этнического единения. Неустойчивая и неопределенная этническая ситуация адыгов была вызвана и тем фактором, что им никак не удалось создать единую государственную систему, такую, какая, например, была у аланов до монгольского нашествия. Хотя очевидно, что в позднее средневековье протекал процесс черкесизации абазин. Изучение причин этих процессов – дело будущего. Не говоря ничего о абадзехах, шапсугах и натухайцах, как указывают (Б. Бгажноков), 20% современных кабардинцев по происхождению являются абазинами.

Процесс этногенеза абхазо-адыгских этнических общностей начался на севере – в Приазовье, в нижнем течении р. Дон, на северном отрезке побережья Черного моря, на территории современной Южной Украины, когда с меотами/протоадыгами смешались иранские племена. Наиболее очевидным фактом слияния иранских племен с протоабхазо-адыгами является широкое распространение среди них нартского эпоса. Последняя фаза этногенеза произошла в Восточном Причерноморье и Северо-Западном Кавказе – в Прикубанье, когда переместившиеся с севера протоадыги инфильтровали картвельские (грузинские) этнические группы (занов и сванов).

В заключение нельзя не отметить следующее: адыгские этнические общности (также убыхи, абазины) в условиях вековых контактов с номадным миром сумели сохранить свою этносферу, ареал расселения, образ жизни со специфической, присущей им формой хозяйства (полукочевой, полуоседлый). Но с появлением в евразийском пространстве пер-

вых обитателей – Российской империи – они стали жертвами их агрессии, потеряв свой ареал расселения. Фактически, этнос претерпел катастрофу, прекратил существование: от самого большого этноса Северного Кавказа остались только отдельные малочисленные группы. Этническая ситуация в регионе радикально изменилась – на сей раз в пользу русского этноса (то же самое произошло в Абхазии). Повторилась та же картина, что и во времена сарматов, гуннов, монголов. Основным фактором неустойчивой, нестабильной этнической ситуации в регионе явился географический фактор. Те же факторы, которые обусловили этногенез адыгских этнических групп, обусловили и потерю ими ареала своего расселения и, в сущности, исчезновение этноса.

Начиная со средних веков вплоть до покорения Российской империей народов Кавказа существовавшая на Северо-Западном Кавказе неустойчивая этническая ситуация (миграционность, набеги, слабая интеграция) оказывала неблагоприятное влияние и на Абхазию. Инфильтрация и миграция абазин, убыхов и разных адыгских племен имела место и в Абхазии. Почти постоянный характер носило здесь взаимосмешение абхазов, грузин и адыгов. Эти этнические контакты особенно интенсивными были в центральной части Абхазии – в ущельях Келасури и Кодори. Побеждал то грузинский этнический элемент, то – абазо-адыгский. Следствием этого явилось исчезновение с XV-XVI веков прежних, *старых абхазов* и возникновение новых, *современных абхазов* на основе абазинского языка.

გარეკანზე - ჩერქეზები ეროვნულ სამოსში, XVIII-XIX საუკუნის დასაწყისი. წყარო: *Студенецкая Е. Н*. Одежда народов Северного Кавказа. XVIII-XX вв. – М. 1989, С. 20.

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-483-6